ორმხრივი გამოტოვების ადგილები

უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2021

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევა მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში "მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის ხელშესაწყობად სხვადასხვა მექანიზმისა და ჩარჩოს კვლევა და ადვოკატირება".

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
მკვლევარი: თეონა ფირანიშვილი
რეგიონული მკვლევრები: ლელა ჯობავა, თამარ მეარაყიშვილი
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
თარგმანი რუსულად: როლანდ რაიკი, ანა მხეიძე
თარგმანი ინგლისურად: ნინო კარანაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თეონა ფირანიშვილი, „ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში", 2022*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

კვლევის შეჯამება

კონფლიქტის რეგიონებში ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევის პრაქტიკებზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს გალსა და ახალგორში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისა და დე ფაქტო ადმინისტრაციების დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო, ორმხრივი გამოტოვებისა და იგნორირების რეალობაში ცხოვრობენ. სამწუხაროდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე/ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა მონიტორინგის და საერთაშორისო, ასევე სამოქალაქო აქტორების დაშვების შეზღუდულობის პირობებში, ცოდნა ამ რეგიონებში არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე სუსტია და ფრაგმენტული. ეს ცოდნა ძირითადად ეფუძნება სხვადასხვა დროს ჩატარებულ კვლევებს, მედიით გავრცელებულ მასალებს და ინფორმაციას, სახელმწიფო უწყებებში დაგროვილ მონაცემებს, თუმცა ფიზიკური დაშვების შეზღუდულობიდან გამომდინარე ყველა ეს წყარო დამატებით ვალიდაციას საჭიროებს ხოლმე.

კვლევის მიზანია საკუთარი კონტრიბუცია შეიტანოს ამ ცოდნის ვაკუუმის შევსებაში და კომპლექსურად აღწეროს გალსა და ახალგორში არსებული უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა. კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიც არის: რაიონების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, ადგილობრივ დე-ფაქტო სისტემაში მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება და წვდომა აქ არსებულ სერვისებზე და პროგრამებზე; განათლების უფლება, ჯანდაცვის უფლება, პოლიტიკური მონაწილეობა და წარმომადგენლობა დე-ფაქტო ადმინისტრაციის სისტემაში, ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება, საკუთრების უფლება, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, უსაფრთხოება, სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ჩართულობა, გამოხატვის თავისუფლება, თემთაშორისი ურთიერთობები, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, კულტურული უფლებები და რელიგიის თავისუფლება.

ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება ადგილობრივი მკვლევარების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რაც მათ ადგილზე მოსახლეობასთან ინტერვიუებისა და გალის და ახალგორის რაიონის სოფლების ვიზიტების გზით მიიღეს, ასევე არსებული კვლევების, ანგარიშების და საჯარო ინფორმაციის ანალიზს.

ანგარიშში წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ გაჭიანურებულ კონფლიქტს მძიმე შედეგები აქვს აქ მაცხოვრებელი ადამიანების ყოფაზე და მათი უფლებები განგრძობითად ირღვევა არაერთი მიმართულებით, როგორიც არის გადაადგილების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, უსაფრთხოება, და სხვა ფუმდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. გარდა ამისა სისტემურად ირღვევა გალელების და ახალგორელების სოციო-ეკონომიკური უფლებები, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანდაცვაზე და სოციალურ სერვისებზე. წლების განმავლობაში ამ უფლებების შეზღუდვა არაღიარების, იგნორირებისა და შევიწროების ფორმებს იღებს, რომელიც ადგილობრივ

ნაციონალიზმებში და დე ფაქტო პოლიტიკურ სისტემებში ეთნიკური ქართველების ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი აღქმებით და ადგილით არის განპირობებული. ახალგორისა და გალის მაცხოვრებლები საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სერვისებსა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად არის ჩართულები და პერიოდულად მიმოსვლაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, ამ რეგიონებში მძიმე ჰუმანიტარული კრიზისებს განაპირობებს. ეს ბუნდოვანობა და მოწყვლადობა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე მძიმედ აისახება და ახალი ტიპის კრიზისების და იმედგაცრუების მიზეზი ხდება. სუბიექტობისა და უფლებების არაღიარებისა და დარღვევის სისტემური პრაქტიკა, მძიმე სოციო-ეკონომიკურ ფონთან ერთად, ადგილობრივებს ხშირად აიძულებს დატოვონ საცხოვრებელი სახლები და ფაქტობრივად დევნილობის მძიმე რეალობა მიიღოს. კვლევა აჩვენებს, რომ წლიდან წლამდე მცირდება ადგილობრივ სკოლებში და ბაღებში ბავშვების რაოდენობა, ორივე რეგიონში, განსაკუთრებით კი ახალგორში.

გარდა ამისა, ადგილობრივ დე-ფაქტო სისტემებში არსებული რთული ბიუროკრატიული პროცესები, რომლებიც ხშირად ნეპოტიზმზე და კორუფციაზე არის დაფუძნებული, კიდევ უფრო ამძიმებს ადგილობრივების ისედაც რთულ ყოფას და მათ თვითნებური მამრთველობისა და მოპყრობის პრაქტიკების წინაშე აყენებს.

გალის და ახალგორის მაცხოვრებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები არ არის დანახული დე-ფაქტო ადმინისტრაციების მიერ. თუმცა ამ წუხილებს ვერ ხედავს ვერც საქართველოს დე იურე ხელისუფლება. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ისინი ვერ ხედავენ სპეციალურად მათზე ორიენტირებულ პროექტებს და ინიციატივებს, რაც საქართველოს მოქალაქის სტატუსს მიღმა, სახელმწიფოს მხრიდან დამატებით პოზიტიურ ღონისძიებებსა და მიდგომებში გამოიხატებოდა. დღეს გალისა და ახალგორის მოსახლეობაზე არა ერთი პოლიტიკის მიმართულებით (მცირე გამონაკლისის გარდა), ვრცელდება იგივე პროგრამები, რაც საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებზე და სახელმწიფო სათანადოდ ვერ ხედავს განგრძობად კონფლიქტთან და არაღიარებასთან დაკავშირებულ მრავალშრიან გამოწვევებს. დე ფაქტო სისტემებში ეთნიკური ქართველების მძიმე რეალობა საკმარისად კომპენსირებული და დაცული არ არის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკებში, რაც მათ თბილისის მხრიდან მიტოვებულობის განცდას უჩენს. ადგილობრივების თქმით, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესშიც მათი როლი სუსტად არიან დანახული, რაც ისევ მათი აღიარების პრობლემას უკავშირდება.

ანგარიშის დასასრულს წარმოდგენილია რეკომენდაციები როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო აქტორების მიმართ იმ ზომების შესახებ, რაც საჭიროა რომ მიიღონ გალში და ახალგორში არსებული მძიმე უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სარჩევი

შესავალი **6**

გალი **10**

1. გალის რაიონის ზოგადი აღწერილობა 10
2. ძირითადი ინფრასტრუქტურული საკითხები გალსა და მიმდებარე სოფლებში 16
3. მოქალაქეობის და დოკუმენტაციის საკითხი და თანმდევი პრობლემები (წვდომა საბაზო უფლებებზე) 20
4. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება 25
5. წვდომა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სერვისებსა და სახელმწიფო პროგრამებზე და ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან 28
6. განათლების უფლება 32
7. პოლიტიკური მონაწილეობა და წარმომადგენლობა 41
8. ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება 44
9. საკუთრების უფლება 46
10. კულტურა და რელიგია 46
11. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა გალში 47
12. უსაფრთხოება და ურთიერთობა სამართალდამცავებთან 49
13. სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ჩართულობა 51
14. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 52
15. თემთაშორისი კომუნიკაცია და ურთიერთობა 53

ახალგორი **55**

1. ახალგორის რაიონის ზოგადი აღწერილობა 55
2. ძირითადი ინფრასტრუქტურული საკითხები 58
3. ბიუჯეტი და კორუფცია ახალგორში 60
4. დოკუმენტაციის პრობლემა ახალგორში 61
5. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება 62
6. სერვისებზე ხელმისაწვდომობა სამხრეთ ოსეთში 66
7. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სერვისებსა და სახელმწიფო პროგრამებზე ხელმოსაწვდომობა და ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან 67
8. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა 69
9. განათლების უფლება 72
10. პოლიტიკური მონაწილეობა, წარმომადგენლობა და დასაქმება საჯარო სექტორში 76
11. გამოხატვის თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება 77
12. ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება 79
13. საკუთრების უფლება 80
14. კულტურა და რელიგია 80
15. უსაფრთხოება და ურთიერთობა სამართალდამცავებთან 81
16. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 82
17. თემთაშორისი კომუნიკაცია და ურთიერთობა 83

შეჯამება და რეკომენდაციები **84**

შესავალი

„გადაუჭრელ კონფლიქტს მძიმე გავლენა აქვს ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე აფხაზეთში, ისევე როგორც კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე. ადამიანის უფლებების კუთხით არსებული რამდენიმე პრობლემა, შესაძლებელია, რომ გადაიჭრას კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის მიღწევამდე“.[1] ეს არის დასკვნა თომას ჰამერბერგის და მაგდალენა გრონოს ანგარიშიდან, რომელიც ერთადერთი ყოვლისმომცველი საერთაშორისო და დამოუკიდებელი ანგარიშია აფხაზეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიში, 2015-2016 წლებში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, ელჩ ჰერბერტ სალბერის ინიციატივით მომზადდა. ანგარიშში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გალში არსებული უფლებრივი მდგომარეობის აღწერას. სამწუხაროდ, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ეს ანგარიში ვერ იქცა ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტად, თუმცა დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის არარსებობის პირობებში, ის მნიშვნელოვანი წყაროა, სადაც აღწერილია აფხაზეთში და, მათ შორის, გალში არსებული უფლებრივი მდგომარეობა და ეფუძნება ადგილზე მიღებულ ინფორმაციას.

გალი ერთადერთი რაიონი იყო აფხაზეთში, რომლის მოსახლეობაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე მეტწილად ქართველებისგან შედგებოდა.[2] ომის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა მონაცემით, გალში ორმოციდან სამოც ათასამდე ადგილობრივი ქართველი დაბრუნდა.[3] გალში მცხოვრები ადამიანების სტატუსი დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა, აფხაზეთის სხვადასხვა დე ფაქტო ადმინისტრაციას განსხვავებული მიდგომები ჰქონდა, თუმცა ადგილობრივი საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა დღემდე არ არის მზად იქ მცხოვრები ქართველების აფხაზური საზოგადოების ნაწილად მისაღებად და მათთვის აფხაზების თანასწორი სამართლებრივი სტატუსისა და, შესაბამისად, თანასწორი უფლებებისა და თავისუფლებების მისანიჭებლად. ამაზე მიუთითებს თავად აფხაზეთის დღევანდელი სახალხო დამცველი ასიდა შაკრილიც, რომელმაც 2020 წელს, დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას მიმართა და გალის რაიონის მოსახლეობისთვის გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნისკენ მოუწოდა, რაც დისკრიმინაციულია აქ მცხოვრები ქართველების მიმართ.[4]

---

[1] თომას ჰამერბერგი, მაგდალენა გრონო, *ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს,* 2017, გვ. 10. ხელმისაწვდომია: https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf

[2] მალხაზ თორია, გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, გვ. 3.

[3] International Crisis Group, Abkhazia: Deepening Dependence, Europe Report no. 202 (2010) Sukhumi/Tbilisi/Istanbul/London, https://www.crisisgroup.org/europe- central-asia/caucasus/ georgia/abkhazia-deepening-dependence; Human Rights Watch, Living in Limbo: The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia (New York, NY, 2011), http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/georgia0711LR.pdf.

[4] აფხაზი ომბუდსმენი გალელების უფლებების დასაცავად ბჟანიას მიმართავს, 2021, „ნეტგაზეთი“, https://netgazeti.ge/news/523500/

იმ ფონზე, რომ გალელები აფხაზეთში სისტემურ დისკრიმინაციას განიცდიან და არ მიუწვდებათ ხელი საბაზო უფლებებზე, თავს მივიწყებულად და გარიყულად გრძნობენ ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდანაც,[5] რაც კვლევისას თავად გალელების რიტორიკაშიც გამოჩნდა. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს სახელმწიფო მათ თანაბარ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ განგრძობადი კონფლიქტის პირობებში ცხოვრობენ, და არ მიუწვდებათ ხელი ყველა იმ შესაძლებლობასა და სიკეთეზე, რასაც სახელმწიფო ზოგადად სხვა მოქალაქეებს სთავაზობს.

მიუხედავად იმისა, რომ გალში არსებულ მძიმე უფლებრივ მდგომარეობაზე წლებია უთითებენ საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციები, და საუბრობენ იქ მცხოვრები ადამიანებიც, ვითარება გალელებისთვის პრაქტიკულად უცვლელი რჩება, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კი, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ასევე, ეკონომიკური და სოციალური მიმართულებებით, მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება. სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული აქვს გალში არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა, არ შეუმუშავებია მიზანმიმართული სახელმწიფო პროგრამები და მხარდაჭერის მექანიზმები, რაც უშუალოდ ამ რაიონის მოსახლეობის პრობლემებს უპასუხებდა.

რაც შეეხება ახალგორს, აქ არსებული რეალობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა და იზოლაციაში მოქცეული ქართველი მოსახლეობისთვის ყოფა წლიდან წლამდე სულ უფრო მძიმდება. 2008 წლამდე საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის 40%-ს აკონტროლებდა, მათ შორის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს და ახალგორის რაიონს. ომის შემდეგ ამ ტერიტორიებზე საქართველომ კონტროლი დაკარგა.[6]

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ახალგორის მოსახლეობამ დაბრუნება დაიწყო, რისთვისაც ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას ხელი არ შეუშლია, მათ შორის, იმ მიზეზითაც, რომ მათი რიცხვი არ იყო იმხელა, რომ სამხრეთ ოსეთის რეგიონში მოსახლეობის რაოდენობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა. მაშინდელი დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ახალგორელებს პირადად დაჰპირდა უსაფრთხოებას. დე ფაქტო ადმინისტრაციის ამგვარი პოზიცია მაშინ იმითაც იყო განპირობებული, რომ სამხედრო თვალსაზრისით ახალგორის რაიონი ცხინვალისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის არ ყოფილა. ომის დროს აქ სამხედრო მოქმედებები ნაკლებად მიმდინარეობდა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა.[7] გარდა ამისა, ახალგორი ცხინვალის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი წყარო იყო

[5] მალხაზ თორია, გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, გვ. 4-5.
[6] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 7
[7] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 7.

საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის. აქ ქართული პროდუქცია ძირითადად ახალგორის გავლით შედიოდა, რაც ოსი ჩინოვნიკებისთვისაც ხელსაყრელი იყო.[8] 2008 წლის ომის შემდეგ, პირველ წლებში ახალგორში ქართველების დაბრუნების შემდეგ, სამხრეთ ოსეთში მათ მიმართ აგრესიული ან ნეგატიური დამოკიდებულება ან პოლიტიკა არ ყოფილა. მეტიც, დე ფაქტო ადმინისტრაციას სურდა მოეხდინა ახალგორელების ინტეგრაცია დე-ფაქტო პოლიტიკურ სისტემაში და ინფრასტრუქტულ პროექტებსაც კი ახორციელებდა. 2014-2015 წლებში დასრულდა ცხინვალი-ახალგორის 73 კილომეტრიანი გზის მშენებლობა, რომელზეც 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაიხარჯა,[9] აშენდა და გარემონტდა კულტურის სახლი, სკოლა-ინტერნატი, საავადმყოფო და ა.შ.

თუმცა 2019 წელს ჩორჩანა-წნელისის კრიზისის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა - ახალგორელები სრულ იზოლაციაში მოექცნენ. 2019 წელს დე ფაქტო ადმინისტრაციამ „რაზდრახანის“ (ოძისი/მოსაბრუნის) გადასასვლელი ჩაკეტა, ამან კრიტიკულად დაამძიმა ახალგორში უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა და რაიონის მოსახლეობისგან დაცლა გამოიწვია. დღეს არაოფიციალური წყაროებით ამბობენ, რომ მოსახლეობა შეიძლება 1000-ზე ნაკლებიც იყოს და მათი უმეტესობა ხანდაზმული ადამიანია. სოციალური მომსახურების სააგენტოს ღია წყაროებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციით, ახალგორის რაიონში პენსიის პაკეტს 1793 ადამიანი იღებს, სოციალური პაკეტს კი - 480 ადამიანი.[10] მოსახლეობისგან რაიონის დაცლა მეტწილად იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვის საბაზო სერვისებზე, მედიკამენტებზე, საკვები პროდუქტებიც ძალიან ძვირია, იზოლაციის პირობებში კი ამ ყველაფერზე წვდომა პრაქტიკულად შეზღუდულია.[11]

[8] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 8.
[9] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 8.
[10] http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=459&lang_id=GEO ეს მონაცემი, შესაძლოა, არ იყოს განახლებული.
[11] როგორ იცლება ახალგორი, კვირის პალიტრა, 2022 27 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/93974-rogor-icleba-axalgori/

კვლევის მეთოდოლოგია და მიზნები

კვლევის მიზანია შეისწავლოს და წარმოადგინოს გალსა და ახალგორში მცხოვრები ადამიანების უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. კვლევის საფუძველზე მომზადდება თემატური რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისთვის და დაიგეგმება ადვოკატირების შეხვედრები შესაბამის უწყებებთან. კვლევის მიზანია შეავსოს ცოდნის ვაკუუმი ამ რეგიონებთან მიმართებით და წარმოადგინოს განახლებული მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია საქართველოს კონტროლს მიღმა ამ ორ რეგიონში მცხოვრები ადამიანების ყოფის შესახებ.

ამ მიზნების შესასრულებლად სოციალური სამართლიანობის ცენტრმა რამდენიმე მეთოდი გამოიყენა: სამაგიდო კვლევის საშუალებით შეისწავლა ღია და სარწმუნო წყაროებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია - უახლესი ანგარიშები და კვლევები, რომლებიც მომზადებულია ადგილობრივი უფლებადამცველი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ასევე, მედია საშუალებებით გავრცელებული მასალები. გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტში გაანალიზებულია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

ამის პარალელურად, გალსა და ახალგორში, ადგილობრივ მკვლევრებთან თანამშრომლობით, ორგანიზაციამ შეისწავლა ამ რეგიონებში არსებული ვითარება, ჩატარდა ინტერვიუები მოსახლეობასთან, ზოგიერთი ინტერვიუ კვლევის გუნდმა ონლაინ საშუალებებით ჩაიწერა. მკვლევრებმა გალსა და ახალგორში შეისწავლეს ამ რეგიონების სოფლებში არსებული ვითარება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, სოციალური და უფლებრივი გარემო. **გალის რაიონში მკვლევარმა შეისწავლა ქალაქ გალში, ასევე, რაიონის 9 სოფელში არსებული მდგომარეობა.**[12] გარდა ამისა, კვლევის გუნდი საველე ვიზიტით იმყოფებოდა სოფლებში - ხურჩა და წყოუში-ფახულანი, რომლებიც გალის რაიონის სოფლების - ნაბაკევის და საბერიოს მეზობელი სოფლებია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. გალის რაიონის მცხოვრებლებისგან ჯამურად აღებულია 8 ჩაღრმავებული ინტერვიუ და ჩატარებულია 3 ფოკუს ჯგუფი (ფოკუს ჯგუფები ჩატარდა სოფლებში - ხურჩა, ფახულანი, და ზუგდიდში), ქალაქსა და 9 სოფელში კი ადგილის დათვალიერება მოხდა.

ახალგორის რაიონში ადგილობრივმა მკვლევარმა შეისწავლა დაბა ახალგორში არსებული მდგომარეობა და რაიონის 14 სოფელი,[13] სადაც ჩატარდა 31 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 1 ფოკუს ჯგუფი (ფოკუს ჯგუფი ჩატარდა სოფელ ხურვალეთში).

---

[12] ლეკუხონა; საბერიო; ჭუბურხინჯი; სიდა; ზემო ბარღეფი; თაგილონი; ნაბაკევი; ოტობაია; გაგიდა.
[13] ქარჩოხი, ლარგვისი, კორინთა, იკოთი, ახმაჯი, ბოლის საბჭო, რომელიც აერთიანებს სოფლებს: ზემო ბოლი, ქვემო ბოლი, მორბედაანი და ერედა; ყანჩავეთი, ბაზუაანი, მოსაბრუნი, ზაყორი, წინაგარა.

გალი

1. გალის რაიონის ზოგადი აღწერილობა

გალის რაიონი აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ენგურის დასავლეთით მდებარეობს. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 1995 წელს ჩამოაყალიბა გალის რაიონის ახალი საზღვრები, რომელიც ომამდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე პატარაა. სოფლები, რომლებიც შეცვლილ საზღვრებში ვერ მოხვდა - აჩიგვარა, გუდავა, ოხურეი, აგუ-ბედია, შეშელეთი, მუხური, კოხორა, პირველი გალი, ღუმურიში, ჩხორთოლი, წარჩე, ნახინგუ, რეფო-ეწერი, ოქუმი - ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონებს მიეკუთვნა. ეს სოფლები საქართველოს ოფიციალურ რუკაზე დღემდე გალის რაიონის საზღვრებს ეკუთვნის,[14] და ამ სოფლებში დღემდე ცხოვრობს ქართული მოსახლეობის ნაწილი.

გალის რაიონი განსაკუთრებულად ნოყიერი ნიადაგით, წყალუხვობით, მთების და ზღვის ნოტიო ჰავით გამოირჩევა. ხალხიც უმთავრესად აგრარულ სფეროშია დასაქმებული: თხილი, ციტრუსი, სიმინდი, სხვადასხვა სეზონური ბოსტნეული და ხილი, მეცხოველეობა. ქალაქისა და სოფლების მოსახლეობის დაახლოებით 85% მცირე თუ საშუალო სოფლის მეურნეობას მისდევს.

აფხაზეთის ომამდე გალში მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 80.000-მდე ადამიანი, ეთნიკურად ქართველი იყო. ომის შემდეგ დაახლოებით 47.000[15] გალელი თვითნებურად დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილს. თუმცა აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, მათზე არაერთი ინსტიტუციური შეზღუდვა ვრცელდება და მათ დღემდე არ შეუძლიათ ისარგებლონ ბაზისური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.[16] აფხაზური და ქართული მხარე ვერ თანხმდებიან „დაბრუნებულების“ დეფინიციაზე და რაოდენობაზე. ქართული მხარე მიიჩნევს, რომ გალში დაბრუნებული ადამიანები მაინც „დევნილის“ სტატუსის მატარებლები არიან, რადგან ისინი ღირსეულ და უსაფრთხო პირობებში არ დაბრუნებულან. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მონაცემებით, 2009 წლისთვის, აფხაზეთიდან 212,113 ეთნიკურად ქართველი დევნილია, რაც ასევე მოიცავს გალში დაბრუნებულ ადამიანებსაც. თუმცა აფხაზური მხარე მათ დევნილებად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს რაოდენობა 150.000-მდეა.[17]

გალელების თვითნებური, სპონტანური დაბრუნება საკუთარ სახლებში 1998 წლამდე გრძელდებოდა, ვიდრე შეტაკებები განახლდებოდა. 30.000-40.000 ადამიანი იძულებული იყო მეორედ დაეტოვებინა გალი. ამ პერიოდში განადგურდა ადგილობრივი

[14] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2021. გვ. 6.
[15] მონაცემები არ არის ზუსტი და სხვადასხვა კვლევაში განსხვავებულია.
[16] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 1.
[17] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 14.

ინფრასტრუქტურა, დაიწვა სკოლები და 1500-მდე სახლი. 1998 წლის 19 მაისს ქართველ და აფხაზ პარტიზანებს შორის დაპირისპირება გალის სოფლებში სერიოზულ სამხედრო კონფრონტრაციაში გადაიზარდა, რომელმაც 6 დღეს გასტანა. მანამდე, 1998 წლის თებერვალში, არძინბამ ქართული მხარე, ქართველების წინააღმდეგ, გალში ტერორისტული აქტის დაგეგმვის მცდელობაში დაადანაშაულა რათა საზოგადოებრივი აზრი აფხაზების წინააღმდეგ მობილიზაციისკენ მიემართა და დსთ სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანისკენ გადაედგა ნაბიჯები.[18] ქართულმა მხარემ 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების ღონისძიების გამართვა სოფელ ფიჩორში გადაწყვიტა.[19] აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა გალის ქართველ მოსახლეობას მიმართა, იგი არძინბას რეჟიმს ფაშიზმს ადარებდა და ერთგვარი მოწოდებაც იყო ბრძოლისკენ.[20] გალში დაწყებულ სამხედრო შეტაკებებს მეტწილად არაფორმალური, პარტიზანული დაჯგუფებები ხელმძღვანელობდნენ. ქართველი პარტიზანების (ტყის ძმები, თეთრი ლეგიონი) მიზანი იყო, რომ გალი დამოუკიდებლობის დღემდე - 26 მაისამდე დაებრუნებინათ. ქართველ პარტიზანებს და აფხაზებს, რუსებსა და ბაგრამიანის ბატალიონს შორის შეტაკებები გალის დაბალი ზონის სოფლებში დაიწყო - სიდაში, თაგილონში, ზემო და ქვემო ბარღებში, ნაბაკევში, ხუმუშქურში. ამ შეტაკებების დროს არაერთი ქართული სოფელი გადაიწვა. 1998 წლის მაისის მოვლენების შედეგად 40 000-მდე ქართველი ხელმეორედ იქცა დევნილად, გადაიწვა 1400-მდე სახლი.[21] მათი ნაწილი სიტუაციის დამშვიდების შემდეგ დაბრუნდა გალში, ნაწილი კი აღარ დაბრუნებულა. სამხედრო დაპირისპირების მეექვსე დღეს რუსი სამხედროები, სამშვიდობო ძალების მაშინდელი სტატუსით განთავსდნენ გალის რაიონში. გალის მოვლენებმა მძიმე დარტყმა მიაყენა ნდობის მშენებლობის და დიალოგის პროცესს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის. ხოლო 1999 წლის ოქტომბერში, აფხაზური მხარის მიერ „დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის“ მიღებამ, მოლაპარაკებების პროცესი კიდევ უფრო მეტად შეიყვანა ჩიხში.[22]

1999 წელს, დე ფაქტო პრეზიდენტ არძინბას ინიციატივით, გალის რაიონის მოსახლეობას უფლება მიეცა დაბრუნებულიყვნენ.[23] ვინაიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ შეუძლია აფხაზეთში სტატისტიკის წარმოება, საქართველოს უწყებები დე ფაქტო ხელისუფლებების სტატისტიკური მონაცემებით სარგებლობენ. ამ მონაცემებით, გალში 2016 წლის მდგომარეობით, 30247 ადამიანი ცხოვრობდა.[24]

---

[18] Freedom House, Freedom in the World 1998 - Abkhazia, 1998, available at: https://www.refworld.org/docid/5278c6bc5.html [accessed 19 November 2022]

[19] 1998 წლის 26 მაისი - „2:0, საქართველო მეორედ დამარცხდა“, 26 მაისი, 2014. https://kvirispalitra.ge/article/21779-1998-tslis-26-maisi-q20-saqarthvelo-meored-damarckhdaq/

[20] იგივე.

[21] Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia (S/1998/647), 13.

[22] გიორგი ანჩაბაძე, ივანე აბრამიშვილი, მალხაზ თორია და სხვები: აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში, კავკასიური სახლი, 2021. გვ. 189-190.

[23] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 15-16.

[24] გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI. 2020, 8.

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის მიზნებისთვის ადგილობრივი მკვლევრის მიერ შესწავლილი გალის სოფლების ზოგადი მდგომარეობის აღწერა:

ლეკუხონა (ალაკუმჰარა)[25]

ლეკუხონა გალის რაიონის მთიანი ზონის ერთ-ერთი სოფელია. აღმოსავლეთით სამეგრელოს სოფელ ფახულანს ესაზღვრება. მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 340 შეადგენს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია/მეგრელია. სოფელი მთებითაა გარშემორტყმული და ხედები კავკასიონზე იშლება. სოფელი ძალიან ლამაზია, მაგრამ ომმა მისი სოციალურ-კულტურული ცხოვრება სრულად წაშალა. მოსახლეობა სოფლის მეურნეობას და მეცხოველეობას მისდევს, რაც მათი შემოსავლის მთავარი წყაროა. აქ მოჰყავთ შემდეგი კულტურები: თხილი, სიმინდი, ციტრუსიც. სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ენგურჰესზეა დასაქმებული, რამაც მათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მობილობას შეუწყო ხელი. ჰესის თანამშრომლებისთვის საშვის და იქ მუშაობის დამადასტურებელი საბუთის მეშვეობით, სოფლის მცხოვრებლები მარტივად კვეთენ ე.წ. გამყოფ ხაზს. სოფელში ფუნქციონირებს 1 საშუალო სკოლა, სადაც დაახლოებით 35 ბავშვი სწავლობს.

საბერიო (ფაფნრჰუა)

საბერიო ლეკუხონას ესაზღვრება და გალიდან 15 კმ. აშორებს. ეს სოფელი ყველა სხვა სოფლისგან ეკონომიკური დოვლათით და ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. 1989 წლის მონაცემებით, აქ 4019 ადამიანი ცხოვრობდა. სოფელ საბერიოში მდებარეობს დასახლება ჩეღალი (მეგრულად „თეთრი მდინარე“), რომელიც ჰესის თანამშრომლების და მათი ოჯახებისთვის აშენდა. ჰესის თანამშრომლები დღემდე ამ დასახლებაში ცხოვრობენ. დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიუხედავად, საბერიო, სხვა სოფლებისგან განსხვავებით, მაინც მჭიდროდ დასახლებულად მიიჩნევა - 3155 მოსახლე. მოსახლეობის 60%-მა აქაურობა ჯერ კიდევ ქართულ-აფხაზური ომის დროს დატოვა. დღეს თითქმის ყველა მათგანი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. აფხაზეთში დარჩენილ 40%-ს კი, საქართველოს მოქალაქეობა აქვს, ნაწილს – აფხაზეთის და რუსეთის.[26] საბერიოზე, ისევე როგორც სხვა გამყოფი ხაზის სოფლებზე, საქართველოს ხელისუფლებამ კონტროლი 2008 წლის შემდეგ დაკარგა.[27]

---

[25] სოფლის მეორე სახელები კვლევაში წარმოდგენილია აფხაზურ ენაზე. გალის სოფლების ნაწილს აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ 2013 წელს სახელები გადაარქვა და ოფიციალურად მათი აფხაზური დასახელებები გამოიყენება. თუმცა მოსახლეობა მაინც ძველ, ქართულ დასახელებებს იყენებს. წყარო: რადიო თავისუფლება. *აფხაზეთში სოფლების ნაწილს სახელები გადაარქვეს,* 12 დეკემბერი, 2013. https://www.radiotavisupleba.ge/a/abkhazeti/25198377.html?fbclid=IwAR02QoeqI8tK8b1eTvDReYGJdh3vPNSK18cxKiTWNNyolQ1fP3YM8iEMnKc

[26] საბერიო – რეპორტაჟი გალის რაიონის სოფლიდან, 2016, „ნეტგაზეთი“, https://netgazeti.ge/south_caucasus/166037/

[27] რუსეთი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვარს გააკონტროლებს, რადიო თავისუფლება, 9 მაისი, 2009. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/1624554.html

ენგურჰესი, რომელიც სოფელში მთავარი სამუშაო ადგილია, სოფლის მკვიდრთა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის გარანტი გახდა. თუმცა ის ადამიანები, ვინც აქ ვერ იწყებენ მუშაობას, დასაქმების სხვა ალტერნატივების არარსებობის გამო, უპერსპექტივოდ რჩებიან. განსაკუთრებით შეეხება ეს ადგილობრივ ახალგაზრდებს.[28]

საბერიოში მოქმედებს ბაღი, ორი საშუალო სკოლა, მუსიკალური სკოლა, საავადმყოფო, რომელიც კარგად არის აღჭურვილი და გალის მოსახლეობა ხშირად დადის აქ ჯანდაცვის სერვისების მისაღებად; სოფლის გამგეობა, ეკლესია, რამდენიმე მაღაზია. საბერიო ენგურის მთავარ გამშვებ პუნქტთან ახლოს მდებარეობს, თვით სოფელშიც არის ერთ-ერთი გამშვები პუნქტი, რომელიც სოფელ ფახულანს ესაზღვრება. ეს გამშვები პუნქტი 2016 წლიდან ფუნქციონირებს.

ჭუბურხინჯი (ხაცჰა ან ჭუბურხინჯ)

ენგურის ხიდიდან გალში მიმავალ გზაზე, სოფელი ჭუბურხინჯი პირველი სოფელია. აქ მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც წირვა ქართულ და რუსულ ენაზე ტარდება. ეკლესიაში არაერთი ხატია ქართული წარწერით, ასევე, ლოცვანები და ფსალმუნები ქართულ ენაზე. მრევლიც ძირითადად ქართულენოვანია. ჭუბურხინჯში ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. 2011 წლის მონაცემებით, აქ 3340 ადამიანი ცხოვრობდა, თუმცა სოფლიდან ხალხი მასობრივად გადის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ან რუსეთში, ან სხვა ქვეყნებში. 2012 წლის მაისში სოფელში რუსების სამხედრო-საცხოვრებელი ბაზა გაიხსნა.[29] სოფელში მდებარეობს ბაღი და ორი საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, სკოლასთან ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. კულტურის სახლი დანიის დევნილთა საბჭოც (DRC) მხარდაჭერით გარემონტდა რამდენიმე წლის წინ.

სიდა

სოფელი სიდა გალიდან სამხრეთით 14 კმ-ში მდებარეობს. სოფელი განსაკუთრებულად მივიწყებულია, და იქ ადგილობრივი მოსახლეობა (დაახლოებით 180-250 ადამიანი) გზის, წყლის, მდგრადი ელექტროენერგიის, ინტერნეტის გარეშე ცხოვრობს. ომამდეც და ომის შემდეგაც სოფლის მოსახლეების სრულ უმრავლესობას ქართველები/მეგრელები შეადგენენ, რომლებმაც 1992-1993 წლებში, შემდგომ კი, 1998 წელს დატოვეს სოფელი. 2000-იანი წლების დასაწყისიდან, სოფლის მოსახლეობამ ეტაპობრივი დაბრუნება დაიწყო. როგორც კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, საომარი მოქმედებების შედეგად სოფელში ვერცერთი სახლი ვერ გადაურჩა გადაწვას. დარჩა მხოლოდ სახლების ნანგრევები, რომლებზეც სოფელში დაბრუნებულებმა, დააშენეს სახლები. ბაღი, სკოლა,

[28] საბერიო, რეპორტაჟი გალის რაიონის სოფლიდან, „ნეტგაზეთი“, 3 დეკემბერი, 2016. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/south_caucasus/166037/

[29] В селе Чубурхиндж Гальского района введен в эксплуатацию новый военный городок Погрануправления ФСБ России в Абхазии. https://web.archive.org/web/20120529010619/http:/apsnypress.info/news/6350.html

(სკოლაში ფუნქციონირებს ერთ სამედიცინო პუნქტი) და სოფლის გამგეობა ერთ შენობაში იყრის თავს. საბჭოთა კავშირის დროს ამ სოფელში საკმაოდ განვითარებული იყო მეჩაიეობა. დღესაცაა შემორჩენილი მოუვლელი ჩაის ბუჩქები.

ზემო ბარღები

ზემო ბარღებშიც, ჩაი, სიმინდი და თხილი სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურა იყო. 1992-1993 წლის ომამდე, აქაც მოქმედებდა ჩაის ფაბრიკა. ომის დროს და განსაკუთრებით 1998 წლის მძიმე მოვლენების დროს ამ სოფლის სახლებიც თითქმის მთლიანად გადაიწვა და ხალხმა სოფელი დატოვა. მას შემდეგ, რაც სიტუაცია შედარებით მოწესრიგდა, ხალხი ეტაპობრივად დაუბრუნდა სოფელს. სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითად წყაროდ დღესაც მეცხოველეობა რჩება. სოფელში არის ბაღი, სკოლა, სოფლის ადმინისტრაციის შენობა და სამედიცინო პუნქტი.

თაგილონი

მდ. ენგურის დასავლეთით, გალიდან 25 კმ-ში, ხოლო ზღვიდან 25 კმ-ში მდებარეობს სოფელი თაგილონი. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები/მეგრელები შეადგენენ და მათი რაოდენობა 1500-2500-მდე მერყეობს, თუმცა ეს სოფელიც ეტაპობრივად იცლება. სოფელში ფუნქციონირებდა ორი საშუალო სკოლა, თუმცა ერთი 2015 წელს დაიხურა მოსწავლეების კონტიგენტის ნაკლებობის გამო. აქ ასევე არის ერთი სამედიცინო პუნქტი.

 როგორც ყველა გამყოფი ხაზისპირა სოფელში, აქაც გადაადგილების, პასპორტიზაციის, ნორმალური განათლების, სამედიცინო სერვისების მიღების პრობლემაა. საბჭოთა კავშირის დროს აქ ჩაის ფაბრიკა მოქმედებდა. დღეს შემოსავლის მთავარი წყარო თხილია. თხილის მოსავლიანობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შემოსავლიანი იქნება წელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. სოფელში, 90-იან წლებში, სწორედ იმიტომ, რომ ამ ზონაში ბევრი თხილია და მოსახლეობას შედარებით მეტი შემოსავალი აქვს, ხშირად ხდებოდა ყაჩაღობა-გაქურდვის ფაქტები. სოფელში კრიმინალური ინციდენტები ახლაც გვხვდება.

ნაბაკევი (ბატაიგუარა)

სოფელი მდებარეობს გალიდან 24 კმ-ში, სამხრეთით, ე.წ. გამყოფ ხაზთან, სოფელ ხურჩასთან. აქ დაახლოებით 400-500 ადამიანი ცხოვრობს. სოფელში განთავსებული იყო სამშვიდობო ძალების სამხედრო ბაზა, დღეს იქ რუსი ჯარისკაცები და მათი ოჯახები ცხოვრობენ. სოფელში არცერთი ადმინისტრაციული შენობა არ დგას. ადმინისტრაციული საქმიანობა თვითონ გალის ადმინისტრაციაში წარმოებს. ნაბაკევში არის სკოლა, სადაც 80-მდე ბავშვი სწავლობს. სამხედრო ბაზის არსებობის პირობებში, გადაადგილების თავისუფლება, ხშირად სოფლის შიდა ტერიტორიაზეც კი ფერხდება. მათ, ვისაც ე.წ.

საზღვრის კვეთისთვის საჭირო საბუთი არ გააჩნიათ, არ შეუძლიათ არა მხოლოდ გადაადგილება, არამედ არ აქვთ წვდომა სხვადასხვა სერვისზე.

სოფელ ნაბაკევში მხოლოდ ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რუსულ ბაზაზე მცხოვრები პირების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. დღეს ნაბაკევში გარდა რუსული ბაზისა და სკოლისა, არც ერთი სხვა ადმინისტრაციული შენობა არ არსებობს. ცენტრში რამდენიმე მაღაზია ფუნქციონირებს. ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა. სოფელში არის საავადმყოფო, სადაც ასევე აქვთ სასწრაფო დახმარების მანქანა.

დაბალი ზონის ყველა სხვა სოფლის მსგავსად, 1998 წლის მოვლენებმა დიდი დაღი დაასვა სოფელსაც და მის მცხოვრებთა ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

<u>ოტობაია</u>

ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 7 კმ-ში, ხოლო გალიდან 40 კმ-ში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს სოფელი პირველი ოტობაია. ოტობაიას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ორსანტია ესაზღვრება. აქ დაახლოებით 700-მდე ადამიანი ცხოვრობს. სოფელში არის საავადმყოფო და ორი საშუალო სკოლა. ასევე, სოფელში მდებარეობს რუსების სამხედრო ბაზა, რომელიც სიდიდით პირველია გალის რაიონში. როგორც სხვა გამყოფი ხაზისპირა სოფლებში, ოტობაიას აღმოსავლეთ ზოლში, მდინარე ენგურის გასწვრივ გავლებულია მავთულხლართები.

აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ, ოტობაია-ორსანტიას გადასასვლელი პუნქტი, ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელთან ერთად, 2017 წლის 5 მარტს დახურა. სოფლის მოსახლეობისთვის გადაადგილება მანამდეც რთული და სახიფათო იყო და გადასასვლელი პუნქტების დახურვამ მიმოსვლის თავისუფლება კიდევ უფრო გაართულა.[30] ხიდი, რომელიც ორსანტია-ოტობაიას აკავშირებდა, ადამიანებს ავტობუსით, „მარშუტკით“ ან საკუთარი მანქანით შეეძლოთ გადაელახათ, თუმცა მუდმივად უწევდათ შეემოწმებინათ გადასვლის უსაფრთხოება, რუსი სამხედროების ხასიათი და კონტროლის სიმკაცრის დონე. იყო მანქანების წართმევის პრაქტიკაც, რაც საკმაოდ „შემოსავლიანი ბიზნესი“ იყო ე.წ. მესაზღვრეებისათვის. ამის გამო მოსახლეობა არჩევდა, ოტობაიაში დაეტოვებინათ მანქანა და ფეხით ან ფორნით გადასულიყვნენ, რაც უამინდობის დროს სახიფათოც იყო.[31] მოსახლეობას ახლა ენგურის ხიდის გავლით უწევს საქართველოს

[30] მავთულხლართების გამო, მიცვალებული აფხაზეთში სამეგრელოდან დაიტირეს. ისტორია, იმედი ნიუს, თებერვალი, 2019. https://imedinews.ge/ge/politika/97256/mavtulkhlartebis-gamo-mitsvalebuli-apkhazetshi-samegrelodan-daitires-istoria

[31] ოტობაია - ქართული სოფელი ოკუპირებულ აფხაზეთში. Humanrights.ge. 23 აგვისტო, 2010. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12175&lang=Geo

კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება და პირიქით. გადაადგილების გამკაცრებამ სოფლების მოსახლეობას შორის მჭიდრო სოციალური და ეკონომიკური კავშირები გაწყვიტა.

<u>გაგიდა</u>

სოფელი გალიდან 33 კმ-ში, ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. აქედან განმუხური და ანაკლია მოჩანს. გაგიდაში თხილის პლანტაციები და სიმინდის ყანებია გაშენებული, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ასევე დაკავებულია მეცხოველეობით. სოფელში 400-მდე ადამიანი ცხოვრობს. აქაც, როგორც დაბალი ზონის სხვა სოფლებში, დიდი პრობლემა იყო კრიმინალი, თუმცა ბოლო წლებში მისმა რაოდენობამ შედარებით იკლო. გაგიდაში არის საშუალო სკოლა რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში, მოსწავლეების სიმცირის გამო არ არემონტებენ. თუ დაიხურა სკოლა, მოსწავლეებს მოუწევთ წასვლა სოფელ ფიჩორში, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 8-10 კმ. ტრანსპორტის გარეშე ბავშვები სკოლაში ვერ მივლენ.

<u>ქალაქი გალი</u>

გალი ენგურის ხიდიდან 12, ხოლო სოხუმიდან 77 კმ-ში მდებარეობს. ბოლო მონაცემებით, ქალაქში დაახლოებით 7000 ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ იქაურობა მკვეთრად დაცარიელდა ბოლო წლებში, რაც უპირველეს ყოვლისა აფხაზეთის პასპორტიზაციის პროცესს უკავშირდება, შემდეგ კი სერვისებთან შეზღუდულ წვდომასა და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. სოფლის მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია, თუმცა იმის გამო, რომ ნიადაგზე შესაბამისი სამუშაოები არ ტარდება, იგი გამოფიტულია, რაც მოსავლიანობას ყოველწლიურად ამცირებს. გალელები და რაიონის მცხოვრებლები პასპორტიზაციის პრობლემებთან ერთად, სწორედ გამოფიტული და უნაყოფო ნიადაგის გამო წუხან.

გალში არის 2 ბაღი, მუსიკალური სკოლა, პირველი და მეორე საშუალო სკოლები, სადაც სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ქალაქში ასევე ვხვდებით კოლეჯს, ქალაქის ადმინისტრაციის შენობას, განათლების განყოფილების შენობას, ბანკებს, საავადმყოფოს, კულტურის სახლს, სამხატვრო სკოლას, რესტორნებს, ბაზარს, მაღაზიებს, სილამაზის სალონებს, ასევე რუსულ სამხედრო ოფისსა და საცხოვრებელ ბაზას. გზები ცენტრალურ ქუჩებში ენგურის ხიდამდე გაყვანილია, ასევე ენგურის ხიდიდან ფსოუს საზღვრამდე.

2. ძირითადი ინფრასტრუქტურული საკითხები გალსა და მიმდებარე სოფლებში

<u>წყლის ინფრასტრუქტურა</u>

გალის რაიონში წყლის მიწოდების პრობლემა 90-იანი წლების ომის შემდეგ დღემდე არ გადაჭრილა. მთელ რაიონში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელი წყლის მილებია განთავსებული, რომელთა დიდი ნაწილი აღარ ფუნქციონირებს. სასმელი წყალი ხელმიუწვდომელია როგორც სოფლებში, ისე ქალაქის შემაღლებულ ადგილებში. სასმელი წყალი ხშირად ცუდი ხარისხის არის და მოსახლეობა ან ბუნებრივი წყაროებიდან აგროვებს სასმელ წყალს, ან მაღაზიაში ყიდულობს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სარემონტო სამუშაოების გამო, წყალი რამდენიმე დღე ან კვირა არ ჰქონია მოსახლეობას.

ზოგიერთ სოფელში ასევე პრობლემურია წვდომა სარწყავ წყალზე. ხშირად მოსახლეობას სარწყავი წყალი საკუთარი რესურსებით აქვს გაყვანილი. მათი თქმით, წლიდან წლამდე კლიმატი იცვლება და მდინარეები შრება, ამიტომ მათთვის ბუნებრივად ხელმისაწვდომი წყლის რესურსებიც მცირდება, რასაც აქამდე სარწყავად და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის იყენებდნენ. მოსახლეობა ხშირად წვიმას ელოდება მოსარწყავად და მასზეა დამოკიდებული. ამის გამო ამბობენ, რომ ნიადაგი ფუჭდება და მოსავლის ხარისხზე ეს უარყოფითად აისახება.

<u>გაზის ინფრასტრუქტურა</u>

რაიონი არ არის გაზიფიცირებული, აქ გაზი მხოლოდ ე.წ. „ბალონებით“ არის ხელმისაწვდომი, რომლის შევსება მხოლოდ ქალაქ გალშია შესაძლებელი და სოფლებში გაზის მანქანა არასტაბილურად დადის.

<u>ელექტროენერგია</u>

აფხაზეთს ენგურჰესის გამომუშავებული ენერგიის 45 % ეკუთვნის, რადგან ჰესის ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზეც მდებარეობს. თუმცა აფხაზეთი გადაჭარბებულად იყენებს ელექტროენერგიას (56%), რაც გამოწვეულია იმით რომ ენგურჰესის ენერგიის სხვა ალტერნატივა რეგიონში არ არსებობს. სწორედ ამიტომ ელექტროენერგია გამოიყენება არაერთი დანიშნულებით - გათბობისთვის, განათებისთვის, საყოფაცხოვრებო საქმეებისთვის და სხვ. ამის გამო, ზამთარში მთელ აფხაზეთს დენი ყოველდღიურად, დადგენილი გრაფიკით მიეწოდება. მაგალითად, სოხუმში შეიძლება ელექტროენერგია 6-7 საათით შეწყდეს, გალში კი გრაფიკის მიხედვით, ყოველდღიურად 4 საათით თიშავენ, 5-დან 7 საათამდე და დილის 3-დან 5 საათამდე.

გალელები ელექტროენერგიის დეფიციტის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. პირველ რიგში, მათი აზრით, ელექტროენერგიას გადაჭარბებით აფხაზეთი სწორედ ბიტკოინების „მაინერების“ საქმიანობის გამო მოიხმარს. გალელები ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ „მაინერების“ საქმიანობა არა მხოლოდ ადგილობრივ აფხაზებს, ქართველებს და რუსებს, არამედ ქართველ ჩინოვნიკებსაც უკავშირდება.

ელექტროენერგიის დეფიციტის მეორე მიზეზია ბუნებრივი პრობლემები წყლის გაყინვასთან და კლებასთან დაკავშირებით, რის გამოც ენგურჰესი საკმარის ენერგიას ვერ

გამოიმუშავებს. ხანდახან უამინდობის და ენგურის წყალსაცავში ნაკლები წყლის გამო, მოსახლეობას ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება.

გარდა ამისა, ელექტროენერგიის პრობლემა ხშირად არის გამოწვეული შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობით. სოფლებში უამინდობის გამო ინფრასტრუქტურა რეგულარულად ფუჭდება, რაც უშუქობის მიზეზი ხდება. მაგალითად, ეს პრობლემა განსაკუთრებით ხშირია სოფელ სიდაში და სხვა დაბალი ზონის სოფლებში, ჭუბურხინჯში, ზემო ბარღებში, თაგილონში, ნაბაკევში და სხვ. მოსახლეობის თქმით, ინფრასტრუქტურას არემონტებენ ხოლმე, თუმცა ეს არ ხდება საფუძვლიანად და ხარისხიანად, რაც უამინდობის და ქარის შემთხვევაში, ხშირად იწვევს დაზიანებებს და, შესაბამისად, უშუქობასაც.

მაღალი ზონის სოფლებში - ლეკუხონასა და საბერიოში, ელექტროენერგიის მიწოდება სხვა სოფლებთან შედარებით, მოწესრიგებულია. სოფელ საბერიოში მდებარეობს ელექტროსადგური და ჰესის თანამშრომელთა დასახლება ჩეღალი, რის გამოც ეს საკითხი აქ ნაკლებად პრობლემურია.

<u>საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა</u>

რაც შეეხება სატრანსპორტო სისტემას - ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობს, ხელმისაწვდომია მხოლოდ ტაქსი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობს მხოლოდ სოფლების მიმართულებით. ბაზრის დღეებში: ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას შეიძლება სოფლიდან ქალაქში და პირიქით მოხვედრა. გრაფიკიც განსაზღვრულია: დილით ადრე და შუადღეს ავტობუსი სოფელში ბრუნდება. ტრანსპორტი მოძრაობს როგორც გალის დაბალი ზონის სოფლებისკენ (ჭუბურხინჯი, ბარღები, სიდა, თაგილონი, ნაბაკევი, ოტობაია), ისე მაღალი ზონის სოფლებში, როგორებიცაა საბერიო, ლეკუხონა, რეჩხი, ცხირი და ა.შ. თითქმის ყველა სოფლიდან დადის ყოველ დღე სამარშრუტო ტაქსები ყველა მიმართულებით: სოხუმი, გალი, ენგურის ხიდი.

<u>ინტერნეტი</u>

ინტერნეტთან წვდომა გალში თითქმის ყველას აქვს, ასევე თითქმის ყველა სოფელშია გაყვანილი აფხაზური საკაბელო ინტერნეტი. გარდა ამისა, გამყოფი ხაზისპირა სოფლებში ქართულ სატელიტურ ინტერნეტსაც იყენებენ, თუმცა აფხაზური ინტერნეტი ხარისხობრივად ქართულს ჯობია. 1 თვის ინტერნეტის საფასური აფხაზეთში 900 რუბლი, ანუ 35 ლარია.

<u>სამედიცინო ინფრასტრუქტურა</u>

გალის რაიონში ფუნქციონირებს გალის ცენტრალური საავადმყოფო, ყველა სოფელს კი აქვს მცირე ამბულატორია. ასევე გალში იგეგმება კერძო დიაგნოსტიკური ცენტრის გახსნა და სხვადასხვა სამედიცინო სერვისს შესთავაზებს ადგილობრივებს. სასწრაფო დახმარების

მანქანა მხოლოდ სოფელ ნაბაკევსა და ოტობაიაშია განთავსებული, რაც პრობლემურია სხვა სოფლების მოსახლეობისთვის.

სოფლის სამედიცინო პუნქტებში (ამბულატორიებში) მუშაობენ მხოლოდ ექთნები, რომლებსაც პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა შეუძლიათ, გამონაკლისია სოფელი ბარღები, სადაც მუშაობს 1 ექიმი და სამი ექთანი.

სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა მხოლოდ გალის ცენტრალურ საავადმყოფოშია შესაძლებელი, თუმცა მძიმე შემთხვევის დროს, გარკვეული პროცედურის გავლის შემდეგ, პაციენტი ზუგდიდში, ქუთაისში, ან თბილისში გადმოჰყავთ სამედიცინო დახმარების გასაწევად.

<u>გარემოსდაცვითი მდგომარეობა გალში</u>

მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს გალში მოწყობილი ნაგავსაყრელი. მათი თქმით, ბოლო ოთხი წელია, სოხუმიდან ნაგავი ყოველდღიურად ჩამოაქვთ გალში და ღია პოლიგონზე ყრიან, რაც აზიანებს გარემოს და იქ მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობას.[32] სოფელ შაშიკვარაში ქარიან დღეებში ნაგავსაყრელიდან მძიმე სუნი მიდის, რაც სოფლის მცხოვრებლებს ძალიან აწუხებთ.[33] სოფელ შაშიკვარაში, რომელიც ნაგავსაყრელიდან 500 მეტრითაა დაშორებული (გალის რაიონული ცენტრიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ეს სოფელი), 1400-მდე მოსახლე ცხოვრობს, უმეტესობა ეთნიკურად ქართველი.

იქაურების თქმით, ყოველდღე 20-მდე სატვირთო მანქანა მოდის სოხუმიდან გალში და ნაგავს ყრის. ნაგავი იყრება პირდაპირ პოლიგონზე, გადაუმუშავებლად და დაუხარისხებლად.[34]

2019 წელს, სოხუმში, მაიაკის რაიონში განთავსებული ნაგავსაყრელი ადგილობრივი მცხოვრებლების მოთხოვნით დაიხურა, რადგან გადაივსო. გალის რაიონის მაშინდელმა ადმინისტრაციის უფროსმა, თემურ ნადარაიამ თვითონ გამოიჩინა ინიციატივა, რომ ნაგავი გალში დაყრილიყო.[35] ეს ნაგავსაყრელი მანამდე მხოლოდ გალს ემსახურებოდა, თუმცა 2019 წლიდან სოხუმსაც ემსახურება. მოსახლეობის თქმით, დაბინძურდა ნიადაგი, ჰაერი, ქარის დროს ზამთარშიც საშინელი სუნი დგას და ზაფხულში მდგომარეობა გაუსაძლისია. ეს გარემო ასევე საზიანოა საქონლისთვისაც, რადგან ნაგავსაყრელთან ახლოს საძოვრებიცაა.

---

[32] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

[33] https://www.radiotavisupleba.ge/a/დღეში-20-მდე-სატვირთო-მანქანა-ნაგავი-სოხუმიდან---რა-ეშველება-გალის-ნაგავსაყრელს/31660144.html.

[34] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

[35] ფილია გალის ნაგავსაყრელზე - ნარჩენების ენგურით გატანის წინადადებას განვიხილავთ, რადიო ათინათი, 12 იანვარი, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radioatinati.ge/regioni/article/78431-filia-galis-nagavsayrelze-narchenebis-engurith-gatanis-tsinadadebas-ganvikhilavth.html

დაბინძურებულია წყალიც, რომელსაც ხალხი სასმელად იყენებს.[36] გალის ახლანდელი ადმინისტრაციის უფროსი კონსტანტინე ფილია ამბობს, რომ მიმდინარეობს მუშაობა ახალი ნაგავსაყრელის გახსნაზე გულრიფშის რაიონში, რომელიც 2021 წელს უნდა გახსნილიყო და ეს საკითხი 2022 წლისთვის გადაიდო.

ბიუჯეტი

გალის რაიონის ყოველწლიური ბიუჯეტია 192 მლნ. რუბლი (8.5 მილიონი ლარი), აქედან 48 მლნ. რუბლს (2 მილიონ ლარს) გადასახადებით აგროვებს გალის რაიონი, დანარჩენს კი აფხაზეთის დე ფაქტო ბიუჯეტი აფინანსებს. ქალაქები - გაგრა, სოხუმი და გუდაუთა წლიურად გადაჭარბებით ასრულებენ ბიუჯეტს, რაც ძირითადად ამ ქალაქებში აქტიური ტურისტული ტალღებით და ტურიზმის ეკონომიკით აიხსნება.[37]

2020 წლის დეკემბერში ხმაურიანი განხილვა იყო დე ფაქტო პარლამენტში, სადაც აფხაზმა დეპუტატებმა გალის დაფინანსების შემცირების საკითხი დააყენეს. მათი აზრით, გალში, სადაც მხოლოდ 1000-მდე ქართველს აქვს აღებული აფხაზური პასპორტი, დაფინანსებას არ უნდა იღებდნენ აფხაზეთის ბიუჯეტიდან.[38]

ბიუჯეტი გალს 2021 წლიდან უფრო და უფრო უმცირდება. მაგალითად, 2021 წელს 30%-ით შემცირდა გალის ბიუჯეტი, იმ დასაბუთებით, რომ ადგილობრივი მასწავლებლები და სასწრაფო დახმარების ექიმები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიდანაც იღებენ ხელფასებს ე.წ. დანამატის სახით, სამ თვეში ერთხელ.[39] ექიმები და მასწავლებლები, კვარტალში ერთხელ იღებენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან ე.წ. დახმარებას. სკოლის მასწავლებლები კვარტალში 1000 ლარს, ხოლო ბაღის - 600. აღსანიშნავია, რომ მაშინ როცა დანარჩენ აფხაზეთში მასწავლებლებს 100 ან 150%ით მოუმატეს ხელფასები, გალში პირიქით, შემცირდა მისი ოდენობა.

3. მოქალაქეობის და დოკუმენტაციის საკითხი და თანმდევი პრობლემები (წვდომა საბაზო უფლებებზე)

2005 წლიდან აფხაზეთში მოქმედებს კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, სადაც განსაზღვრულია კრიტერიუმები, ვის და როგორ შეუძლია მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა. აფხაზური პასპორტი არის აფხაზეთის მოქალაქეობის დამდასტურებელი დოკუმენტი, რომლის ფლობაც აუცილებელია სხვადასხვა

[36] ცხოვრება ნაგავსაყრელზე, კვირის პალიტრა, 24 იანვარი, 2022. ხელმისაწვდომია: https://kvirispalitra.ge/article/88582-cxovreba-nagavsaqrelze/

[37] ინტერვიუ გალის მცხოვრებთან, ივნისი, 2022.

[38] Гальскому району грозит урезание дотаций, 23 დეკემბერი, 2020, ეხოკავკაზა. https://www.ekhokavkaza.com/a/31017724.html?fbclid=IwAR18dBcIHhGS3tsgrFHegWAt5jqA3-DHRziYW3LmYPrLq4cGkc7OlJemUiw

[39] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022,

პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების განსახორციელებლად, მათ შორის, არჩევნებში მონაწილეობისთვის, არჩევნებში კანდიდატურის წარსადგენად, ასევე, ხმის მისაცემად, უნივერსიტეტის დიპლომის ან სკოლის ატესტატის ასაღებად, საკუთრების უფლების რეალიზებისთვის, საზღვრის კვეთისთვის და სხვადასხვა „სახელმწიფო სერვისზე“ ხელმისაწვდომობისთვის.[40]

2009 წელს აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო ცვლილებები მოქალაქეობის შესახებ კანონში, რომელიც გალში დაბრუნებული ქართველებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მისაღებად გამარტივებულ პროცედურას ადგენდა. თუმცა დე ფაქტო პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაფშმა აფხაზური ოპოზიციის ზეწოლის შედეგად ვეტო დაადო კანონპროექტს და პარლამენტს დაუბრუნა გადასახედად.[41] 2010 წლის ბოლოს, დე ფაქტო პრეზიდენტის, სერგეი ბაღაფშის პერიოდში პასპორტების გაცემის პროცესი აღდგა, თუმცა ნელა და სირთულეებით. ამ პროცესმა აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.[42] ბაღაფშს, რომელსაც ეთნიკურად ქართველი ცოლი ჰყავდა, ოპოზიცია ანტიაფხაზურ ქმედებებსა და აფხაზეთისთვის საფრთხის შექმნაში ადანაშაულებდა. პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად, 2013 წელს ბაღაფშის მემკვიდრემ, ალექსანდრე ანქვაბმა გააუქმა გალელებისთვის გაცემული 20.000-მდე აფხაზური პასპორტი და დაიწყო ე.წ. „ფორმა №9“-ის გაცემა.[43] „ფორმა №9“-ს გალელები იყენებდნენ გადაადგილებისთვის, ასევე ხმის მისაცემად, სკოლის ატესტატის მისაღებად, და სხვა სამოქალაქო აქტებისთვის; 2017 წლიდან კი დაინერგა ბინადრობის მოწმობების გაცემა გალელებისთვის, რითაც ნაწილობრივ ჩანაცვლდა ე.წ. „ფორმა 9“ და სრულად გაუქმდა ძველი აფხაზური პასპორტები.[44] ბინადრობის მოწმობით გალელები ვერ მონაწილეობენ არჩევნებში, იხდიან ორმაგ მოსაკრებელს კომუნალურებისთვის და არ შეუძლიათ საკუთრების განკარგვა.

2022 წლიდან ასევე სრულად გაუქმდა „ფორმა №9“, რაც კიდევ უფრო ართულებს გალელების მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2017 წლამდე, „ფორმა №9“-ით დაახლოებით 12 000 პირი სარგებლობდა. 2017 წლის შემდეგ, დე ფაქტო ადმინისტრაციამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, როდესაც ძველი აფხაზური პასპორტები ხმარებიდან ამოიღო, ხოლო „ფორმა №9“-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო.[45] გალელების დიდი ნაწილი ბინადრობის მოწმობის აღებას ეწინააღმდეგებოდა.[46] მისი მოქმედების ვადა ხუთი წელია, და უკვე იწურება

[40] Living in Limbo, 31.
[41] Living in Limbo, 33.
[42] პოლიტიკური ტრანზიციები აფხაზეთში და დღევანდელობა - ინტერვიუ აფხაზ სამოქალაქო აქტივისტთან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 19 სექტემბერი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-tranzitsiebi-afkhazetshi-da-dghevandeloba-interviu-afkhaz-samokalako-aktivisttan
[43] რაში სჭირდებათ გალელ ქართველებს აფხაზური პასპორტი, რადიო თავისუფლება, 11 თებერვალი, 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/რაში-სჭირდებათ-გალელ-ქართველებს-აფხაზური-პასპორტი-/31699227.html
[44] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2021, 3.
[45] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 331.
[46] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 331.

მათთვის, ვინც ეს საბუთი 2017 წელს აიღო. ბინადრობის მოწმობის აღება გალის რაიონის მცხოვრებლებისთვის იმთავითვე მიუღებელი იყო, რადგან საკუთარ, მშობლიურ ტერიტორიაზე მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებდა. ბევრი გალელი დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდა ბინადრობის სტატუსის აღებაზე, თუმცა სხვა სტატუსის არარსებობის პირობებში, გადაადგილების თავისუფლება სრულად ეზღუდებოდათ. ამიტომ, იძულებული გახდნენ აეღოთ ბინადრობის მოწმობები.[47] გალელები ფიქრობდნენ, რომ ბინადრობის მოწმობის 5-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებლობა ექნებოდათ აფხაზეთის მოქალაქეობაც მიეღოთ, თუმცა ეს არ მოხდა.[48] აფხაზური კანონმდებლობა ორმაგ მოქალაქეობას უშვებს მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან. რადგან გალელებს საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, არ შეუძლიათ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობაც, რაც მთელ რიგ უფლებრივ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. თუმცა აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გალელების ის ნაწილი, რომელსაც აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა (დაახლოებით 1000-ზე მეტი ადამიანი) ასევე არის საქართველოს მოქალაქეც და ეს სტატუსი მათ წართმეული არ აქვთ.[49]

დღეს გალელების დიდ უმრავლესობას არ აქვს პასპორტი, ისინი ძირითადად საქართველოს პირადობის მოწმობას ან/და პასპორტს ფლობენ, რასაც აფხაზური დე ფაქტო ადმინისტრაცია არ აღიარებს. აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია აფხაზეთის პასპორტის აღებას არ ხდის სავალდებულოს გალის მოსახლეობისთვის, თუმცა ვინაიდან აფხაზეთის მოქალაქეობა უშუალოდ არის დაკავშირებული სხვადასხვა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებასთან, ის ირიბად მაინც სავალდებულო გამოდის. Human Rights Watch-ის 2011 წლის ანგარიშში ნახსენებია არაერთი შემთხვევა, როდესაც გალში მომუშავე მასწავლებლებს აიძულებდნენ აეღოთ აფხაზეთის მოქალაქეობა.[50]

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, გალში აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი ძალიან ცოტას შეიძლება ჰქონდეს. მათთვის ეს სტატუსი მეტწილად მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების რეალიზებისთვის და ე.წ. საზღვრის კვეთისთვის, სხვა მიზნით მათ ამ სტატუსის მიღება ნაკლებად აინტერესებთ. აფხაზური წყაროების მიხედვით, გალის რაიონში მცხოვრები 30.000-ზე მეტი ადამიანიდან აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეობა მხოლოდ 1 000-მდე მცხოვრებს აქვს.[51] საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2021 წლის მონაცემებით, გალის რაიონში 20 224 ადამიანი ფლობს ე.წ. ბინადრობის მოწმობას, ხოლო 1 065 ადამიანი - დე ფაქტო პასპორტს.[52] კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ვისაც აფხაზური პასპორტი აქვს

---

[47] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2021, 3; ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[48] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[49] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[50] Living in Limbo, 37-39.
[51] https://www.radiotavisupleba.ge/a/რაში-სჭირდებათ-გალელ-ქართველებს-აფხაზური-პასპორტი-/31699227.html; Эхо Кавказа, 2017, Гальскому району грозит урезание дотаций. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/31017724.html?fbclid=IwAR18dBcIHhGS3tsgrFHegWAt5jqA3-DHRziYW3LmYPrLq4cGkc7OlJemUiw
[52] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 332.

აღებული, აფხაზური წარმოშობის გვარი აქვთ და ამიტომ შეძლეს პასპორტის აღება. ასევე არიან მასწავლებლები და სკოლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებმაც წლების წინ აიღეს აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი, სავარაუდოდ, იმიტომ რომ უფრო ლოიალური ხალხია დე ფაქტო ადმინისტრაციის მიმართ და არჩევნებში „პროსახელისუფლებო“ პოზიციები შეიძლება ჰქონოდათ.[53]

ეს საკითხი 2020 წელს აქტუალური გახდა დე ფაქტო პარლამენტის სხდომაზე, როდესაც ერთ-ერთმა აფხაზმა პარლამენტარმა საკითხად დააყენა გალისთვის ბიუჯეტის შემცირება, რადგან აქ აფხაზეთის მოქალაქეები არ ცხოვრობდნენ და უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი სხვა რაიონებზე გადანაწილებულიყო.[54]

სურვილის ქონის შემთხვევაშიც, აფხაზეთის მოქალაქის სტატუსის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია ეთნიკურად ქართველებისთვის. აფხაზური „კანონმდებლობა“ უფლებას აძლევს ეთნიკურად აფხაზს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა, სხვა ეთნიკურ უმცირესობებს კი მოქალაქეობის მისაღებად კანონით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება სჭირდებათ. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა კი ის არის, რომ ეთნიკურად არა აფხაზს შეუძლია მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა, თუ ის 1999 წლამდე („აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამდე) 5 წელი ცხოვრობდა აფხაზეთში. ეს ავტომატურად გამორიცხავს 1992-1993 წლებში გალიდან იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ეტაპობრივად დაბრუნდნენ 1994 წლიდან 1998 წლამდე და შემდეგ ისევ დევნილობაში აღმოჩნდნენ განახლებული შეიარაღებული დაპირისპირების გამო.

აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება ასევე შესაძლებელია ნატურალიზაციით, რაც ეთნიკურად ქართველებს ავალდებულებს უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და გაიარონ ხანგრძლივი და პრობლემური ადმინისტრაციული პროცესი. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ არა მხოლოდ აფხაზეთის პასპორტის, არამედ ნებისმიერი სხვა საბუთის აღება მათთვის დაკავშირებულია გრძელვადიან, დამღლელ, უსამართლო, დისკრიმინაციულ და კორუფციულ პროცესთან. მათ ნებისმიერი საბუთის ასაღებად სჭირდებათ იმის მტკიცება, რომ 1994 წლიდან ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და ფლობენ საკუთრებას. სოფლის მცხოვრებლებისთვის ნებისმიერი საბუთის აღება ასევე უკავშირდება დამატებით სირთულეებს (ტრანსპორტი, ფინანსური რესურსები), რადგან ამისათვის ქალაქ გალში უნდა იარონ მთელი პროცესის განმავლობაში. ერთ-ერთი ინტერვიუსას ასევე აღნიშნეს, რომ მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება რამდენჯერმე გაასაჩივრეს აფხაზეთის დე ფაქტო უზანაეს სასამართლოში, თუმცა ეს საკითხი მათთვის დადებითად არ გადაწყვეტილა და უარი ძალაში დარჩა.[55]

[53] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველებთან, ივნისი, 2022.
[54] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2020, 8.
[55] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

ბინადრობის მოწმობის, ან პასპორტის აღება გალელებისთვის დიდ დროსთან, ბიუროკრატიულ პროცესთან და კორუფციასთან არის დაკავშირებული.[56] *„დოკუმენტების ჩაბარებისას გეუბნებიან, რომ 2 კვირიდან 1 თვემდე სჭირდება დრო, რომ საბუთი მიიღო, თუმცა ასე არ ხდება. არსებობს ისეთი პრაქტიკებიც, როდესაც ეს პროცედურა ერთი ან ორი წელი გრძელდება. ყველასათვის არა, მაგრამ მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს ჰქონდა ასეთი გამოცდილება. ძირითადად ეს პროცესი 6, 8, 10 თვე ან წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება. ფულის გადახდისას, პროცედურა მარტივდება, მაგრამ არც ეს იძლევა გარანტიას. აი ასეთი პრობლემა არსებობს ამჟამად. ბევრს აქვს ფული გადახდილი, და იმისათვის რომ დოკუმენტი დაიბეჭდოს, არ არსებობს საღებავი, რომელიც რუსეთიდან მოდის. რუსეთში არ არის საღებავი, რადგან ის თურქეთიდან მიეწოდება, და უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ახლა ვერ მიეწოდება, შესაბამისად, არც აფხაზეთს, და ამ შემთხვევაში აფხაზეთი უძლურია“.*

გალელების თქმით, საბუთების ჩასაბარებლად უზარმაზარი რიგები დგას,[57] სადაც ისინი ასევე ჩივიან, რომ მილიციის თანამშრომლები ცუდად ეპყრობიან. გარდა ამისა, თითოეული საბუთის ჩაბარება მათ 1500 რუბლი უჯდებათ და შეიძლება რიგში რამდენიმე კვირა იდგნენ. ამიტომ, პროცესი რომ დაჩქარდეს, დამატებით ქრთამია საჭირო, დაახლოებით 2000 რუბლი (89 ლარი).

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, 2017-2018 წლებში ბინადრობის ნებართვის მისაღებად სულ 10 332 განაცხადი გაკეთდა და მათგან მხოლოდ 4 528 მოწმობა გაიცა; ხოლო 2019 წელს 13 400-ზე მეტმა გალის მცხოვრებმა გააკეთა განაცხადი ე.წ. „ბინადრობის მოწმობის“ მისაღებად. მათგან, 6000-მდე განაცხადი დაკმაყოფილდა.[58]

2019 წელს აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ ასევე წარადგინა მეგრული გვარების აფხაზური დაბოლოებებით შეცვლის შეთავაზებაც, რომლის საფუძველზეც გალელებს შეეძლებათ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი.[59] აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მოწოდებით, ის ქართველები, რომლებიც დაიბრუნებენ მათ ნამდვილ „აფხაზურ წარმომავლობას“ და გახდებიან „სამურზაყანოელი აფხაზები“, მიიღებენ აფხაზურ პასპორტებს და დე ფაქტო მთავრობა მათ რუსული პასპორტების მიღებაშიც დაეხმარება. ეს კი გალელებისთვის დაკავშირებული იქნება რუსეთში თავისუფალ გადაადგილებასთან და რუსულ პენსიასთანაც. როგორც გალის რაიონის ამჟამინდელმა დე ფაქტო გამგებელმა, კონსტანტინე ფილიამ განაცხადა, გვარების შეცვლის შედეგად მოქალაქეობის მინიჭების პროცესი ნელა მიმდინარეობს, რადგან დე ფაქტო სტრუქტურებში გვიანდება

[56] ქართველები გალში — უცხოელები საკუთარ მიწაზე, 9 ოქტომბერი, 2017, OC MEDIA. https://oc-media.org/kartvelebi-galshi-utskhoelebi-sakutar-mitsaze/

[57] იგივე.

[58] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

[59] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2021, 3.

განცხადებების განხილვა. მისი თქმით, 2020 წლის დეკემბრის ბოლოს სიაში 890 ადამიანი იყო, რომლებმაც გაიარეს ყველა პროცედურა და შეიცვალეს გვარი, თუმცა მოქალაქეობა ჯერ არ მიუღიათ. სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2019 წელს გალში 372 აფხაზური პასპორტი გაიცა, 2020 წელს კი - 700-ზე მეტი.

გალელებს საქართველოს ხელისუფლება თავის მოქალაქეებად და დევნილებად განიხილავს. შესაბამისად, აქ მცხოვრები ადამიანები იღებენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი დევნილის შემწეობას.

4. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება

ომის დამთავრებიდან დღემდე გამყოფი ხაზის კვეთის წესები სულ იცვლებოდა და ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლაც ხშირად იცვლება. თუმცა მოსახლეობა საუბრობს იმის შესახებ, რომ გადაადგილების თავისუფლება კრიტიკულად დამძიმდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და ამ მხრივ სიტუაცია წლიდან წლამდე უარესდება.

90-იან წლებში ხალხს მარტივად, საბჭოთა კავშირის დროინდელი დოკუმენტებით, ან დაბადების მოწმობით, ასევე, უბრალოდ ქრთამის მიცემითაც შეეძლო გამყოფი ხაზის გადაკვეთა. ქრთამის გაცემის პრაქტიკამ, ღრმად გაიდგა ფესვები სწორედაც რომ ომის დამთავრების შემდეგ და ეს პრაქტიკა დღესაც აქტიურად გამოიყენება.

დღევანდელი მოცემულობა ასეთია: იმისათვის, რათა გალის და გალის რაიონის მცხოვრებლებმა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა შეძლონ, მათ სჭირდებათ „ფორმა №9“ (2022 წლიდან ეს დოკუმენტიც სრულად უქმდება)[60], ბინადრობის მოწმობის ან აფხაზეთის „მოქალაქეობის“ დამადასტურებელი დოკუმენტი; 14 წლამდე პირებისთვის დაიშვება დაბადების მოწმობით გადაადგილებაც. გადაადგილება ასევე შესაძლებელია ქართული პასპორტით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი ფლობს აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას (ე.წ. ვიზას). როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დოკუმენტების მიღება გალის რაიონის მოსახლეობისთვის რთულ, ხანგრძლივ და ძვირადღირებულ პროცესს უკავშირდება, რაც ასევე ართულებს გადაადგილების შესაძლებლობას კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის ხაზის სიგრძე 145 კმ-ია, ხოლო საოკუპაციო ძალების მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერების (მიწათხრილები, მავთულხლართები და სხვ.) სიგრძე - 48 კმ.[61] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020

[60] რაში სჭირდებათ გალელ ქართველებს აფხაზური პასპორტი, რადიო თავისუფლება, 11 თებერვალი, 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/რაში-სჭირდებათ-გალელ-ქართველებს-აფხაზური-პასპორტი-/31699227.html.

[61] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 13.

და 2021 წლების ანგარიშების მიხედვით, აფხაზეთში ჯამში ბორდერიზაციის 25 შემთხვევა გამოვლინდა.

2009 წლამდე აფხაზეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა ოფიციალურად მხოლოდ ენგურის ხიდის გავლით იყო შესაძლებელი, თუმცა შემოვლითი გზებით მოსახლეობა მაინც ახერხებდა გადაადგილებას. 2009 წლიდან გაჩნდა 4 დამატებითი გამშვები პუნქტი - შამგონა-თაგილონი, ხურჩა-ნაბაკევი, ორსანტია-ოტობაია, და ფახულანი-საბერიოს გადასასვლელი. ამ გადასასვლელი პუნქტებით მოსახლეობა აქტიურად სარგებლობდა 2016 წლამდე, სანამ დე-ფაქტო ადმინისტრაცია გადასასვლელი პუნქტების გაუქმებას არ დაიწყებდა. პირველად შამგონა-თაგილონის პუნქტი გააუქმეს 2016 წლის აპრილში, შემდეგ, 2017 წლის 4 მარტს, მას მოჰყვა ხურჩა-ნაბაკევის და ორსანტია-ოტობაიას გადასასვლელების გაუქმებაც. დღეის მდგომარეობით მხოლოდ ორი პუნქტია დარჩენილი - ენგურის ხიდზე და ფახულანი-საბერიოს გადასასვლელი.[62] გადასასვლელების გაუქმება კრიტიკულად შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და უფლებადამცველებმა, ვინაიდან იმთავითვე მოსალოდნელი იყო, რომ ეს პროცესი მკვეთრად უარყოფითად აისახებოდა გალის რაიონის მცხოვრებთა უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე.[63] გადასასვლელების გაუქმებასთან ერთად გაიზარდა სანქციებიც ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის გამო. 2016 წლამდე ჯარიმა დაახლოებით 80 ლარი იყო (2000 რუბლი), 2017 წლის შემდეგ კი სანქციები გასამმაგდა და განმეორების შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობა დაწესდა.

ადამიანებს, ვისაც საბუთები არ აქვთ, ან აქვთ, მაგრამ გადასასვლელი პუნქტი ჩაკეტილია, უწევთ, რომ „არალეგალურად“, დაბალი ზონიდან, ენგურის გადაცურვით, ან ტყეებში, სახიფათო პირობებში გაიკვლიონ გზა კონტროლირებადი ტერიტორიისკენ. გალელები მაღალი ზონიდანაც გადადიან კონტროლირებად ტერიტორიაზე, თუმცა ამ დროს ძალიან დიდი გზის გავლა უწევთ მთებში, რასაც 7-8 საათი სჭირდება ფეხით და ზოგან გზა გაუკვალავიც არის. „არალეგალურად“ საზღვრის კვეთამ, არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა წლების განმავლობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით დამძიმდა ვითარება კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, როდესაც მიმოსვლა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით სრულად შეზღუდული იყო და მწვავე სოციალური საჭიროებების გამო ადამიანები ფარულად გადმოდიოდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.[64] 2021 წლის პირველ სამ თვეში, აფხაზური წყაროების მიხედვით, „საზღვრის უკანონო

[62] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, 2017. 4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი, 31 აგვისტო, 2022.

[63] „გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის მოხსენება საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ“ A/HRC/36/65, 17 აგვისტო 2017, (Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on cooperation with Georgia), 52-56.

[64] მთავრობამ კონფლიქტის რეგიონებთან მიმოსვლის რეჟიმის არსებით გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაოს, 8 აპრილი, 2021. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. https://socialjustice.org.ge/ka/products/arsebitia-sakartvelos-mtavrobam-konfliktis-regionebtan-mimosvlis-rezhimis-arsebit-gaumjobesebaze-imushavos

კვეთისთვის“ 3000 ადამიანი დააკავეს. მიმოსვლა განსაკუთრებით გაართულა საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგენილმა კარანტინის რეჟიმმა, რაც კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის ხშირად მძიმე სოციალური ტვირთი იყო, და ზოგიერთ შემთხვევაში, ტრაგიკულიც, როდესაც ადამიანები გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდნენ.[65]

ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით ბოლო 4 წელიწადში (2018-2021 წლებში) აფხაზეთის მიმართულებით საქართველოს 79 მოქალაქე დააკავეს.[66] თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ზუსტ მონაცემებზე წვდომა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს არ აქვთ და მათი განმარტებით, მათ ხელთ არსებული მონაცემებით, ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით დაკავებულ პირთა რაოდენობა ჯამური ციფრის დაახლოებით 10-15 %-ს შეადგენს.[67] მაგალითად, 2009-2016 წლებში, რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის სამსახურის მონაცემებით, დაკავებულთა რაოდენობა 14000-ს შეადგენდა.

უკანონო დაკავების შემთხვევები ზოგჯერ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეც ხდება.[68] ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა სოფელ ხურჩაში მოხდა 2012 წლის 18 იანვარს, როდესაც რუსმა სამხედროებმა ოკუპირებული აფხაზეთიდან „უკანონოდ გადმოსული“ საქართველოს სამი მოქალაქე, მათგან ორი ქალი, დააკავეს.[69] მაშინ ხურჩა-ნაბაკევის ე.წ. გამშვები პუნქტიდან 8 რუსი სამხედრო გადმოვიდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.[70]

ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებია საგრძნობლად იკლო დანარჩენ საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან გალში სეზონურად დაბრუნებული ადამიანების რაოდენობამ, რაც უკავშირდება პასპორტების და გამყოფი ხაზის კვეთასთან დაკავშირებული აუცილებელი საბუთების უქონლობასთან. წინა წლებში გალში ბრუნდებოდნენ სტუდენტები, სეზონური სამუშაოების დროს მოსახლეობა ბრუნდებოდა სოფლებში, ან ხშირად ზუგდიდში მცხოვრები დევნილები აკითხავდნენ მოხუც მშობლებს და ნათესავებს. დოკუმენტაციასთან შექმნილი პრობლემების გამო ეს ადამიანები ვერ კვეთენ „საზღვარს“, და ვერ ეხმარებიან იქ დარჩენილ ნათესავებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან მარტოხელა მოხუცები, რომლებსაც თვეების განმავლობაში არ აქვთ კავშირი ნათესავებთან.

---

[65] რა პრობლემებს უქმნის 5-დღიანი კარანტინი გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებლებს, 6 აპრილი, 2021. „ნეტგაზეთი“. https://netgazeti.ge/news/532122/

[66] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018, 2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშები.

[67] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 13.

[68] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 14.

[69] ხურჩას მცხოვრები ოკუპანტებზე: ხუმრობით ვამბობთ, ნებისმიერ დროს რომ შემოვიდნენ, პრობლემა არაა, 19 იანვარი, 2021. ფორმულა ნიუსი. https://formulanews.ge/News/43828

[70] მავთულხლართების ზონა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2019, გვ. 9-15.

გარდა ამისა, გამყოფი ხაზის კვეთის დროს, გალის მოსახლეობას პროდუქტების გადმოტანა-გადატანისას ე,წ. მოსაკრებლის გადახდა უწევს. ეს წესი არ ეხება მცირე ზომის ხელბარგს, და პროდუქტებს, რაც ადამიანს პირადი გამოყენებისთვის/ოჯახისთვის გადააქვს, თუმცა დიდი ოდენობის პროდუქტზე, ავეჯზე და სხვა მსხვილ საყოფაცხოვრებო ნივთებზე გალის მოსახლეობა იძულებულია გარკვეული თანხა გადაუხადოს ე.წ. მესაზღვრეებს, თუმცა ეს თანხები არ არის განსაზღვრული და წინასწარ დადგენილი, და დამოკიდებულია კონტროლის სიმკაცრეზე ყოველ კონკრეტულ დღეს. შესაძლებელია, ნეპოტიზმით საერთოდაც გადასახადის გარეშე შეძლონ ნივთების გადატანა ან გადასახდელი თანხა შეუმცირონ.

გალელები ასევე აღნიშნავენ, რომ კონტროლი ნივთების გადმოტანაზე, მათ შორის, პირადი დანიშნულების ნივთებზე, მცირე ხელბარგზე, ძალიან მაღალია ქართულ მხარეს არსებულ საგუშაგოებზე. ინტერვიუების დროს არაერთმა გალელმა აღნიშნა, რომ ქართველი სამართალდამცავების მოპყრობა ხშირად ძალიან მკაცრი, დამცინავი და აგრესიულია, პირადი ნივთების კონტროლი და ჩხრეკა კი, უხეშ და დამამცირებელ ფორმებს იღებს.

5. წვდომა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სერვისებსა და სახელმწიფო პროგრამებზე და ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან

ინტერვიუების დროს, გალში და გალის რაიონში მცხოვრებნი აღნიშნავენ, რომ ხალხმა ხშირად არ იცის იმ სერვისების შესახებ, რასაც ქართული მხარე სთავაზობს მათ. ამ სერვისებზე წვდომაში, მათთვის მნიშვნელოვანი ბარიერია ღიაობა და წვდომა ინფორმაციაზე.[71] მათი თქმით, ბევრმა არ იცის რომელ პროგრამაში ეკუთვნის მონაწილეობა, ან არ იციან, ვის ან რომელ უწყებას მიმართონ, რა პროცედურები უნდა გაიარონ შესაბამისი სერვისის მისაღებად. ერთ-ერთმა ინტერვიუერმა აღნიშნა: *„ისევე, როგორც გალში, არსებობს მომსახურეობის დიდი პრობლემები, მაგაზე არანაკლებ პრობლემურია გალის რესურსცენტრთან ურთიერთობა - იქაც საკმაოდ ნეპოტისტური დამოკიდებულება აქვთ. იქაც დიდი ხარვეზებია... ეს სისტემა აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს!“*

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, გალის მცხოვრებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ თავს დისკრიმინირებულად მიიჩნევენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც. ისინი ამბობენ, რომ გალის მოსახლეობას სახელმწიფო მხოლოდ საქართველოს მოქალაქის სტატუსიდან გამომდინარე აღიქვამს და არ ითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რაც ამ მოსახლეობას კონფლიქტის ზონაში ცხოვრების გამო გააჩნია. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება მათ არ სთავაზობს დამატებითი

[71] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

მხარდაჭერის სერვისებს და პროგრამებს, რის გამოც თავს დისკრიმინირებულად და მივიწყებულად გრძნობენ, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ადამიანებთან მიმართებით.

გალის მოსახლეობა ინტერვიუებში გამოხატავდა განსაკუთრებულ წუხილს, რომ მათზე არ ვრცელდება ჯანდაცვის კუთხით არსებული ის პროგრამები და შეთავაზებები, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ადამიანებისთვის არის განსაზღვრული. ამის მაგალითად გალის მოსახლეობა ხშირად ასახელებს „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა"-ს რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროგრამად სახელდება, რაც კი სახელმწიფოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონების მიმართულებით მოქმედებს. ინტერვიუებისას არაერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათზე ვრცელდება ის ჯანდაცვის პროგრამები, რაც საქართველოს ყველა დანარჩენ მოქალაქეზე და ოკუპაციისა და მათთან დაკავშირებული დაუცველობისა, ტრავმისა და მოწყვლადობის მიუხედავად, მათი სამედიცინო საჭიროებები სახელმწიფოს მხრიდან სრულად არ ფინანსდება.

კვლევის ფარგლებში ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა ასევე განმარტეს, რომ გალის და ახალგორის მოსახლეობაზე ვრცელდება ის პროგრამები, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის არის განსაზღვრული, ხოლო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სხვა ადგილებში მცხოვრებ არამოქალაქე პირებზე ვრცელდება რეფერალური მომსახურების პროგრამა.[72] სამინისტროში ასევე აღნიშნეს, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს (გარდა გალში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა), ასევე ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა შეუძლიათ ამ პროგრამის ფარგლებში ისარგებლონ წლიურად 70.000 ლარის ოდენობის სახელმწიფოს მხარდაჭერით შესაბამისი სამედიცინო სერვისისთვის, გალში მცხოვრები ადამიანებისთვის (რომლებსაც მეტწილად საქართველოს მოქალაქეობა აქვთ) ეს ლიმიტი 15.000 ლარით შემოიფარგლება.

თუმცა, სრულიად სხვა რეგულირებას აწესებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის დადგენილება N331 „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ. ამ დადგენილების მე-2 მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით, რეფერალური სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პირებს შორის არიან „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი, ან შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად; ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით ასეთი ტერიტორიის განმარტებაში გალის და ახალგორის რაიონებიც ხვდება. ეს ინფორმაცია მოგვიანებით დაადასტურა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომაც მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში განმარტებულია, რომ აფხაზეთის ავტონომიური

[72] შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, 7 სექტემბერი, 2022.

რესპუბლიკის, ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), საჩხერის რაიონის სოფელ პერევის, ქურთის, ერედვისა და აჟარის მუნიციპალიტეტების და ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების გარდა ვრცელდება „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა.

ჯანდაცვის სამინისტროდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს რეფერალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა ადამიანების რაოდენობას რომლებიც ყოველწლიურად ამ პროგრამით სარგებლობენ.

	2017	2018	2019	2020	2021	2022
აფხაზეთის მცხოვრები	1137	1317	1305	756	1032	717
აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე	1	3	70	194	33	27
ცხინვალის რეგიონის მცხოვრები	507	352	247	115	215	203
ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე	2	2	13	29	4	15

ამ მონაცემების მიხედვით უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში რეფერალური პროგრამით ისარგებლა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 6264 ადამიანმა და აქ მაცხოვრებელმა 328 საქართველოს მოქალაქემ. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, ბოლო 6 წლის განმავლობაში 1639 ადამიანმა ისარგებლა ამ პროგრამით, და 65 საქართველოს მოქალაქემ, რომელიც ცხინვალის რეგიონის ტეროტორიაზე ცხოვრობს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა რომელიც რეფერალური პროგრამით სარგებლობდნენ ყველაზე მაღალი პანდემიის პერიოდში იყო, შემდეგ ეს რაოდენობა საგრძნობლად იკლებს. ასევე უკიდურესად დაბალი იყო 2017-2018 წლებში.

ერთის მხრივ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები და მეორეს მხრივ, გალის და ახალგორის რაიონების მოსახლეობის მოსაზრებები, რასაც კვლევისას აფიქსირებდნენ ერთხმად მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს სპეციალური პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი და გამჭირვალე კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის და მნიშვნელოვანია მთავრობამ ამ და სხვა სფეროში მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის კომუნიცირების ეფექტიანობაზე დამატებით იმუშაოს. აუცილებელა სახელმწიფომ მიიღოს ქმედითი

ზომები ამ პროგრამების პოპულარიზებისთვის, მიმართვიანობის გაზრდისთვის და მიმართვიანობის პროცესში მოსახლეობის მხარდაჭერისთვის. აქვე მნიშვნელოვანია, რომ რელევანტურმა სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინოთ ის სირთულეები და გამოწვევები, რომელიც გალში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ და პროგრამაში ჩართვის წინაპირობების შემოწმების დროს, მათ ამ რეგიონში ცხოვრების დადასტურებისთვის საჭირო რთული და ბიუროკრატიული მოთხოვნები არ წაუყენოს.

გადაადგილების თავისუფლების მხრივ არსებული შეზღუდვები, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ჯანდაცვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერვისებზე წვდომაზე.[73] ხშირად, გადაადგილების ნებართვისთვის საჭირო პროცედურები, გადაუდებელი აუცილებლობის დროს, აფერხებს წვდომას სწრაფ ჯანდაცვაზე.[74] გალის რაიონის სოფელ საბერიოს საავადმყოფო ასევე კრიტიკული გამოწვევების წინაშე დგას. აქ დიაგნოსტირებისთვის საჭირო საბაზო ინფრასტრუქტურაც კი არ მოიპოვება, მაგალითად, როგორიც არის რენტგენის და ულტრაბგერითი აპარატი. პრობლემურია სასწრაფო დახმარების მანქანის გაუმართაობაც. მწვავედ დგას მედიკამენტების პრობლემაც. საბერიოს საავადმყოფო წამლებს ძირითადად საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან იღებს, თუმცა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის დროს, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში, ეს პროცესიც გართულდა.[75]

იმ ფონზე, როცა გალის რაიონში სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო აღჭურვილობა და ტრანსპორტი მოძველებულია და განახლებას საჭიროებს, კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისას არსებული ბარიერები კიდევ უფრო ართულებს გალელებისთვის სწრაფ და ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას.[76]

პანდემიის პერიოდში, როდესაც ენგურის ხიდზე არსებული გადასასვლელი იყო დაკეტილი და გალელებს უწევდათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შემთხვევაში სავალდებულო კარანტინის გავლა უმძიმესი ფაქტები დაფიქსირდა, როდესაც მოსახლეობა ვერ იღებდა კუთვნილ სოციალურ დახმარებას და პენსიას. უამრავი ადამიანი ვერ იღებდა მედიკამენტებს, ქრონიკული დაავადების მქონე პირებს შეუწყდათ მომსახურებაზე და სერვისებზე წვდომა. ვინაიდან გალის მოსახლეობა მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე საბაზისო სერვისების და საჭიროებების მიღების თვალსაზრისით. ამიტომ როდესაც მსგავსი შეზღუდვები დაწესდა, კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა გალის მოსახლეობის განსაკუთრებული მოწყვლადობა და მათ მყიფე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა.

---

[73] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 18-20.
[74] აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, DRI, 2020. გვ. 14.
[75] აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, DRI, 2020. გვ. 15.
[76] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 18-20.

გალის მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ კოვიდ-19 პანდემიის დროს მათ რაიონში ქართული მხარის მიმართ ნდობა სრულიად გაქრა სწორედ დაწესებული შეზღუდვების და მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის გამო. მათი თქმით, სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მხარდასაჭერად. *„მედიკამენტები და კოვიდ საწინააღმდეგო აპარატურა ალბათ გუდაუთაში გაუშვეს ჩემი ვარაუდით, რადგან გუდაუთაში იყო მაშინ გახსნილი კოვიდ ცენტრი/საავადმყოფო და ყველა რესურსი იქით წაიღეს, რადგან გალს მაგ დროისთვის არ ჰქონდა დიდი საჭიროება. თუმცა, როდესაც, ვთქვათ, გალში ჩამოდის რაღაც 100%-იანი ბოქსი, მისი 30%-ს გალს უტოვებენ, 30%-ს ანიავებენ, ხოლო 30% ალბათ სადღაც მიაქვთ. სოფლებზე ზედმეტია საუბარი. მაგრამ ეს არ იყო ნდობის დაკარგვის ერთადერთი ფაქტორი...“*

„პანდემიის დროს საზღვარი ჩაკეტილი იყო, აფხაზური მხარე ხალხს უშვებდა, ხოლო ქართული არა. აუცილებლად 2-კვირიანი კარანტინი უნდა გაგევლო...“;

„თუ საქართველო, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს აღიქვამს როგორც საქართველოს მოქალაქეებს და აღიარებს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, რატომ ხდებოდა გალელების მსგავსი დისკრიმინაცია? რატომ არ გადიოდა კარანტინს თბილისიდან და ქუთაისიდან სადმე მიმავალი ხალხი? იმისათვის, რომ გალიდან გადმოსულ ხალხს შეეძინა პროდუქტები და წამლები, უწევდათ 2-კვირიანი კარანტინის გავლა. ამის გამო ხალხი არ გადმოდიოდა ქართულ მხარეს და ძალიან რთულ ფინანსურ და ჯანმრთელობის პირობებში უწევდათ გალში ამ ყველაფერთან გამკლავება, ყველანაირი სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე“.

ადგილობრივი მოსახლეობა იხსენებს 2 ფატალურ შემთხვევას: ერთი ანაკლიის სასტუმროში, სადაც გალიდან გადმოსული ექთანი გულის შეტევით გარდაიცვალა, და მეორე შემთხვევა, როდესაც ენგურმა 4 ადამიანი იმსხვერპლა. ეს ადამიანები, კარანტინისთვის თავი რომ აერიდებინათ, არალეგალურად იპარებოდნენ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რათა პროდუქტები და მედიკამენტები შეეძინათ და სხვადასხვა სერვისით ესარგებლათ.

ინტერვიუების დროს გალელებმა აღნიშნეს, რომ კოვიდის დროს ქართული მხარის მიერ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო, ხალხმა ძალიან დიდი ეკონომიკური კრიზისი განიცადა. მათი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობის 80% ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული და მათთვის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ე.წ. საზღვრის ჩაკეტვამ კი, ხალხი უშემოსავლოდ დატოვა.

6. განათლების უფლება

1992-1993 წლების ომამდე გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა (51 ქართული, 1 აფხაზური და 6 ქართულ-რუსული

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და 1 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი),[77] სადაც ჯამში 13180 მოსწავლე ირიცხებოდა და 1638 მასწავლებელი ასწავლიდა.[78] საომარი მოქმედებების დროს ამ რაიონში 19 სკოლა დაიწვა.[79] ომის შემდგომ თვითნებურად დაბრუნებულმა მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით, 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა. თუმცა გალის რაიონის საზღვრები აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ 1994 წელს შეცვალა და გალის რამდენიმე სოფელი ოჩამჩირეს და ტყვარჩელს მიაკუთვნა. შესაბამისად, 11 სოფელი გალის მიღმა დარჩა. თვითონ გალი კი „ზედა“ და „ქვედა“ ზონებად დაიყო, ზედა ზონაში დღეის მდგომარეობით არის 9 და „ქვედა“ ზონაში - 11 სკოლა. 2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებით, გალის რაიონში 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს.[80]

განათლების უფლება მშობლიურ ენაზე ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული პრობლემაა აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის. ეს პრობლემა აფხაზეთში არ ეხებათ სხვა ეთნიკურ უმცირესობებს, მაგალითად, სომხებს, რადგან აფხაზეთში ფუნქციონირებს სომხურენოვანი სკოლები - გაგრაში, გულრიფშსა და ოჩამჩირეში. ეს სკოლები უზრუნველყოფენ სომხურენოვან განათლებას შესაბამისი სახელმძღვანელოებით, თუმცა ამ სკოლებში ასევე ისწავლება რუსული და აფხაზური ენები. იგივე წესი არ მოქმედებს ქართულენოვანი მოსახლეობისთვის.[81] 11 ქართული სკოლა, რომელიც ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონებს მიეკუთვნა, სრულად რუსულენოვან სწავლებაზე 1995 წლიდანვე გადავიდა. გალის ზედა ზონის სოფლებში ეტაპობრივად დაიწყო რუსულ ენაზე გადასვლა „პირველი კლასის პრინციპით“, სადაც რუსულ ენაზე სრულად გადასვლის პროცესი 2004-2005 წლებში დასრულდა.[82]

ეს წესი 2015 წლამდე არ შეხებია ქვედა ზონის გალის სოფლებს, სადაც ქართულენოვანი კურიკულუმი და სწავლება შენარჩუნებული იყო. ქვედა ზონის სკოლები 2005 წლამდე აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემაშიც არ ყოფილა ინტეგრირებული. აქ აფხაზური დიპლომების გაცემა 2007 წლიდან იწყება. აფხაზური ადმინისტრაციის მთავარი წუხილი ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს უკავშირდებოდა, რადგან ამ სკოლებში ჯერ კიდევ ქართულად მიმდინარეობდა სწავლება, ქართული სახელმძღვანელოებით და ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ამ საგნების აფხაზური წიგნებით სწავლებას.[83] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურად, აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციას გალის ყველა

[77] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ვებგვერდი: გალი, ხელმისაწვდომია: http://www.abkhazia.gov.ge/cities/GALI

[78] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, გვ. 4.

[79] Human Rights Watch, Living in Limbo, 2011, 48.

[80] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 333.

[81] თომას ჰამერბერგი, მაგდალენა გრონო, *ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს,* 2017, გვ. 35.

[82] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.

[83] იგივე, გვ. 36.

სკოლა რუსულენოვან სკოლად ჰქონდა გამოცხადებული, უბრალოდ მწირი რესურსების გამო ყველგან ერთდროულად ვერ ჩაანაცვლა ქართული სწავლება რუსულით.[84]

სიტუაცია რადიკალურად იცვლება 2015 წლის ზაფხულიდან, როდესაც აფხაზურმა დე ფაქტო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გალის ქვედა ზონის სკოლებში, სადაც ქართული სწავლება არაფორმალურად შენარჩუნებული იყო, პირველი ოთხი კლასი რუსულენოვან სწავლებაზე გადასულიყო. ცხადია, იმ გეგმით, რომ შემდგომი კლასებიც ეტაპობრივად გადავიდოდა რუსულ ენაზე. თავიდან ამ სკოლებში ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც უცხო ენა, კვირაში სამი საათით.[85] ეტაპობრივად ქართულ ენაზე სწავლება გალის ყველა სკოლის ყველა კლასში აიკრძალა და 2022 წლის სექტემბრიდან უკვე მთლიანად რუსულ სწავლებაზე გადავიდა.[86] ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებაც, ასევე ეტაპობრივად ყველა სკოლაში შემცირდა და დღეის მდგომარეობით, უკვე კვირაში მხოლოდ 1 საათი ეთმობა.[87]

რუსულ სწავლებაზე გადასვლა რთული იყო მოსწავლეებისთვისაც, და მასწავლებლებისთვისაც, რადგან აქ ბევრმა რუსული საერთოდ არ იცოდა. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ინტეგრირებული - ქართულ-რუსული განათლება ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა, რათა გაძლიერებულად ესწავლათ რუსული და აუცილებლად მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა პირველ რიგში გავლენას ახდენს ზოგადი განათლების დონეზე, რადგან გალში არც მასწავლებლები ფლობენ რუსულ ენას იმ დონეზე, რომ ხარისხიანად ასწავლონ და არც ბავშვებს შეუძლიათ ამ ენაზე საგნების სრულყოფილად შესწავლა.[88]

მთლიანად აფხაზეთში, მათ შორის გალის რაიონში, სასკოლო სახელმძღვანელოები რუსეთის ფედერაციიდან შედის და ყველა საგანი ამ წიგნებით ისწავლება, გარდა აფხაზეთის გეოგრაფიის და ისტორიის სახელმძღვანელოებისა, რომლებსაც აფხაზი ავტორები ჰყავთ.[89]

კვლევისას ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესში, თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემორჩენილია საბჭოთა კავშირის დროინდელი

---

[84] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, გვ. 6-7.
[85] იგივე, გვ. 37.
[86] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, გვ. 4.
[87] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015. გვ. 5.
[88] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, გვ. 4.
[89] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015. გვ. 5.

მიდგომები. თუმცა, ახალი თაობის მოსვლასთან ერთად, ფიზიკური დასჯის ფაქტები კლებულობს. გალის მეორე საშუალო სკოლა განსაკუთრებულად მკაცრი და მჩაგვრელობითი მიდგომებით გამოირჩევა ეთნიკურად ქართველების მიმართ, რაც კვლევისას არაერთმა რესპონდენტმა დაადასტურა. 2010 წელს სკოლაში ქართველთმოძულე სკოლის დირექტორი (ახრა კვეკვესკირი) დაინიშნა, რომელმაც სკოლაში ეთნიკურად აფხაზი მასწავლებლები ჩამოიყვანა სოხუმიდან, ოჩამჩირიდან და ტყვარჩელიდან, იმისათვის რათა სკოლას ეტაპობრივად აფხაზური ხასიათი მიეღო. რესპონდენტის თქმით, ამ სკოლაში დაშინების, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის არაერთი ფაქტი გამოუვლენიათ. ვითარება განსაკუთრებით კრიტიკული იყო 2010-2015 წლებში. მაგალითად, რესპონდენტები იხსენებენ, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე ტელეფონმა დაურეკა. აფხაზურის მასწავლებელმა მოსწავლე თმებით ათრია საკლასო ოთახში, ტელეფონი კი ფანჯრიდან გადაუგდო. ასევე გაიხსენეს შემთხვევა, როცა ბავშვები გაკვეთილების გაცდენის გამო ხელში წკეპლის რტყმით დასაჯეს მშობელთა კრებაზე და ბოდიში მოახდევინეს მშობლებსაც. ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე მოსწავლემ გონებაც დაკარგა. ამ კლასის მიმართ სკოლის დირექცია განსაკუთრებულად მკაცრი და აგრესიულია, რადგან ბავშვები აქტიურად იცავენ ქართულ იდენტობას და ენას. ამავე სკოლაში აფხაზური ენის მასწავლებელი განსაკუთრებული სიძულვილით ექცევა ქართულ ენას და ქართველებს, ღიად გამოხატავს, რომ სძულს ქართველები და სურს, რომ გაქრნენ როგორც ერი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოსწავლეებს მერხზე ქართული ენის სახელმძღვანელო ედოთ, მასწავლებელს ეს წიგნები დაუხევია და მეოთხე სართულიდან გადაუყრია. როდესაც მოსწავლეებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მან მათი დაშინება და ლანძღვა დაიწყო. დღეს ამგვარი ფაქტები შედარებით შემცირებულია, რასაც იმით ხსნიან, რომ მოსწავლეებსა და მშობლებში წინააღმდეგობის ტალღამ იკლო და მეტწილად სრულდება აფხაზი მასწავლებლების და დირექტორის მკაცრი მოთხოვნები, რომ ბავშვებმა სკოლაში რუსულად ისაუბრონ. დღეს მოსწავლეები ამბობენ, რომ აფხაზ მასწავლებლებთან ნორმალური ურთიერთობა აქვთ (ახალი თაობის მასწავლებლების მოსვლის შედეგად), თუმცა ისინიც მუდმივად უთითებენ ბავშვებს რუსულად საუბარსა და სწავლაზე. მიუხედავად ამ ზოგადი დისკრიმინაციული ფონისა, მეორე საშუალო სკოლაში მაინც არიან შემორჩენილები გალელი მასწავლებლები, რომლებიც არაერთი სირთულის მიუხედავად ყველაფერს აკეთებენ, რომ ბავშვებს ხარისხიანი განათლება მისცენ.

გალის პირველ საშუალო სკოლაში ამგვარი მჩაგვრელი და დისკრიმინაციული მიდგომები არ იკვეთება, თუმცა სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს და ქართული ენა საერთოდ არ ისწავლება. ეს სკოლა 1994 წლამდეც რუსულენოვანი იყო.[90]

რაც შეეხება სოფლების სკოლებს, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის ფაქტებს აქ არ ასახელებენ. რესპონდენტები ამბობენ, რომ აქაც შემორჩენილია საბჭოთა კავშირის დროინდელი სწავლების მიდგომები, თუმცა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები არ არსებობს,

[90] თორნიკე ზურაბიშვილი, მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS, 2016, გვ. 10, ცხრილი 2.

პირიქით, ყველა რესპონდენტის საუბარში ჩანდა, რომ სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს შორის ძალიან ახლო და თბილი ურთიერთობებია.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მიზნით, გალის იმ სოფლებიდან, რომლებიც გამყოფ ხაზთან ახლოს ცხოვრობენ, მეზობელი სოფლის სკოლებში გადმოსვლა წინა წლებში მიღებული პრაქტიკა იყო. თუმცა 2016 წლიდან გამყოფი ხაზის კვეთის კონტროლის გამკაცრების, და გადასასვლელი პუნქტების დაკეტვის გამო, ეს მიმოსვლაც შემცირდა, ან საერთოდ შეწყდა.[91] მაგალითად, გალის რაიონის სოფელ საბერიოდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყოუშის სკოლაში 2013 წელს 48 მოსწავლე გადადიოდა და „საზღვრის“ კონტროლი მოსწავლეებისთვის გამკაცრებული არ ყოფილა. თუმცა 2015 წელს ეს რაოდენობა 11-მდე შემცირდა.[92] 2015-2016 წლებში, გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან ზუგდიდის სოფელ განმუხურში 15 მოსწავლე გადადიოდა (მაშინ როცა 2013 წელს ეს რაოდენობა 34 იყო), 2017 წლიდან კი არცერთი მოსწავლე აღარ გადადის. სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, მსგავსი სიტუაციაა საბავშვო ბაღებშიც, მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღში 2016 წელს 11 ბავშვი ირიცხებოდა სოფელ ნაბაკევიდან, 2017 წელს - ორი ბავშვი, და მას შემდეგ არცერთი, რადგან ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი მთლიანად დაიკეტა. ასეთივე სიტუაციაა სოფელ ორსანტიაში, სადაც გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან ხუთი ბავშვი დადიოდა საბავშვო ბაღში და გადასასვლელის დაკეტვის შემდეგ - არცერთი.

მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვის შედეგად, გალის რაიონის სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. 2022 წელს გალის რაიონის 30 სკოლაში მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3778 მოსწავლე ირიცხება. შედარებისთვის, 2017 წელს გალის სკოლებში 4267 მოსწავლე ირიცხებოდა.[93]

გალის რაიონის 28 საშუალო და 2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 2017-2022წწ.

წლები	**2017 წელი**	**2018 წელი**	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი**	**2022 წელი**
სკოლა	31	30	30	30	30	30
მოსწავლეთა კონტინგენტი:	4267	4087	4095	3797	3770	3778

საბავშვო ბაღებში ირიცხება 509 აღსაზრდელი. 2020-2021 წლებში ეს რიცხვი 557-ს შეადგენდა.[94]

[91] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, 2017, 10.
[92] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015. გვ. 9.
[93] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია, 19 ოქტომბერი, 2022.
[94] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 333.



შენიშვნა: გრაფი აღებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშიდან, გვ. 333.

გარდა ამისა, ინტერვიუსას ასევე ითქვა, რომ რადგან სოფლებში არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა, არ არის სკოლა ან ბაღი, ისინი ძირითადად ქალაქში გადადიან, ან მთლიანად ტოვებენ გალის რაიონს.[95]

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ქართული მხარე არაფერს აკეთებს გალისა და გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის შესანარჩუნებლად. არ არსებობს პროგრამა, რომელიც ქართული ენის სწავლების ხარისხს გაუმჯობესებდა გალში და რაიონში, ან გალიდან წამოსული სტუდენტებისთვის. რესპონდენტის თქმით, ერთადერთი, რასაც ქართული მხარე აკეთებს გალში განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, ის არის, რომ სამ თვეში ერთხელ სკოლის მასწავლებლებს 1000 ლარიან ხელფასს უხდიან, ხოლო ბაღის პედაგოგებს - 600 ლარს. გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, 2020, 2021 და 2022 წლებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში 4,185,000.00 ლარი იყო. 2017 წელთან შედარებით ეს მონაცემი ერთ მილიონ ლარზე მეტით არის გაზრდილი.

აქვე ასევე აღსანიშნავია, „სკოლის შემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა“, რომლის საშუალებითაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიიღეს და ეს დოკუმენტი აღიარებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, ინტენსიური მომზადების კურსს გაივლიან. სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსების საფუძველზე ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ სტიპენდიით, საცხოვრებლით (საჭიროების შემთხვევაში), სწავლისათვის საჭირო პირობებითა და სასწავლო მასალით. ეს

[95] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველებთან, ივნისი, 2022.

პროგრამა 2019 წელს ამოქმედდა და მას შემდეგ ჯამში 139 პირს მიენიჭა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.[96]

უმაღლესი განათლება აფხაზეთში

სოხუმის უნივერსიტეტში სწავლისთვის გალის რაიონიდან ფინანსური მხარდაჭერა ყოველწლიურად 14 ადამიანს აქვს - ისინი უფასოდ სწავლობენ და ცხოვრობენ სოხუმში, სტუდენტების საერთო საცხოვრებელში.[97] დაბალი ზონის მოსწავლეების დამოკიდებულება სოხუმში სწავლასთან დაკავშირებით, ძალიან სკეპტიკურია, რადგან რუსული ენა კარგად არ იციან. გარდა ამისა, ეჭვობენ, როგორი იქნება მათი, როგორც ქართველების მიმართ დამოკიდებულება სოხუმში, რა განწყობები ექნებათ სოხუმელ ლექტორებს და ა.შ. ამიტომ გალელების უმეტესობა მაინც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ამჯობინებს უმაღლესი განათლების მიღებას.

ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ქალაქ გალიდან უფრო მეტი მოსწავლე მიდის სოხუმში სასწავლებლად, ვიდრე სოფლებიდან. სოხუმში სწავლა ყოველთვის არაა ცუდ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული. გალელი და სოფელ ზემო ბარღების მკვიდრთა თქმით, სოხუმში ისინი იმაზე თბილად მიიღეს, ვიდრე ელოდნენ. რა თქმა უნდა, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლექტორების გარკვეულ ნაწილს აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება გალელების მიმართ, თუმცა არიან ისეთი ადამიანებიც, ვისაც პირიქით, მოსწონთ, რომ გალელები სოხუმის უნივერსიტეტში მიდიან სასწავლებლად.

აფხაზი მოსწავლეები ხშირად რუსეთში მიდიან უმაღლესი განათლების მისაღებად და ამისათვის არსებობს სპეციალური ფინანსური შეღავათები და პროგრამები. თუმცა ამ პროგრამებში ძირითად ადგილებს აფხაზები იკავებენ და გალის მცხოვრებლებისთვის ადგილი არ რჩება. რესპონდენტების თქმით, ვინც ეს მოახერხა, დიდი ფინანსური რესურსი ჩადო და კარგი სანაცნობო ჰყავდა. რაც შეეხება ევროპაში განათლების მიღებას, ეს მხოლოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული პროგრამებით არის შესაძლებელი. ასევე Chevening-ის პროგრამის ფარგლებში აფხაზეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება დიდ ბრიტანეთში. აპლიკანტები მონაწილეობას ღებულბენ როგორც სამხრეთ კავკასისს წარმომადგენლები.

რაც შეეხება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მიღებას, 2019 წლის 3 ოქტომბერს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“

[96] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.
[97] ინტერვიუები საკონტაქტო პირებთან. გალის რაიონი. მაისი-ივნისი, 2022.

საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ, **საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გაუვლელად ჩაირიცხებიან,** მათი ჩარიცხვისა და დაფინანსების წესს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.[98] 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლება მიენიჭა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ 393 პირს, მათგან სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის დაფინანსება მიენიჭა 391 პირს. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიენიჭა 27 პირს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათგან დაფინანსება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობით მიენიჭა 21 პირს. 2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლება მიენიჭა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ 276 პირს, რომელთაგან ყველა დაფინანსდა.[99]

ინტერვიუს დროს რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ უგამოცდოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესაძლებლობას უკუეფექტი ჰქონდა გალელ მოსწავლეებზე, რადგან მათ სწავლის მოტივაცია აქვთ დაკარგული და მასწავლებლებიც ამბობენ, რომ მოსწავლეების სწავლის ხარისხი ძალიან დაბალია.[100]

ზოგადად, ბოლო 6 წლის განმავლობაში, (2016-2021 წლებში) აფხაზეთიდან სულ 9284 სტუდენტი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მათგან 1889 გალიდან იყო[101]. უგამოცდოდ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესაძლებლობის გაჩენისთანავე პრაქტიკულად გაორმაგდა გალის რაიონიდან ჩარიცხულთა სტატისტიკა. თუკი 2018 წელს მათი რიცხვი 138 იყო, 2019 წელს უკვე 337 გახდა.[102]

აქვე, აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში გალიდან კურსდამთავრებულების რაოდენობა შეადგენს 701 სტუდენტს. სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამის ფარგლებში 2016-2021 წლებში აფხაზეთიდან ჩარიცხული 448 სტუდენტი დაფინანსდა.[103] ეს დაფინანსებები სტუდენტებმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან სტუდენტების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში მიიღეს, რაც მოიცავს იმ სტუდენტებსაც, რომლებმაც ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიიღეს.[104]

---

[98] https://mes.gov.ge/content.php?id=12953&lang=geo

[99] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.

[100] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022,

[101] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.

[102] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 17.

[103] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.

[104] https://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo

გალის რაიონიდან სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, 2019 წელსვე, გალის რაიონის იმჟამინდელმა დე ფაქტო ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ განაცხადა, რომ ამ ადამიანებს ჩამოერთმეოდათ ბინადრობის მოწმობები, თუკი სასწავლებლად საქართველოს უნივერსიტეტებს აირჩევდნენ.[105] თუმცა ეს მუქარა სისრულეში არ მოუყვანია ადგილობრივ დე ფაქტო ადმინისტრაციას. 2022 წელს გალის ადმინისტრაციის ახალმა დე ფაქტო ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფილიამაც განაცხადა, რომ წუხს, გალელი ახალგაზრდები მეტწილად საქართველოში რომ მიდიან სწავლის გასაგრძელებლად და აფხაზეთში არ რჩებიან. მისი თქმით, 2021 წელს 233-მა ახალგაზრდამ დაამთავრა გალში სკოლა და აქედან მხოლოდ 7-მა ჩააბარა სოხუმის უნივერსიტეტში, დანარჩენებმა კი დატოვეს აფხაზეთი.[106] მისი თქმით, პრობლემა აფხაზური პასპორტების უქონლობაშია, რის გამოც გალელები ტოვებენ აფხაზეთს. ფილია ამბობს, რომ შეეცდება ამ პრაქტიკის შეცვლას.

გარდა ამისა, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების აღიარება აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ, კიდევ ერთი პრობლემაა. ეს დოკუმენტები აფხაზეთში არ არის აღიარებული, რაც კურსდამთავრებულებს ხელს უშლის დასაქმდნენ გალში, ან აფხაზეთის სხვა რეგიონში.[107]

2021 წლიდან ამოქმედდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირების საჭიროებები. კერძოდ, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეგულაცია ითვალისწინებს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე იმ პირების უგამოცდოდ ჩარიცხვას, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულეს პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.[108]

კვლევისას არაერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის საფასურის დაფინანსება არ უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ქართულ უნივერსიტეტში სწავლის შეუფერხებლად გაგრძელებას. ენობრივი ბარიერის გამო ქართულ ენაზე უნივერსიტეტში სწავლა ბევრი გალელისთვის დაბრკოლებაა და მოსალოდნელია, რომ წლების შემდეგ კიდევ უფრო პრობლემური გახდება. გარდა ამისა, სტუდენტებს დამატებითი რესურსები სჭირდებათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლასთან დაკავშირებული

[105] თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020. გვ. 17.
[106] ვისურვებდი, გალელი ბავშვები აფხაზეთშივე რჩებოდნენ | კონსტანტინე ფილია, „ნეტგაზეთი“, 17 იანვარი, 2022. https://netgazeti.ge/news/586790/
[107] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 336.
[108] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.

სხვა ხარჯებისთვის, მათ შორის, საცხოვრებლისთვის. ბევრი სტუდენტი, რომელიც თბილისში და სხვა ქალაქებში გადმოდის სასწავლებლად, სოციალურად დაუცველია, მაგრამ ეს სტატუსი არ აქვთ. გალში ამ ვითარების შემოწმება საქართველოს უწყებებისთვის ფიზიკურად შეუძლებელია, აქედან გამომდინარე, მათ ძალიან უჭირთ სწავლის დროს საცხოვრებლით იყვნენ უზრუნველყოფილნი და სხვა ხარჯებიც დაფარონ.[109] ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი პანდემიის დროს, რადგან თბილისსა და სხვა ქალაქებში მყოფი სტუდენტები გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო ვერ ახერხებდნენ სახლში დაბრუნებას და არც საცხოვრებლის ქირის რესურსები ჰქონდათ - ბევრმა მათგანმა დაკარგა პანდემიის დროს დროებითი სამსახური.[110]

7. პოლიტიკური მონაწილეობა და წარმომადგენლობა

ინფრასტრუქტურა

ქალაქ გალის პოლიტიკური და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა ასე გამოიყურება - აქ განთავსებულია ქალაქის ადმინისტრაციის შენობა, კულტურის სახლი, 2 სკოლა, მუსიკალური სკოლა და საბავშვო ბაღები; ასევე არის განათლების რაიონული დეპარტამენტი, რომელიც მთელ რაიონში კურირებს განათლებას; მილიცია, პროკურატურა, სასამართლო, საავადმყოფო, ლაბორატორია და ამბულატორია. გალში ასევე უნდათ პროფესიული კოლეჯის გახსნაც. ამჟამინდელი კოლეჯი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით და შემოსული გადასახადებით ფუნქციონირებს.

რაც შეეხება გალის რაიონის სოფლებს, აქ ყველა სოფელში არ არის ადმინისტრაციის შენობა, თუმცა სკოლის შენობაში ამ მიზნით ცალკე გამოყოფილია კაბინეტი. გალის რაიონის ყველას სოფელში არის სკოლა და ამბულატორია. სოფლებში დანარჩენი სახელმწიფო შენობები არ არის. ბაღები, მუსიკალური სკოლა ან სოფლის ადმინისტრაციის შენობა ძირითადად სკოლის შენობას ებმის. ერთადერთი სოფელი, სადაც არის ბაღი, სკოლა და მუსიკალური სკოლაც, საბერიოა.

პოლიტიკური მონაწილეობა

აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემას აწესრიგებს 1994 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კონსტიტუცია, სადაც განსაზღვრულია, რომ აფხაზეთი საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკაა. აფხაზეთში არსებობს დე ფაქტო საკანონმდებლო ორგანო - სახალხო კრება, ანუ პარლამენტი 35 დეპუტატის შემადგენლობით, რომელსაც 5 წელიწადში ერთხელ ირჩევენ. აფხაზეთის „კონსტიტუციით“ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა დაყოფილია 7 რაიონად: გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში, ოჩამჩირე, ტყვარჩელი და გალი, და 117 მუნიციპალიტეტად. აფხაზეთის აღმასრულებელი ორგანო შედგება პრეზიდენტისგან,

[109] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022,
[110] https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-studentebistvis-spetsialur-sotsialur-mkhardacheras-moitkhovs

პრემიერ-მინისტრისგან და 11 მინისტრისგან, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან „პარლამენტის წინაშე“, თუმცა კანონმდებლობით პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილებები აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.[111] დე ფაქტო ხელისუფლების მიღმა არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დე იურე მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომლებიც დე იურე ახორციელებენ თავის ფუნქციებს თბილისიდან. მთავრობის კაბინეტში სულ 5 სამინისტრო შედის (კულტურის და განათლების სამინისტრო, სადაც ასევე ცალკე ფუნქციონირებს გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრი; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო და იუსტიციის და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტრო). თვითმმართველი ერთეულები დე იურე ხელისუფლების ორგანოებში არ გვხვდება. შესაბამისად, გალის რაიონსაც ადგილზე მყოფი დე ფაქტო ადმინისტრაცია მართავს, დე იურე დონეზე მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსცენტრი არსებობს ამ რაიონისთვის.

გალის რაიონში, ადმინისტრაციული საშტატო ერთეული 172 ადამიანით შემოიფარგლება, მათგან, თანამშრომლების 70%-ზე მეტი სხვა რაიონებიდანაა და მხოლოდ 30%-ია ადგილობრივი. აფხაზეთის სხვა რაიონებში, ადმინისტრაციის თანამშრომლების 90% ადგილობრივები არიან.[112]

გალელების პოლიტიკური რეპრეზენტაცია და მათი ჩართულობა ადგილობრივ მმართველობაში ძალიან დაბალია[113] და აფხაზური ხელისუფლების დამოკიდებულება მათ მიმართ დისკრიმინაციულია. აფხაზეთის წინა მოწვევის დე ფაქტო პარლამენტში იყო ერთი ქართველი გალიდან, თუმცა ამჟამინდელ პარლამენტში არცერთი ქართველი აღარ არის პარლამენტში, არის ერთი გალელი დეპუტატი, თუმცა ის აფხაზია.[114]

მნიშვნელოვანი თანამდებობები გალის რაიონში თვითონ გალელებს არ უკავიათ. მაგალითად, ქალაქის მერი, ადმინისტრაციის უფროსი, კულტურის სახლის უფროსიც, სხვა რაიონიდანაა და ეთნიკურად აფხაზია. იშვიათად არის ისეთი სამუშაო ადგილები, სადაც გალის რაიონის წარმომადგენლები არიან დასაქმებულები. ამ წამყვან პოზიციებზე მუშაობენ თანამშრომლები, რომლებიც წლებია იკავებენ შესაბამის პოზიციებს, კარგად ფლობენ თავიანთ საქმიანობას და მათი შეცვლის შემთხვევაში, ამ საქმის ათვისებას დიდი დრო დასჭირდება. მაგალითად, ასეთი ადამიანია გალის „ჩერნომორენერგოს“ (ენერგოკომპანია) დირექტორი, რომელიც წლებია მუშაობს ენერგოსისტემაში და მისი შემცვლელი პროფესიონალი არ ჰყავთ. ასეთი შემთხვევები გამონაკლისია. გალელებს ძირითადად არაწამყვანი, რიგითი თანამშრომლის პოზიციები უკავიათ ოფიციალურ უწყებებში. გალის რაიონის სოფლებშიც გამგებლები ძირითადად აფხაზები არიან,

[111] ინფოგრაფიკა: დე ფაქტო პოლიტიკური სისტემა აფხაზეთში, კავკასიური სახლი, ხელმისაწვდომია: http://regional-dialogue.com/abk-pol-syst/
[112] ინტერვიუ გალში, ივნისი, 2022.
[113] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 23.
[114] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველებთან, ივნისი, 2022.

მხოლოდ ორ სოფელშია ქართველი გამგებელი, სოფელ ნაბაკევსა და სიდაში.[115] რაც შეეხება გალის ადგილობრივ საკრებულოს, აქაც ყველა ეთნიკურად აფხაზია.

გალის რაიონის ადმინისტრაციაში ოფიციალური ენა არის რუსული და აფხაზური, რაც იქ მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აყენებს ადმინისტრაციასთან ოფიციალური კომუნიკაციის დროს.[116] რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ენობრივი ბარიერი გალელ ქართველებს ხელს უშლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაში და ასევე აბრკოლებს მათ წვდომას ნებისმიერ სახელმწიფო სერვისზე.[117]

გალელების პოლიტიკურ ჩართულობას პირველ რიგში ხელს უშლის მათი სამართლებრივი სტატუსი აფხაზურ სისტემაში. გალის მცხოვრებლებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ აფხაზეთის ე.წ. მოქალაქის პასპორტი, რის გამოც არ შეუძლიათ კენჭი იყარონ არჩევნებში ან ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს. *„სიმართლე გითხრათ, დისკრიმინაცია არსებობს, დიდი დისკრიმინაცია. იურიდიული უფლებები არ გაგვაჩნია. მაგ., თვითმმართველობა არსებობს... თუმცა აქედან ერთი კადრია ადგილობრივი, დანარჩენები კი სხვადასხვა რაიონებიდან. რადგან ადგილობრივებს არ გააჩნიათ საბუთი (პასპორტი), კენჭი რომ იყარონ“,* - აღნიშნავს ერთ-ერთი გალელი ინტერვიუს დროს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2013 წელს გალის რაიონის მცხოვრებლებს (20.000-ზე მეტი) ჩამოართვეს აფხაზეთის „მოქალაქეობა“, რასაც მოჰყვა 2014 წლის აფხაზეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებზე მათი გამორიცხვა საარჩევნო სიებიდან. 2017 წლის 12 მარტს გამართულ დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნებზე კი გალიდან მხოლოდ 603 ადამიანი იყო საარჩევნო სიაში.[118] აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ აქ ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებიც ვერ ჩაატარა, და უპრეცედენტო გადაწყვეტილების მიღება მოუწია, მათ უბრალოდ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელეს 2011 წელს არჩეულ საკრებულოს.[119]

დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის კიდევ ერთ მიზეზად ადგილობრივი მოსახლეობა ასახელებს უფროსი თაობის დაბალ ინტერესს გამოხატონ საკუთარი აზრი ან პროტესტი არსებული რეალობის მიმართ. ადამიანებისთვის, რომლებმაც გამოიარეს ომის საშინელება, პროტესტის გამოხატვა ძალიან რთულია და თავგანწირვის ტოლფასია, მომავალი თაობებიც ამ აზროვნებით გაიზარდნენ გალში - შიშსა და სიჩუმეში.

უიმედობა ცვლილებების მიმართ, დაბალი პოლიტიკური ჩართულობის კიდევ ერთი *მიზეზია. „ვიღაც მოვა, და ჩვენს ნაცვლად ის შეცვლის და გააკეთებს ყველაფერს. ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვენს პრობლემებს არავინ არ შეცვლის“,* - აცხადებს ერთ-ერთი რესპონდენტი.

---

[115] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, 23 ივნისი, 2022, ბელგრადი.
[116] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 24.
[117] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, 23 ივნისი, 2022, ბელგრადი.
[118] გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რეგიონში, DRI, 2021, გვ. 4.
[119] სოხუმმა ეთნიკური ქართველებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემა დაიწყო, civil.ge, 25 აპრილი, 2017. https://old.civil.ge/geo/article.php?id=31225&search

გარდა ამისა, ამ ყველაფერს თან ერთვის მძიმე პოლიტიკური და სოციალური კლიმატი, ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის მაღალი მაჩვენებელი, უმუშევრობა და ეთნიკურ ნიადაგზე ჩაგვრის მრავალი პრაქტიკა გალის რაიონში, რაც საბოლოოდ იწვევს ნიჰილიზმს მთელ რაიონში.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, დისკრიმინაციის და ჩაგვრის პრაქტიკა, გალსა და რაიონში მომუშავე ქართველებისთვის, ყოველი სამუშაო დღის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს ჩაგვრითი პრაქტიკები (ფიზიკური შეურაცხყოფა, სროლა, ცემა, უარეს შემთხვევაში, წამებით მოკვლა), რაც დრო გადის, უფრო და უფრო უჩინარდება. ის ბარიერები, რომლებიც 90-იანი წლების მერე აიგო აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებსა და ქართველებს შორის, ნელ-ნელა ქრება. თუმცა ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციული მიდგომები შეიმჩნევა ყველა სფეროში: პოლიტიკურ ჩართულობაში, ოფიციალური დოკუმენტების აღების დროს ღირსებაშემლახველ პირობებში, განათლების ხელმისაწვდომობაში და ა.შ.

მსგავსი სიტუაცია შეინიშნება რაიონის სოფლებშიც: ადგილზე დისკრიმინაცია, „პასპორტის“ აღების გართულებული პროცესი, ქრთამი და ნეპოტიზმი. გალელებისგან განსხვავებით, სოფლებში მცხოვრებლებს უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდებათ ნებისმიერი ბიუროკრატიული საკითხის მოსაგვარებლად, რადგან სოფელში არ არის ადმინისტრაციული შენობა (თუმცა სკოლის შენობაში არის ცალკე გამოყოფილი კაბინეტი) და სხვა საჭირო რესურსები.

გალში ასევე ძალიან იშვიათია და თითქმის არ არსებობს აფხაზი პოლიტიკოსების ვიზიტების პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ასლან ბჟანიამ „გაპრეზიდენტების“ შემდეგ აქ მცხოვრები ადამიანების უფლებების და ინტერესების გათვალისწინების პირობა დადო,[120] დისკრიმინაციული პრაქტიკები ჯერ კიდევ არ შეცვლილა.

8. ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება

ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად ზუგდიდთან და დანარჩენ საქართველოსთან არის დაკავშირებული. გალელებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სერვისის მისაღებად ზუგდიდში გადმოვიდნენ, აიღონ პენსიები, დევნილთა და სოციალურად დაუცველთა შემწეობა და ა.შ. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა მათთვის ასევე მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობებისთვის, ჯანდაცვის სერვისების მისაღებად.

გალის რაიონის მოსახლეობისთვის შემოსავლის მთავარი წყაროა სოფლის მეურნეობა, მათ აქვთ სიმინდის ყანები, თხილნარი, მოჰყავთ ციტრუსი, ასევე მისდევენ მეცხოველეობას.

[120] ასლან ბჟანია გალის მოსახლეობას: თქვენი რაიონი უყურადღებოდ არ დარჩება, რადიო ათინათი, 25 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radioatinati.ge/akhali-ambebi/article/73225-aslan-bzhania-galis-mosakhleobas-thqveni-raioni-uyuradghebod-ar-darcheba.html

სოფლის მეურნეობის ნაწარმს (მცირე რაოდენობით, რამდენის გადმოტანის უფლებასაც ადგილობრივი „მესაზღვრეები“ აძლევენ, შესაბამისი ქრთამის სანაცვლოდ) ისინი ძირითადად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ყიდიან, თუმცა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო, ასევე გადააქვთ აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში, ან ფსოუს ბაზრობაზე. ზაფხულობით, შემოსავლის მთავარი წყარო თხილი ხდება.

გარდა ამისა, შემოსავლის წყაროა დროებითი სეზონური საქმიანობა, ტურისტულ სეზონზე დასაქმებულები არიან სერვისის სფეროში აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში (გაგრა, გუდაუთა) და არატურისტულ სეზონზე - მშენებლობებზე.[121] არის ერთობლივი ბიზნეს საქმიანობებიც, აფხაზებთან. გალის ბაზარი საკმაოდ დიდია და აქ ვაჭრობა გალელებისთვის შემოსავლის კიდევ ერთი წყაროა.[122] რამდენიმე წელია სხვადასხვა მწერების და სოკოვანი დაავადებების გავრცელების გამო მოსავლის ხარისხი და რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, პრობლემებთან ბრძოლაში მოსახლეობა მარტოა და ძვირადღირებული შესაწამლი რესურსების ყიდვა საკუთარი სახსრებით უწევთ. ასევე, რაიონში დაუსახლებელი და აუთვისებელი ტერიტორიების სიმრავლის გამო, დასახლებული პუნქტების და პლანტაციების დამუშავება არ იძლევა შედეგს, რადგან ადვილად ვრცელდება მავნებლები.

რესპონდენტების თქმით, ადგილობრივ მკვიდრთა დიდი ნაწილი, რომელმაც ომის შემდეგ დაკარგა სამსახურები, დღემდე დაუსაქმებელია, რადგან ან სამუშაო ადგილები გაქრა, ან საჭირო დოკუმენტაციის არქონის გამო, არ შეუძლიათ ძველ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური სტრუქტურა, სამუშაო ადგილები და შესაბამისი დოკუმენტაცია დაიკარგა. ამიტომაც, კერძო საქმიანობა და სოფლის მეურნეობა მათი შემოსავალის ძირითადი წყაროა.

გადასასვლელი პუნქტების გაუქმება და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა მძიმედ აისახება გალელების ეკონომიკურ საქმიანობასა და შემოსავალზე. გადასასვლელი პუნქტები, როგორც წესი, ყველაზე ხალხმრავალი ადგილი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ჩართული იყო სავაჭრო ურთიერთობებში, გახსნილი იყო მაღაზიები, მუშაობდნენ ტაქსის მძღოლებად და ტვირთის გადაზიდვაში ეხმარებოდნენ გადამსვლელ ხალხს. გადასასვლელ პუნქტებთან გახსნილი იყო სწრაფი კვების ობიექტები, თხილის და ჯართის ჩამბარებელი პუნქტები. ეს საქმიანობა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანებისთვის და არა მხოლოდ მათთვის, შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო.[123] ხურჩა-ნაბაკევის და ორსანტია-ოტობაიას გადასასვლელების გაუქმებამ დააზარალა გალის ქვედა ზონაში მცხოვრები 11 სოფლის მოსახლეობა, დაახლოებით 3400 ადამიანი, რომლებიც ამ გადასასვლელებით პირდაპირ უკავშირდებოდნენ საქართველოს

[121] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[122] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[123] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, 2017. გვ. 7-9.

კონტროლირებად ტერიტორიას. მათთვის გაიზარდა გადაადგილების დრო და ხარჯები, ვინაიდან უწევთ ენგურის ხიდის გამშვები პუნქტით გადაადგილდნენ. გლეხები, რომლებსაც დიდი რაოდენობით თხილი და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი გადმოჰქონდათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გასაყიდად, მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. გადაადგილების გართულებისა და გაძვირების გამო, ისინი თვეში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ახერხებენ გადმოსვლას, რამაც შეამცირა მათი შემოსავალიც.

9. საკუთრების უფლება

ქართველებს გალში არ აქვთ საკუთრების უფლების განხორციელების უფლება, ადგილობრივი „კანონმდებლობით“, საამისოდ აუცილებელია აფხაზეთის მოქალაქის სტატუსი. არსებობს საშინაო წიგნი, სადაც კონკრეტულ სახლში მცხოვრები ადამიანების სახელებია მითითებული. უძრავი ქონების გასხვისების უფლება ეთნიკურ ქართველს არ გააჩნია, რადგან ის არ არის აფხაზეთის მოქალაქე. მხოლოდ მოქალაქეს აქვს საკუთრების შეძენისა და გაყიდვის უფლება. საკუთრების გაყიდვის მიზნით გალის რაიონის მოსახლეობა ასეთ პრაქტიკასაც მიმართავს: მათ შეუძლიათ გააჩუქონ საკუთრება სანდო, მოქალაქეობის მქონე პირზე, რომელსაც შემდგომში ექნება შესაძლებლობა გაყიდოს საკუთრება და მის ნამდვილ მესაკუთრეს მისცეს შესაბამისი თანხა. თუმცა ეს გზაც სარისკოა და იურიდიულად გაუმართავია. გალელებს მხოლოდ საკუთრების გაჩუქება ან მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლიათ, რაც ნოტარიულად ფორმდება, ამასაც დიდი დრო და ფინანსური რესურსი სჭირდება.

> *„პირადად მე ვარ ანალოგიურ სიტუაციაში ახლა. და იმან შემიწყო ხელი, რომ მამაჩემს აქვს მოქალაქეობა და ამან გაამარტივა საქმე. მამაჩემს გადავუფორმე ეს სახლი. მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, ვერ ვიყიდდი სახლს, დავფიქრდებოდი იმაზე, მიღირს თუ არა სახლის ყიდვა ამ პროცედურებად და გარჯად. გამომდინარე იქიდან, რომ კავკასიური მენტალიტეტის ხალხი ვართ, ნათესაობას და ნაცნობობას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. ასევე არსებობს შავი სამყაროს ინსტიტუტი - კაცთან მოლაპარაკების ამბავი. აქაც გიწევს სანაცვლოდ რაღაცის გაცემა და წვალებაა. 100 000 რუბლს თუ გადაიხდი, ბინადრობის მოწმობითაც შეგიძლია გადმოფორმება. მაგრამ როდესაც სახლს 9000 დოლარად ყიდულობ, ასი ათასი რუბლის გადახდა სისულელეა“* - ამონარიდი ინტერვიუდან.

გარდა ამისა, ე.წ. ბორდერიზაციის პროცესშიც ხშირად კარგავენ საკუთრებას, რომელიც გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდება. გალელები იხსენებენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სახლის ნაწილი დაკარგა ადამიანმა გამყოფი ხაზის გავლების შედეგად. გარდა ამისა, კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, საძოვრებს.

10. კულტურა და რელიგია

გალის რაიონში მხოლოდ ერთი მართლმადიდებლური ეკლესიაა - ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ყველა სოფლიდან და გალიდან იყრის ხალხი თავს სალოცავად და დღესასწაულების აღსანიშნავად. ეკლესია იმ ადგილად იქცა, სადაც ხალხი მშობლიურ ენაზე მოისმენს წირვას და იქნება თავისუფალი. ეკლესიის მოძღვარი ოჩამჩირელი აფხაზია, რომელიც ქართულად, რუსულად და აფხაზურად წირავს.

ადგილობრივი ქართველების კულტურული თვითმყოფადობის და იდენტობის დასაცავად არც ქართული და არც აფხაზური მხრიდან, ნაბიჯები არ გადადგმულა.

კულტურულ-რელიგიური ცხოვრება მთელ აფხაზეთში დაზარალდა. დღესდღეობით ის ტაძრები, რომლებიც ქართულ სტილში იყო აგებული, მოპირკეთებული და მოხატულია, თეთრადაა შეღებილი ან რუსული სტილის გუმბათები აქვს დადგმული.

11. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა გალში

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა გალში, კიდევ უფრო მოწყვლადი და რთულია განგრძობადი კონფლიქტის პირობებში, ასევე, აფხაზეთში ქალთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობის პირობებში. იზოლაციური პოლიტიკა, მძიმე სოციალური ფონი, პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტი, ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. რადგან არ არსებობს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები, ქალები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, თუმცა არც სამართალდამცავი ორგანოები და არც სხვა მექანიზმები მზად არ არიან იმისთვის, რომ პირველ რიგში მსხვერპლს გაუწიონ შესაბამისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დახმარება, თავიდან აირიდონ შემდგომი ძალადობა და ხელი შეუწყონ რეაბილიტაციას. ამის შესახებ სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში უთითებდა.[124]

რესპონდენტების თქმით, ქალებზე ძალადობის ფაქტები არის, მათ შორის, ოჯახური ძალადობის, და ქალები მეტწილად ითმენენ ამ ძალადობას, ტრადიციული და პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი რწმენებიდან გამომდინარე. ძალადობის მხილების პრაქტიკაც იშვიათობაა, რადგან მეზობლებსა და ნათესავებს არ უნდათ, რომ მოძალადეს პრობლემები შეუქმნან. პოლიციის ჩარევით, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ძალადობა ვერ აღმოიფხვრება. პოლიციას, როგორც ინსტიტუტს, გალსა და რაიონში, არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად ან თავიდან ასარიდებლად. თუმცა ასევე იხსენებენ რამდენიმე შემთხვევას, როცა სოფლებში უბნის ინსპექტორს თვითონ

[124] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში, 2017, გვ. 5-6.

მიუწოდებია ინფორმაცია უფლებადამცველებისთვის ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ და თვითონაც მისულა ამ ოჯახში და გაუფრთხილებია მოძალადე.[125]

რადგან აფხაზეთში არ არსებობს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი, რომელიც შესაბამის დამცავ სისტემას და პროცედურებს დაადგენდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ამიტომ მათ მუდმივად სჭირდებათ სამართლებრივი კონსულტაცია და მთელ პროცესში მხარდაჭერა, მათ შორის, სასამართლო დონეზეც, რათა შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა.[126]

გალში მხოლოდ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ქალთა უფლებების დაცვაზე და ატარებს ცნობიერების კამპანიებს ქალთა უფლებების შესახებ. რესპონდენტების თქმით, ყოველდღიური სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, თვითონ ქალების მხრიდან დაბალია დაინტერესება. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც ქალთა და გოგონათა უფლებრივ მდგომარეობას ეხება პანდემიის პირობებში, აღნიშნულია, რომ პანდემიამდეც, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ინფორმირებულობის დონე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სახელმწიფო სერვისების შესახებ, დაბალი იყო;[127] ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ ვითარება პანდემიის დროს კიდევ უფრო გაუარესდა, ვინაიდან როგორც სხვა ადგილებში, ისე გალშიც, პანდემიამ მსხვერპლი და მოძალადე ძირითადად ერთ სივრცეში მოაქცია.[128] პანდემიის დროს გადაადგილების შეზღუდვის გამო, გალის რაიონში მცხოვრები ქალები ვეღარ სარგებლობდნენ ზუგდიდში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისებით, თვითონ აფხაზეთში კი მსხვერპლთა დაცვის სისტემა, თავშესაფრები არ არსებობს (არის მხოლოდ კრიზისული ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელი ხაზი).

კიდევ ერთი პრობლემაა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. რესპონდენტები იხსენებენ, რომ ქალთა და ბავშვთა უფლებებზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ძალიან ძნელია, რადგან აღმასრულებელი ორგანო აფხაზეთში ძალიან სუსტად მუშაობას და ეს სისტემა კიდევ უფრო სუსტია გალში. ისინი იხსენებენ შემთხვევებს, როცა სასამართლომ ბავშვი დედას მიაკუთვნა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების აღსრულება წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა, რადგან აღსრულების სისტემა არ არსებობს.[129]

გალში ქალთა მდგომარეობას ართულებს აფხაზეთში 2016 წელს მიღებული „კანონი“, რომელიც სრულად კრძალავს აბორტს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორსულობა საფრთხეს უქმნის დედის ჯანმრთელობას. კანონის მიღების მოტივაცია დემოგრაფიულ

[125] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[126] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[127] საქართველოს სახალხო დამცველი, COVID-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე, სპეციალური ანგარიში, 2021. გვ. 14.
[128] იგივე, გვ. 24.
[129] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

პრობლემებთან ბრძოლა იყო (სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთში 700-მდე აბორტი გაკეთდა, მათგან 15 - სამედიცინო მიზეზით, დანარჩენი კი, სოციალური ფონიდან გამომდინარე).[130] ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი, რასაც კანონი უშვებს, არის ნაყოფის გარდაცვალება მუცლადყოფნის პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად აფხაზეთში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ძალიან დაბალია. ქალები თითქმის არ არიან ან მინიმალურად არიან წარმოდგენილები პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, მონაწილეობა ასევე დაბალია თვითმმართველობის დონეზე. მაგალითად, 2016 წლის დე ფაქტო თვითმმართველობის არჩევნებში არჩეულ 170 კანდიდატს შორის მხოლოდ 7.5% იყო ქალების წილი. გალში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კიდევ უფრო გართულებულია, რადგან ზოგადად გალის მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილიც არ ფლობს „აფხაზეთის მოქალაქეობას", არც პასიური საარჩევნო უფლება (ხმის მიცემის) აქვს და არც საკუთარი კანდიდატურის დაყენება შეუძლია, ასევე არ აქვთ უფლება დასაქმდნენ საჯარო სამსახურში და, მით უმეტეს, დაიკავონ მაღალი თანამდებობები. ხოლო ის ვინც დასაქმებულია საჯარო სექტორში, მუშაობენ სკოლაში ან ბაღში, ან საავადმყოფოში.

12. უსაფრთხოება და ურთიერთობა სამართალდამცავებთან

1998 წლის შემდეგ, გალსა და გალის რაიონში საომარი მოქმედებების დაწყებას მწვავე კრიმინოგენური პრობლემები მოჰყვა. ყოველწლიურად იზრდებოდა ყაჩაღობის, ძარცვის, ცეცხლის გაჩენის, მოტაცებისა და მკვლელობების რიცხვი. Human Rights Watch-ის 2011 წლის ანგარიშში ჯერ კიდევ იყო საუბარი იმაზე, რომ ეთნიკური ქართველების უსაფრთხოების საკითხი გალში ძალიან მწვავედ იდგა.[131] ანგარიშში აღნიშნულია, რომ გალელების სახლები სხვადასხვა სოფლებში ხშირად განზრახ იწვებოდა, ისინი ღამით სახლიდან გასვლას ერიდებიან, ხშირია მოტაცების, ქურდობის და ძალადობის შემთხვევები. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ამ პერიოდის ძალადობრივი პრაქტიკის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ დაბალი ზონის სოფლები: სიდა, ზემო და ქვემო ბარღები, ოტობაია, ხუმუშქური, გაგიდა. ამ სოფლებში სახლების უმეტესობა დაიწვა და ხალხი გაიხიზნა. თუმცა დროთა განმავლობაში თავიანთ სოფლებში დაბრუნებულმა ხალხმა აღადგინა საკუთარი სახლები და სოფლის მეურნეობა.

რესპონდენტების თქმით, გალში არაერთ ოჯახს აუშენა და აღუდგინა სახლი არასამთავრობო ორგანიზაციებმა (UNCHR, DRC და სხვა) და მათაც, ნელ-ნელა, საკმაოდ რთულ პირობებში განაგრძეს ცხოვრება. მათივე თქმით, სოფლებში რუსული სამხედრო ბაზების აშენების შემდეგ, ძარცვის, ყაჩაღობის და მკვლელობების ფაქტებმა იკლო. მათი აღქმით, სამხედრო ბაზების არსებობამ, ამ მხრივ, უფრო მეტი უსაფრთხოება მოუტანა მათ. ამის საპირწონედ, გალელები ასევე საუბრობენ იმაზე, რომ სამხედრო ბაზების გაჩენის

[130] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, 2017, 9-10.
[131] Human Rights Watch, Living in limbo, 2011. 25-26.

შემდეგ გამკაცრდა რუსების მიერ სოფლის კონტროლი და გართულდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაც. აფხაზეთის ე.წ. საზღვართან ყველაფერს რუსი ჯარისკაცები აკონტროლებენ, შესაბამისად, ისინი ამოწმებენ ე.წ. დოკუმენტაციასაც, და იღებენ ქრთამსაც.[132] „უკანონო გადაადგილების“ შემთხვევაში, რუსი ჯარისკაცები აკავებენ ადამიანებს, გადაჰყავთ გალის მილიციაში, სადაც ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. გალელები ასევე იხსენებენ, თუ როგორ სასტიკად გასწორებიან რუსი სამხედროები დაკარგული საქონლის მოსაძებნად მდინარე ენგურთან მისულ ადამიანებს.[133]

გახშირდა დასმენები და აგენტურის შემთხვევები, რასაც რესპოდენტები იმით ხსნიან, რომ მძიმე სოციალური ფონის გამო ზოგიერთი ადამიანი ამ საქმეს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ თანხმდება.

რაც შეეხება პოლიციასთან ურთიერთობას, გალსა და გალის რაიონში ამბობენ, რომ ეს ურთიერთობა გაუმჯობესდა. თუ წლების წინ „ფორმიანის“ დანახვა მათში შიშს იწვევდა, ახლა უფრო მშვიდობიანად აღიქმება. თუმცა პოლიცია გალის რაიონში სამართლიანობის პოვნასთან მაინც არ ასოცირდება. ქრთამის მიცემით ან ნაცნობობით აქ ბევრი საქმის მოგვარება შეიძლება.[134] გალის პოლიციაში (მილიცია) ძირითადად აფხაზები არიან დასაქმებულები. მოსახლეობა საუბრობს ე.წ. „გაიშნიკების“ პრაქტიკაზე, რაც, მართალია, ბოლო პერიოდში შესუსტებულია, თუმცა კი, კიდევ გვხვდება. პოლიციამ შეიძლება უმიზეზოდ გააჩეროს ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ფული უნდა გადაუხადო. დანაშაულის შემთხვევაში, შესაძლოა, პოლიციას მიმართონ, მაგრამ აქ ნაცნობი უნდა ჰყავდეთ, რომ სამართალდამცავებმა ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს. წლების წინ ადგილობრივ მილიციას უმიზეზოდ შეეძლო გალელებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა შეპასუხების, ან ქართული გვარის გამო. ახლა ამბობენ, რომ მსგავსი შემთხვევები გაიშვიათდა, და ამას თაობების და მიდგომები შეცვლით და ადგილობრივ პოლიციაში მეტი ნაცნობობით ხსნიან.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემას, აფხაზეთში ერთი დაწესებულებაა სოხუმთან ახლოს - დრანდის ციხე. ამ დაწესებულებაში ძლიერია ე.წ. „მაყურებლების“ გავლენა. ციხეში სწორედ გავლენიანი პატიმრები წყვეტენ საკითხებს, და ნაკლებად - ციხის ადმინისტრაცია. ამ დაწესებულებაში ე.წ. პატრონები წყვეტენ, ვის ჰქონდეს პრივილეგირებული საკანი, ხოლო სხვები არაჰიგიენურ და მძიმე მდგომარეობაში იხდიან სასჯელს, ასეთ შემთხვევებში ხშირია თვითმკვლელობებიც.[135]

---

[132] რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა ადამიანების უფლებებზე, DRI, 2020, გვ. 20.
[133] რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა ადამიანების უფლებებზე, DRI, 2020, გვ. 24.
[134] ანონიმური ინტერვიუები გალის სოფლების მცხოვრებლებთან, მაისი-ივნისი, 2022.
[135] აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, DRI, 2020. გვ. 10.

გალში არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, არის მხოლოდ მილიციის შენობა და დროებითი დაკავების იზოლატორი, რომელთან დაკავშირებითაც ძალადობის და უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებს იხსენებენ.[136] უფლებამოსილების გადამეტების შესახებ ინფორმაციამ რამდენჯერმე მედიაშიც გაჟონა. გალელებს აქ ძირითადად ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღებისთვის იჭერენ და ამგვარ საქმეებზე ყოფილა ძალის გადამეტების შემთხვევები.[137] ინტერვიუს დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დაკავების შემთხვევაში, რაც უფრო მალე გადაიხდიან დაკავებული და მისი ოჯახი ფულს, მით უფრო მალე გამოუშვებენ დაკავებულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდეს. შესაბამისად, სამართალდამცავ სისტემაშიც, უფლებების დაცვა კორუფციულ სქემებსა და ნეპოტიზმზეა დამოკიდებული.[138]

ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები, გამყოფ ხაზებთან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, უხეშად და დამამცირებლად ეპყრობიან გალიდან გადმოსულ ადამიანებს, და ამგვარი მოპყრობა განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო პერიოდში.[139] ამ პრობლემაზე ასევე ისაუბრეს გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა ადამიანებმა და ზუგდიდში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფოკუს ჯგუფის დროს. მათი თქმით, ე.წ. საზღვართან, ქართულ მხარეს, პოლიცია განსაკუთრებით კრიტიკულად ამოწმებს ადამიანებს, უმოწმებს ბარგს, რაც ხშირად დამამცირებელი და ღირსების შემლახავია.

13. სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ჩართულობა

სამოქალაქო ჩართულობა პოლიტიკურ და ყოველდღიურ ცხოვრებაში გალსა და გალის რაიონში საკმაოდ დაბალია. ზოგადად აქ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის კულტურა ომის დროინდელი და შემდგომი რეპრესიების გამო გაქრა. მოსახლეობის თქმით, გალის და მთლიანად რაიონის მოსახლეობისთვის პრობლემებზე თვალის დახუჭვა და სახლის შიგნით მათი აღმოფხვრა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად გადაიქცა. გარდა ამისა, გალელების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აფხაზური ოპოზიცია, ანტიქართული ხასიათიდან გამომდინარე, მკაცრად ეწინააღმდეგება.

გალში, ისევე როგორც აფხაზეთის სხვა რაიონებში, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ რეგისტრაციის პრობლემა, თუმცა კონტროლი, ბოლო პერიოდის მოვლენების ფონზე, გაძლიერდა. 2021 წლის ნოემბრიდან აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხის წინაშე დადგა, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო სექტორის და

[136] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[137] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.
[138] ანონიმური ინტერვიუები გალის სოფლების მცხოვრებლებთან, მაისი-ივნისი, 2022.
[139] ინტერვიუ გალის რაიონში მკვლევართან, აგვისტო, 2022.

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვას და სრულ კონტროლს.[140] „უცხოეთის აგენტის“ შესახებ კანონის ინიციატივა რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით, ჯერ კიდევ 2020 წლის ნოემბერში წამოაყენეს აფხაზეთში, და 2021 წლის ნოემბრიდან ეს საკითხი აქტუალური გახადა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ. არძინბა ითხოვს, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა არ გასცდეს ჰუმანიტარულ სფეროს, არ შეეხოს პოლიტიკურ საკითხებს, განსაკუთრებით კი, არ მოიცავდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუმჯობესების და ნდობის აღდგენის მიმართულებებს, ასევე განათლების და ახალგაზრდობის ჩართულობის საკითხებს.[141] ამ ინიციატივას მწვავე რეაქცია მოჰყვა აფხაზურ საზოგადოებაში. აფხაზეთის სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ ეს კანონი აფხაზეთის იზოლაციას გაზრდიდა.[142]

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კანონი ავალდებულებთ, რომ წელიწადში ერთხელ აფხაზეთის დე ფაქტო იუსტიციის სახლში წარადგინონ ანგარიში საქმიანობის შესახებ, ასევე, წელიწადში ერთხელ წარადგენენ ფინანსურ ანგარიშსაც. თუმცა კანონის მიღმაც, პრაქტიკის დონეზე, ვალდებულები არიან, როგორც მინიმუმ, სოფლის ადმინისტრაციას, ასევე, გალის ადმინისტრაციას მიაწოდონ ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ.[143] გარდა ამისა დე-ფაქტო უშიშროების სამსახური ნებისმიერ დროს შეიძლება მივიდეს შემოწმებაზე, მოითხოვოს კონტრაქტები დონორებთან, პროექტები, კონტრაქტები თანამშრომლებთან, თანამშრომლების პირადი ინფორმაცია. საგადასახადო სამსახური აგრეთვე ატარებს პერიოდულ და წლიურ შემოწმებას.

14. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

გალში და გალის რაიონში მოსახლეობის 90% ქართულ არხებს უყურებს: „რუსთავი 2“, „იმედი“, „მთავარი“, „პირველი არხი“, „ფორმულა“ და ა.შ., რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომია რუსული არხებიც, როგორებიცაა „პირველი არხი“, „რასია“, „ნტვ“, „სტს“, „პიატნიცა“ და ა.შ. აფხაზურ არხებს - „აბხაზკაე ტელევიდენიე“, და „გალ ტვ“, ხალხი იშვიათად უყურებს, რადგან ამ არხების საქმიანობის ხარისხი არ აკმაყოფილებთ, ხოლო „ა. ტ.“-ზე, ძირითადად აფხაზურად მიჰყავთ გადაცემები, გალელებმა კი აფხაზური ენა არ იციან.[144]

---

[140] ოკუპირებული აფხაზეთი: იერიში სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 28 სექტემბერი, 2022. ხელმისაწვდომია: https://gfsis.org.ge/ge/blog/view/1498

[141] ერთიანი, მაგრამ სრულიად რუსული სივრცე აფხაზეთისთვის, რადიო თავისუფლება, 1 დეკემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30978724.html

[142] „უცხო ქვეყნის აგენტების“ შესახებ კანონი გაზრდის აფხაზეთის იზოლაციას – შაკრილი, „ნეტგაზეთი“, 8 ივნისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/614774/

[143] ინტერვიუ გალელ უფლებადამცველთან, ივნისი, 2022.

[144] ინტერვიუები გალის მცხოვრებლებთან, მაისი-ივნისი, 2022.

მას შემდეგ, რაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა, ხალხს მეტი წვდომა აქვს ინფორმაციაზე. თუმცა, რადგან ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 50+ ასაკისაა, ტელევიზია ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროდ რჩება. ამიტომაც, ადგილობრივ მოსახლეობაზე მეინსტრიმ მედიის გავლენა საკმაოდ დიდია.

რესპონდენტების უმრავლესობის თქმით, ის, თუ როგორ აშუქებს ეს მედია გალის თემას, მათ არ მოსწონთ. მეინსტრიმ მედიის მთავარი ფოკუსი ყოველთვის ოკუპაციაზეა, რუსეთის როლზე ხშირი საუბრით, და აფხაზური ან ქართული კონტექსტის უგულებელყოფით, ასევე არ ექცევა ყურადღება აქ მცხოვრები ადამიანების რეალურ ყოფას.

გალელების თქმით, აფხაზეთში არ არსებობს კრიტიკული მედია. კრიტიკული აზრის გამოთქმა კი აქ საშიშია, რადგან ადამიანი შეიძლება პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდეს.

15. თემთაშორისი კომუნიკაცია და ურთიერთობა

ხანგრძლივი დროის განმავლობაში გალი და გალის რაიონი იზოლირებული იყო დანარჩენი აფხაზეთისგან. გაწყდა ურთიერთობები აფხაზებსა და ქართველებს შორის და გალელების და სოფლის მცხოვრებლების სავაჭრო და ნათესაური კავშირები ქართულ მხარეს უფრო შენარჩუნდა. თუმცა დროთა განმავლობაში ეს ურთიერთობები და კავშირები აღდგა, ხალხმა დაიწყო მიმოსვლა, განახლდა ვაჭრობა აფხაზეთის დასავლეთით და გალელებიც ისევ შეუდგნენ სამსახურის ძიებას დანარჩენ აფხაზეთში. რესპონდენტების თქმით, წლების განმავლობაში გალში მომუშავე სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული აფხაზები ადგილობრივ მცხოვრებლებთან კარგ ურთიერთობაში არიან და სწორედ ამ ნაცნობობით და პირადი კავშირებით აგვარებენ არაერთ ბიუროკრატიულ საქმეს გალელები.

თავის მხრივ, გალის მოსახლეობა აფხაზებს ხშირად ეხმარება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სავაჭროდ, ან სამკურნალოდ გადმოსვლაში და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში. მიუხედავად ამ კონტაქტებისა, ინსტიტუციურ დონეზე გალის და გალის რაიონის მცხოვრებლების ინტეგრაციის საკითხი აფხაზურ საზოგადოებაში კვლავ მწვავედ დგას. აფხაზების უმეტესობა მაინც არ ენდობა ამ რაიონში მოსახლე ქართველებს და ნდობა ნაკლებია პირიქითაც, რადგან გალელები ვერ გრძნობენ თავს აფხაზური საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

გალელების თქმით, დანარჩენ საქართველოში არსებობს ასეთი აზრი, რომ ისინი ვინც დაბრუნდნენ აფხაზეთში, ბედნიერები არიან, რადგან თავიანთ სახლებში მოახერხეს დაბრუნება. სიმართლე კი ის არის, რომ გალში დაბრუნებული ხალხი მუდმივი შიშისა და ტერორის ქვეშ ცხოვრობს. პოლიტიკური ამინდი მუდმივად იცვლება, როგორც საქართველოს კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, რაც უშუალოდ აისახება იმაზე, თუ რა ბედი ეწევა იქ მცხოვრებ ხალხს.

გარდა იმისა, რომ ამ ხალხს მორალურად და ეკონომიკურად უჭირს, პრობლემურ, ღირსების შემლახავ პირობებში უწევთ დოკუმენტების მოპოვება, რაც მათი ფუნდამენტური უფლებების განხორციელების საწინდარია; სახლების შენარჩუნება; ე.წ. საზღვრის კვეთა. ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის თქმით, იქ, სადაც კორუფციასა და ნეპოტიზმზეა აგებული ყველაფერი, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა დაცული ვერ იქნება.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის შემდეგ, აფხაზეთშიც გამწვავდა სიტუაცია. გაიზარდა კონტროლი ქართველებზე, რათა უკრაინას არ დაუჭირონ მხარი და რაიმე პრეტენზიები არ გამოთქვან ოკუპაციასა და ეთნიკურ შევიწროებასთან დაკავშირებით. გახშირებულია აგენტურისა და დასმენის ფაქტებიც, უნდობლობაც, ქართული მხარის მიმართ, სულ უფრო ღრმავდება და ჩვენს რესპონდენტებს ჰქონდათ განცდა, რომ საქართველოს მთავრობა ამის აღმოსაფხვრელად არაფერს აკეთებს.

ახალგორი

1. ახალგორის რაიონის ზოგადი აღწერილობა

ახალგორის რაიონი 1011 კვ.მ-ზე მდებარეობს, თბილისიდან 66 კმ-ის დაშორებით, ხოლო ცხინვალიდან 110 კმ-ზე, მდინარე ქსნის ნაპირებზე. რაიონს დე ფაქტო ადმინისტრაციამ ომის შემდეგ სახელი შეუცვალა და „ლენინგორი“ უწოდა.

2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ახალგორში 5254 ადამიანი ცხოვრობდა.[145] 2009 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 3006 ადამიანამდე შემცირდა,[146] 2015 წელს კი - 2300-მდე, რაც ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენს.[147]

ახალგორის რაიონში არის 1 დაბა, 83 სოფელი და 7 სოფლის საკრებულო, ე.წ. საბჭო: ბოლის თემი, გდუს თემი; კორინთის თემი; ლარგვისის თემი; სალბიერის თემი; ქარჩოხის თემი; ცხრაძმის თემი; ასეთი ტერიტორიული დაყოფა 2002 წელს იყო ახალგორის რაიონში და ასე შენარჩუნდა ომის შემდეგაც. 2002 წლის მონაცემებით, ახალგორის მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკურად ქართველი იყო - 85.1%, 14.3% - ეთნიკურად ოსი, 0.2% - რუსი, 0.2% - სომეხი და 0.1.% - აფხაზი.[148]

კვლევის მიზნებისთვის ადგილობრივმა მკვლევარმა შეისწავლა ახალგორის დაბა და რაიონის 14 სოფელი - ბალაანი, ლარგვისი, კორინთა, იკოთი, ახმაჯი, ბოლის საბჭო, რომელიც აერთიანებს სოფლებს: ზემო ბოლი, ქვემო ბოლი, მორბედაანი და ერედა; ყანჩავეთი, ბაზუაანი, მოსაბრუნი, ზაყორი, წინაგარა.

<u>ქარჩოხის თემის საბჭო - სოფელი ბალაანი</u>

ბალაანში აღწერილია 73 ადამიანი (2002 წლის მონაცემებით, 121 ადამიანი). აქედან 7 - არასრულწლოვანი. აქ მოქმედებს 1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - 9-წლიანი სკოლა, სადაც 4 მოსწავლე სწავლობს. ბალაანში ასევე მოქმედებს სოფლის ამბულატორია, სადაც ევალებათ ქრონიკული ავადმყოფების აღრიცხვა და ახალგორის პოლიკლინიკისთვის მათთვის საჭირო წამლების მოთხოვნის წარდგენა. აღრიცხული ჰყავთ 11 დიაბეტით დაავადებული. ამბულატორიაში ასევე უწევენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ახალგორის დაბიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის მოსვლამდე. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ქალია.

---

[145] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/44560/II-tomi-.pdf გვ. 117.

[146] საქართველოს მთავრობის განკარგულება №161, 2009 წლის 3 მარტი: ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ 2009 წლის იანვარში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების შესახებ.

[147] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 8.

[148] 2002 წლის აღწერის მონაცემები, გვ. 117.

ლარგვისის თემის საბჭო - სოფელი ლარგვისი

სოფელ ლარგვისში აღწერილია 98 ადამიანი (2002 წლის მონაცემებით, 259 ადამიანი). აქ სკოლა აღარ ფუნქციონირებს. მუშაობს სოფლის ამბულატორია. ლაგვისში არის მე-15 საუკუნის ისტორიული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღესაც მოქმედებს და წირვა ქართულ ენაზე ტარდება. ეკლესიასთან არსებობს მამათა მონასტერი, სადაც ერთი მორჩილი ცხოვრობს და ის ასრულებს რელიგიურ რიტუალებს.

კორინთის თემის საბჭო - სოფელი კორინთა

სოფელ კორინთაში 170 ადამიანია აღწერილი (2002 წლის მონაცემებით, 205 ადამიანი). სოფელში ფუნქციონირებს ზოგადსაგანმანათლებლო 9-წლიანი სკოლა. ბოლო მონაცემებით, აქ 2 მოსწავლე სწავლობს. სკოლაში 20-მდე ადამიანია დასაქმებული. კორინთის სკოლა სოფელ იკოთის საშუალო სკოლას ექვემდებარება, რადგან ამ სკოლას არ ჰყავს დირექტორი. ტერიტორიულად ეს სოფლები ახლოს არის ერთმანეთთან (დაახლოებით 4 კმ-ის დაშორებით). სოფლის ცენტრში არის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უვლის.

მოსაბრუნი

მოსაბრუნში 157 ადამიანია აღრიცხული. აქ სკოლა აღარ ფუნქციონირებს, სოფელში მცხოვრები 23 არასრულწლოვანი, ახალგორის დაბის სკოლებსა და ბაგა-ბაღში დადის. მოსაბრუნი ახალგორის დაბიდან ფეხით სავალ მანძილზე - 3 კმ-ით არის დაშორებული და ამიტომ სკოლის საჭიროება აქ აღარ იყო. სწორედ მოსაბრუნში იყო გამშვები პუნქტი, რომელსაც ცხინვალის ადმინისტრაციამ სახელი შეუცვალა და „რაზდრახანი“ უწოდა. ეს გამშვები პუნქტი იყო 2019 წლამდე ახალგორის რაიონის მოსახლეობისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიასთან დამაკავშირებელი მთავარი გზა, რომელიც 2019 წლის 4 სექტემბერს დე ფაქტო ადმინისტრაციამ ჩაკეტა.

2008 წლის აგვისტოს ომამდე მოსახლეობის ნახევარი ეთნიკურად ოსი იყო, ამჟამად ისინი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ (2002 წლის მონაცემებით, მოსაბრუნში 280-მდე ადამიანი ცხოვრობდა, 51% - ქართველი და 48% - ეთნიკურად ოსი). ამიტომ სოფელში საკომუნიკაციო ენად ოსურს უფრო იყენებენ, და როგორც კვლევისას აღნიშნა რესპონდენტმა, ოსურ ენას მოსაბრუნში მცხოვრები ეთნიკური ქართველებიც ფლობენ.

სოფელი სალბიერის საბჭოში შედის, თუმცა რადგან სოფელ სალბიერში მოსახლეობა აღარ დარჩა, სოფლის საბჭო მდებარეობს მოსაბრუნში. 2012 წელს, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით სოფელს სახელი შეეცვალა და ეწოდა „რაზდრახან“ (ოსურიდანითარგმნება, როგორც მობრუნება). აღსანიშნავია, რომ სახელზე არ უმუშავიათ დარგის სპეციალისტებს, გადაწყვეტილება დაბისა და სოფლის საბჭოების გაერთიანების ხელმძღვანელმა მიიღო. სოფელში მდებარეობს რუსული გამშვები პუნქტი (დასახლებული

ადგილიდან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში), მოსაბრუნში ყველაზე მეტი ე.წ. „არალეგალური“ გადასასვლელია, შესაბამისად, ხშირია ე.წ. საზღვრის დამრღვევთა დაკავების ფაქტები.

ბოლის საბჭო

ბოლის საბჭო აერთიანებს სოფლებს - იკოთი, ახმაჯი, გარუბანი, ახალდაბა, ყანჩავეთი, ბაზუაანი, ზემო და ქვემო ბოლი, მორბედაანი. აქ, ბოლო მონაცემებით, 528 ადამიანია აღრიცხული (2002 წლის მონაცემებით, ბოლის საბჭოში 2500-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა). ტერიტორია საკმაოდ დიდია და სოფლები დაშორებულია ერთმანეთისგან, თუმცა მაინც ერთ საბჭოდ მოიაზრება.

სოფელი იკოთი, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა სანაპიროზე, გამყოფი ხაზიდან დაშორებულია 10 კილომეტრით, ხოლო დაბიდან - 3 კილომეტრით. 2002 წლის მონაცემებით, იკოთში 1089 ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად ეს რაოდენობა 167-მდე შემცირდა. სოფელში ძირითადად ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ. იკოთი სოფელ ბოლის საბჭოს ეკუთვნის, ეს დაყოფა ქართულმა ხელისუფლებამ შემოიღო და დე ფაქტო ხელისუფლებაც ამ მიდგომით ხელმძღვანელობს.

სოფელ იკოთში, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საბავშვო ბაღი აღარ ფუნქციონირებს: *„ადრე ისეთი კარგი ბაგა (ბაგა-ბაღი) გვქონდა, საუკეთესო შენობა, მასწავლებლები. ომს მერე კი დარჩა ცოტა ბავშვი, მაგრამ ოსებმა აღარ მოინდომეს რო ყოფილიყო და* გააუქმეს“- ამბობს სოფელ იკოთის მკვიდრი.

ახმაჯი

სოფელი ახმაჯი, მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ახალგორის დაბიდან დაშორებულია 9 კილომეტრით. ესაზღვრება სოფელ ოძისს, რომელშიც განლაგებულია ქართული საპოლიციო საგუშაგო და რომელიც უკანასკნელი დასახლებული პუნქტია, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს.

სოფელში დარჩენილია დაახლოებით 60-მდე ადამიანი, რომელთა ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა, მოჰყავთ ხილის კულტურები, ძირითადად, ვაშლი, ატამი, მსხალი. ასევე, ბოსტნეული და სხვადასხვა მარცვლეული.

ახმაჯის არასრული საშუალო სკოლა 2 წლის წინ დაიხურა, ამჟამად სოფელში სასკოლო ასაკის ბავშვი არ არის დარჩენილი. ახალგორის რაიონის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, ახმაჯის მცხოვრებლები ვალდებულები არიან მუდმივად ატარონ ოსური ე.წ. პასპორტები, ან საშვი (რომელზეც პირადი ინფორმაცია და ფოტოსურათია დატანილი), რადგან რუსი სამხედროები, ხშირად ატარებენ რეიდებს. იმის გამო, რომ სოფელი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას ესაზღვრება, ხშირია „არალეგალურად საზღვრის კვეთის“ შემთხვევები, რასაც რუსი სამხედროები მკაცრად აკონტროლებენ.

სოფელში მდინარის წყალობით წყლის პრობლემა არ არის, აქვთ როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყალი. შიდა სასოფლო გზები არ არის დაგებული. რაც შეეხება დაბასთან დამაკავშირებელ გზას, 2017 წელს რუსული საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში გაიჭრა, მანამდე არსებობდა, თუმცა მასზე გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო. ახმაჯელი რესპონდენტების ცნობით, ახალგორი-ახმაჯის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის პროცესს პირადად ხელმძღვანელობდა რაშიდ ნურგალიევი (რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე), მონაკვეთი მოასფალტებული არ არის, მოსახლეობის შეფასებით, გზის გაყვანა რუსული სამხედრო ბაზისათვის იყო მნიშვნელოვანი, რომელიც სოფელ ახმაჯშია განლაგებული. ახალი გზა ძირითადად სამხედრო ტექნიკის გადაადგილებისათვის არის გათვალისწინებული. დიდთოვლობის ან ძლიერი წვიმების დროს მასზე გადაადგილება შეუძლებელია და სოფელი დანარჩენ რაიონს მოწყვეტილია.

2. ძირითადი ინფრასტრუქტურული საკითხები

<u>წყლის ინფრასტრუქტურა</u>

წყალი ახალგორის რაიონის თითქმის ყველა სოფელში აქვთ, თუმცა მასზე ყველა ოჯახს ერთნაირად არ მიუწვდება ხელი. ზოგიერთმა ოჯახმა თავისი რესურსებით გაიყვანა სახლში ე.წ. წყაროს წყალი, და სოფლების ნაწილმა, რომელიც უფრო ახლოსაარაიონულ ცენტრთან, სოფლის საბჭოების და რაიონული ადმინისტრაციის მხარდაჭერით მიიყვანეს სახლამდე წყალი. იმ სოფლებში, სადაც წყალი არაა გაყვანილი (მაგალითად, სოფელ იკოთში, ლარგვისში, ქარჩოხში, ახალდაბაში) ადგილობრივი ხელისუფლებისგან აქვთ დაპირება, რომ მოაგვარებს ამ პრობლემას, თუმცა აქ ძირითადად სოფლის საერთო წყლის წერტილების მოწყობა იგულისხმება.

<u>მთელ რაიონში არის კანალიზაციის პრობლემა.</u>

<u>საჯარო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა</u>

სოფელ ახმაჯის გარდა, საჯარო ტრანსპორტი არცერთ სოფელში არ არის ხელმისაწვდომი. ახმაჯში გამოყოფილია სახელმწიფო ტრანსპორტი, რომლის საფასურსაც მგზავრები იხდიან, მაგრამ საწვავის თანხა რაიონული ადმინისტრაციიდან გაიცემა.

სოფლებში ყველა საკუთარი ტრანსპორტით, ან ტაქსით მოძრაობს, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებათ, განსაკუთრებით, ცენტრიდან მოშორებულ სოფლებს (ზოგჯერ ერთი მგზავრობისთვის 2000 რუბლია (80 ლარია) საჭირო).

მართალია, ახალგორიდან ცხინვალში დადის საჯარო ტრანსპორტი, კვირაში ორჯერ, განსაზღვრულ საათებში, მაგრამ მოსახლეობა ჩივის, რომ ვერ ასწრებენ ყველა საქმის მოგვარებას. ტრანსპორტი 9-ადგილიანია და როგორც ახალგორელები ამბობენ, ეს არასოდეს არის საკმარისი. ახალგორელებს სჭირდებათ რეისების დამატება, თუმცა

როგორც სატრანსპორტო კომპანიაში (ნახევრად სახელმწიფო ხარჯზე მოქმედებს ეს კომპანია) ამბობენ, ეს არ იქნება მომგებიანი. როგორც მანქანის მძღოლი განმარტავს, ადგილობრივ ბიუჯეტში ოფიციალური შესატანი ტრანსპორტირებისთვის ყოველთვიურად არის 1200 რუბლი (55 ლარი), რასაც მძღოლი თვითონ იხდის, დანარჩენ ხარჯებს სატრანსპორტო კომპანია ფარავს. მგზავრობა ღირს 50 რუბლი (დაახლოებით 2 ლარი). საჯარო ტრანსპორტი უფასოა სტუდენტებისთვის.

<u>გაზის ინფრასტრუქტურა</u>

ახალგორის რაიონში გაზი არსად არის, არც ცხინავლის სოფლებში და დასახლებებში. გაზი მხოლოდ ქალაქ ცხინვალს აქვს. 2016 წელს 200 სოფლის გაზიფიცირების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა ამ დრომდე არაფერი გაკეთებულა.

<u>ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურა</u>

ელექტროენერგია ყველა სოფელს შეუფერხებლად მიეწოდება, სოფელ ახმაჯს - საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან, ხოლო სხვა სოფლებს - ცხინვალიდან.

<u>სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა</u>

ახალგორში სასწრაფო დახმარების ორი ბრიგადაა - მუდმივი, და ერთს კი გამოუვალი მდგომარეობის დროს იძახებენ ახალგორის დაბიდან. წინა წლებში რეანომობილს ცხინვალიდან იძახებდნენ, ახლა კი, ახალგორიდან, როდესაც ცხინვალის საავადმყოფოშია პაციენტი გადასაყვანი, ან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა გადმოსაყვანი.

ახალგორის ქართულ სოფლებში - 6 და ოსურ ნაწილში კი - ორი სამედიცინო პუნქტია. არცერთ მათგანში არ ჰყავთ ექიმი, ყველგან ექთნები არიან. თუმცა არც ექთნებს აქვთ გავლილი პირველადი დახმარებისთვის საჭირო გადამზადება, და ზოგიერთ შემთხვევაში, არც სამედიცინო განათლება მიუღიათ. სამი სამედიცინო პუნქტი (წინაგარა (ოსური სოფელი), ლარგვისი და ახალგორის დაბა) ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიდან, დანარჩენი კი, ცხინვალის ადმინისტრაციიდან.

ახალგორში არის ერთი საავადმყოფო, სადაც არც პერსონალია მზად ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების უზრუნველსაყოფად და არც ადგილობრივი ინფრასტრუქტურა.

მთელ რაიონში, ახალგორის საავადმყოფოსა და სოფლის სამედიცინო ცენტრებში 179.5 სამედიცინო შტატია გამოყოფილი და 150 ადამიანი მუშაობს, 2023 წლის იანვრიდან, სავარაუდოდ, იგეგმება სამედიცინო შტატების შემცირებაც.

ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად ახალგორელები ძირითადად რაიონულ ადმინისტრაციას მიმართავენ, და არ აქვთ კომუნიკაცია საქართველოს კონტოლირებად ხელისუფლებასთან.

3. ბიუჯეტი და კორუფცია ახალგორში

კვლევისას გამოვლინდა, რომ ცხინვალის რეგიონში ახალგორის რაიონი ყველაზე მეტად ფინანსდება ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციისგან. ახალგორის ყოფილი გამგებლის თქმით, შესაძლებელია, ქალაქ ცხინვალს მეტი ჰქონდეს, მაგრამ პროცენტულად (მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით) ახალგორზე მაინც ყველაზე მეტი დაფინანსება მოდის. ყოველ წელს ახალგორს 207 მილიონი რუბლი გამოეყოფა, რაც დაახლოებით 9.5 მილიონი ლარია. აქ არ შედის პენსიის, ფოსტის და ჯანდაცვის ბიუჯეტი. თუმცა ახალგორელების თქმით, ახალგორს არ ეტყობა, რომ ამ რაიონზე ამდენი რესურსია გამოყოფილი. მაგალითად, ბოლო პერიოდში კომუნალური სამსახურის უფროსთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 25 მილიონი რუბლი გაფლანგა. გამოძიება დაიწყო, თუმცა ფორმალურად, სამსახურიდან მოხსნეს, მაგრამ სამართლებრივად პასუხი არ უგია. ახალგორის კომუნალური სამსახურის ბიუჯეტი 46 მილიონი რუბლია (დაახლოებით 2 მილიონი ლარი), საიდანაც 21 მილიონი რუბლი (დაახლოებით 936.000 ლარი) ხმარდება ხელფასების ფონდს, სადაც გაფორმებულები არიან თანამშრომლების ოჯახის წევრები და ახლობლები.

ასევე, 2021 წლის დეკემბერში, გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია ბიუჯეტის გაფლანგვასა და კორუფციულ სქემებზე ახალგორის საავადმყოფოში, რომელიც ასევე არ არის გამოძიებული.[149] დე ფაქტო პროკურატურაში ამბობენ, რომ მიმდინარეობს შემოწმება, თუმცა საქმე დიდი ხანია წინ არ წასულა და ყველა ადამიანი ისევ თავის პოზიციაზე მუშაობს.[150] გამოძიება დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრმა სოსლან ნანიევმა დაიწყო, მანამდე კი ამ საავადმყოფოში არსებული კორუფციული სქემებით ანატოლი ბიბილოვი დაინტერესდა, თუმცა „გაპრეზიდენტების“ შემდეგ მან საავადმყოფოს ხელმძღვანელი ანგელინა ბარათოვა დააჯილდოვა, როგორც „ჯანდაცვის დამსახურებული მუშაკი“ და საავადმყოფოში არსებული მდგომარეობის გამოძიება შეწყვიტა. სქემის მიხედვით, საავადმყოფოში ყველა საშტატო ერთეული შევსებულია, რაც მოიცავს თეთრმეტი სოფლის არარსებულ სამედიცინო პუნქტებს, მცირე ზომის სტაციონარს ცხრა პალატით, სამშობიარო განყოფილებას, პოლიკლინიკას და სასწრაფო დახმარების სადგურს. აქ ოფიციალურად გაფორმებულები არიან ყოფილი თანამშრომლები, თუმცა ხელფასს რეალურად სხვა ადამიანები იღებენ. დოკუმენტების მიხედვით, აქ 15 ექიმი და მედდა მუშაობს, სინამდვილეში კი მათი რაოდენობა ოთხია, საიდანაც მხოლოდ ორია სამედიცინო მუშაკი. ეს, ცხადია, მძიმედ აისახება ახალგორში სამედიცინო სერვისებზე

[149] კორუფციული სქემა ახალგორის საავადმყოფოში | რას იკვლევენ ცხინვალში, „ნეტგაზეთი“, 16 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/582381/
[150] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

ხარისხიან ხელმისაწვდომობაზე და არასათანადო სამედიცინო დახმარების გამო, ახალგორში არაერთი შემთხვევა ფატალურადაც დასრულდა.[151]

ყველაზე დიდი ბიუჯეტი - 91 მილიონი რუბლი - ახალგორში განათლების განყოფილებას აქვს, თუმცა არც ეს აისახება განათლების სისტემის ხარისხზე. სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ნორმალურია, სკოლებს ყოველწლიურად უტარდებათ კოსმეტიკური რემონტი და სხვა სამუშაოებიც ტარდება, თუ სკოლაში არის ამის საჭიროება.

4. დოკუმენტაციის პრობლემა ახალგორში

ახალგორის მოსახლეობის დიდ ნაწილს აღებული აქვს სამხრეთ ოსეთის „მოქალაქის პასპორტი", რისი საშუალებითაც ექმნებათ წვდომა სხვადასხვა სოციალურ სერვისზე, რასაც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია გასცემს. იყო პერიოდი, როცა „მოქალაქის პასპორტით" ასევე შესაძლებელი იყო გადაადგილება, და ამ შემთხვევაში „პასპორტი" წარმოადგენდა საშვის ალტერნატივას. თუმცა როგორც ეს ქვემოთაა ახსნილი, ეს მიდგომაც შეიცვალა და „პასპორტის" პარალელურად ახალგორელებს მაინც სჭირდებათ ჰქონდეთ გადაადგილებისთვის საჭირო საშვი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ცხინვალში უარი არ უთქვამთ ახალგორელებისთვის პასპორტების გაცემაზე, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ახალგორის მოსახლეობის სიმცირით, გალის მოსახლეობასთან შედარებით.

„თბილისში რო აღარ გვიშვებდნენ, ხო გახსოვს, ერთი ამბავი ატყდა, მოხუცებს პენსიის გარდა რა შემოსავალი ჰქონდათ, იმ ქართულ პენსიასაც ველარ იღებდნენ და დარჩნენ ყველაფრის გარეშე. ამ ამბების მერე გაამარტივეს ოსური პასპორტების აღება, ბევრი-ბევრი 1 თვეში ყველა იღებდა, ვისაც უნდოდა და ეგრევე პენსიასაც უნიშნავდნენ, ბევრმა აიღო ჩვენ სოფელში პასპორტები და პენსიებიც დაინიშნეს" - ამბობს იკოთის მკვიდრი.

სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, ახალგორელებმა უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე. ეს გულისხმობს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის წარდგენას, სადაც ადამიანი უარს აცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე. ეს წესი ბოლო 3 წელია შეიცვალა და ეხლა ამ დოკუმენტს დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს.[152] 2020 წლის ბოლოს დე ფაქტო საპასპორტო სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, რაიონის მოსახლეობის დაახლოებით 80% ფლობს ე.წ. პასპორტს. 2021 წელს კი 43 დე ფაქტო პასპორტი გაიცა.[153]

---

[151] კორუფციული სქემა ახალგორის საავადმყოფოში | რას იკვლევენ ცხინვალში, „ნეტგაზეთი", 16 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/582381/

[152] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

[153] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 332.

პრობლემებია საშვების გაცემასთან დაკავშირებით, რაც ახალგორელებს გადაადგილებისთვის სჭირდებათ. საშვების პრობლემამ მას მერე იჩინა თავი, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ახალგორზე კონტროლი დაკარგა. დე ფაქტო ადმინისტრაცია ამ საკითხს ხშირად იყენებს პოლიტიკური და კორუფციული სქემებისთვის.

თავდაპირველად, ე.წ. საზღვრის გაჩენის შემდეგ, ახალგორელებს გადაადგილება შეეძლოთ სამხრეთ ოსეთის პასპორტით, ე.წ. საშვით ან ფორმა №9-ით და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით (რასაც ქართულ მხარეს ითხოვდნენ). საშვი არის ე.წ. ბინადრობის მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ადამიანი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ხშირად იცვლებოდა საშვის ფორმა, რათა ახალგორის მცხოვრებლებს ხშირად განეახლებინათ დოკუმენტი. საშვის ვადა ფორმალურად 1 წელია, თუმცა ვინაიდან მისი ფორმა ხშირად იცვლებოდა, ადამიანებს თავიდან უწევდათ მისი აღება, რაც დაახლოებით 10.000-15.000 (საშუალოდ, 450-670 ლარი) რუბლი ღირს. როგორც რესპონდენტები ამბობენ, საშვს დე ფაქტო უშიშროების სამსახური შერჩევით, ნეპოტიზმით და კორუფციული გზებით გასცემს.[154]

5. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება

გადაადგილების საკითხი ახალგორელებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენდა 2019 წლის 4 სექტემბრამდე. მოსაბრუნი/ოძისის გამშვები პუნქტი, რომელიც ახალგორის დაბიდან დაახლოებით 3-4 კმ-ით არის დაშორებული, გახსნილი იყო ყოველდღიურად დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე. გადაადგილება შესაძლებელი იყო როგორც ფეხით, ისე მანქანით. ახალგორელებს ჰქონდათ როგორც სამხრეთ ოსეთის „მოქალაქის პასპორტი“, ისე გადაადგილებისთვის გაცემული სპეციალური საშვი. ერთ-ერთი ამ დოკუმენტის ფლობის შემთხვევაში გადაადგილება დაშვებული იყო.

„ადრე რა კარგი იყო პასპორტით, არც გაგრძელება უნდოდა ესე მალე პასპორტს, მერე მაინც და მაინც ყველა უბედურება ხო ჩვენთან უნდა შემოიღონ, დააწესეს, რო გინდა თუ არ გინდა, მარტო პასპორტით ვერ გახვალთ, მაინც საშვიც გჭირდებათო (ეს წესი ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შემოიღო), ყველგან ესე კი არ არის, რაც გზა ჩაიკეტა ერთხელ სინაგურიდანაც გავედი, იქ თურმე ხალხი პასპორტით გადადის, ეს საშვი რათ გინდათ, პასპორტთან ერთადო, გაუკვირდათ“, - ამბობს რესპონდენტი.

„ადრე მშვენივრად გადავდიოდით ხიდზე, მერე მოიგონეს, მაინც და მაინც ახალგორზე უნდა გვევლო ამხელა გზა, 2016-17 წლები იყო. ამ ჩვენ ხიდზე ფეხითაც გადავდიოდით, ეხლა აბა მანქანაა აუცილებელი რო ახალგორში ჩამოხვიდე, მერე ვინმეს ხო უნდა დაუტოვო ეს მანქანა, ქუჩაში ხო ვერ დავტოვებ, თბილისშიც არ გვიშვებენ მანქანებით“, - ამბობს რესპონდენტი სოფელ ახმაჯიდან. სოფელი ახმაჯი ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს და ხიდით უკავშირდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას. ამ

[154] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 332.

ხიდზე მიმოსვლა დაშვებული იყო და პირდაპირ უკავშირდებოდა ქართულ საგუშაგოს, რაც უმოკლესი გზა იყო სოფლის მოსახლეობისთვის გადმოსასვლელად. თუმცა მისი ჩაკეტვის შემდეგ მათ ახალგორის დაბაში უწევდათ ჩასვლა და მოსაბრუნის გადმოსასვლელით სარგებლობა (რომელიც2019 წლის შემდეგ ასევე დაიკეტა).

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამართალდამცავები მხოლოდ საქართველოს პირადობას ამოწმებდნენ.[155] 2019 წლის მარტიდან შეიცვალა საბუთებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ახალგორელებს, ვისაც უკვე ჰქონდათ პასპორტები, გადაადგილების მიზნებისთვის, საშვის აღებაც დაევალათ. 2019 წლის სექტემბრამდე ეს მდგომარეობა შენარჩუნდა. თუმცა შემდეგ გამშვები პუნქტი სრულიად დაიკეტა, რაც ჩორჩანა-წნელისის კრიზისს უკავშირდება.

2019 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, სოფელ ჩორჩანაში (საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე) საპოლიციო საგუშაგო გახსნა, რასაც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ ულტიმატუმები მოჰყვა. სამხრეთ ოსურმა მხარემ ჩორჩანას ტყეში ქართული საგუშაგოდან დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით ორი საგუშაგო განათავსა.[156] ბიბილოვის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ახალგორის მოსახლეობა სრულ იზოლაციაში მოექცია.

„ეს წნელისის ამბები რო ატყდა აგვისტოში, რუსმა სამხედროებმა დაიარეს ჩვენთან სოფელში, სახლებში, გზა სამუდამოდ იკეტება და თუ ვინმეს წასვლა გინდათ, მოასწარითო და მართალი არ აღმოჩნდა? დაკეტილია სამუდამოდ, ეს ათასში ერთხელ გახსნა ხალხის დაცინვაა. ამ გაგლოევმაც მეეჭვება გახსნას გზა, თუ რამეს აპირებს, რაღას ელოდება, არჩევნების დროს კი გვპირდებოდა გავხსნიო“, - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ახალგორის ჩაკეტვის შემდეგ განსაკუთრებით დაჩქარდა ამ რაიონის დაცლა მოსახლეობისგან. დღეს აქ მოსახლე ადამიანების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ გზის ჩაკეტვის დღეს ახალგორი დაახლოებით 400-მა ადამიანმა დატოვა.[157]

მოსაბრუნი/ოძისის გადასასვლელის ჩაკეტვის შემდეგ გზა 2020 წლის 6 თებერვალს გაიხსნა ახალგორელებისთვის, ისიც მხოლოდ ხანდაზმული ადამიანებისთვის, პენსიის აღების მიზნით.[158] ეს არის ახალგორის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სამხრეთ ოსეთის „მოქალაქეობა“ არ აუღია და პენსიას მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან იღებს (დაახლოებით 175 ადამიანი),[159] თუმცა მათგან, საშვების

[155] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.
[156] ახალგორის კრიზისი, რადიო თავისუფლება, 28 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30862459.html
[157] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 11.
[158] გზა ჩაკეტეს - პენსიონერთა ნაწილი ახალგორში აღარ დაბრუნდა, რადიო თავისუფლება, 7 თებერვალი, 2020, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/გზა-ჩაკეტეს---პენსიონერთა-ნაწილი-ახალგორში-აღარ-დაბრუნდა/30422528.html.
[159] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

არქონის გამო, გამშვები პუნქტის გახსნით ყველამ ვერ ისარგებლა. ამის შემდეგ გამშვები პუნქტი მასობრივად ყველასთვის აღარ გაუხსნია ბიბილოვის ადმინისტრაციას, გადაადგილების ნებართვა გაიცემოდა ინდივიდუალურ შემთხვევებში, ჯანდაცვის მიზნებისთვის, თუკი შესაბამის ცნობას გასცემდა ცხინვალის საავადმყოფო, რაც ხშირად დაგვიანებულიც იყო, რადგან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ახალგორელები ვერ ახერხებდნენ დროულად ცხინვალის საავადმყოფოში მისვლას და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად ნებართვის აღებას.[160] სპეციალურ ინდივიდუალურ საშვებს დე ფაქტო ადმინისტრაცია შერჩევით და დისკრიმინაციულად გასცემდა. ახალგორის ადმინისტრაციაში 2020 წელს ასევე გაჩნდა ე.წ. „შავი სიები“, სადაც მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებსაც გადადგილება ეკრძალებოდათ, მათ შორის, ისინიც, ვისაც „სამხრეთ ოსეთის პასპორტები“ ჰქონდათ. [161]

ორ წელზე მეტი ხნის იზოლაციის პირობებში ახალგორი მასობრივად დაიცალა.[162] ისინი, ვინც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე „არალეგალურად“, ტყის მასივის გავლით ვერ ახერხებდნენ გადმოსვლას, „ოჯახების გაერთიანების მიზნით“ წითელი ჯვრის პროგრამაში ერთვებოდნენ. თუკი ადამიანი ამ პროგრამით დატოვებდა ახალგორის ტერიტორიას, უკან ვეღარ დაბრუნდებოდა. ამ დროს გადამსვლელ ადამიანს/ოჯახს შეეძლო თან წაეღო 500 კილომდე ბარგი, და რაც თან ვერ მიჰქონდათ, ყიდდნენ.[163] რადიო თავისუფლების ინფორმაციით, დაახლოებით 300-მდე ადამიანი იყო „ოჯახების გაერთიანების პროგრამაში“ ჩართვის მსურველი.[164] იზოლაციის პერიოდს დაემთხვა კოვიდ პანდემია, რამაც ახალგორელები კიდევ უფრო საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო, რადგან ხელი არ მიუწვდებოდათ საბაზო მედიკამენტებსა და ჯანდაცვის სერვისებზე.[165] ახალგორელების თქმით, საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეწყდეს მათი იზოლაცია. *„მართლა ჩანს, რო ეს ოსები და რუსები წნელისის საგუშაგოს*

---

[160] EMC მოუწოდებს ხელისუფლებას მიიღოს საგანგებო და დაუყოვნებელი ზომები ახალგორში შექმნილი ჯანდაცვის კრიზისის საპასუხოდ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 17 დეკემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-moutsodebs-khelisuflebas-miighos-sagangebo-da-dauqovnebeli-zomebi-akhalgorshi-shekmnili-jandatsvis-krizisis-sapasukhod

[161] გიორგი კანაშვილი, ახალგორის ჩიხი, DRI, 2021. გვ. 12.

[162] სიცოცხლისთვის საშიში დაბა - ახალგორიდან მოქალაქეები გარბიან, რადიო თავისუფლება, 25 ნოემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30968990.html

[163] იგივე.

[164] ახალგორელების დილემა: ყოფნა-არყოფნა იზოლაციაში, რადიო თავისუფლება, 28 ნოემბერი, 2020. ხელმისაწვდომია. https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორელების-დილემა-ყოფნა-არყოფნა-იზოლაციაში/30973720.html

[165] დაბა ახალგორში ცნობილი ექიმი COVID-19-ით გარდაიცვალა. იზოლაციის კიდევ ერთი მსხვერპლი, რადიო თავისუფლება, 15 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია; https://www.radiotavisupleba.ge/a/დაბა-ახალგორში-ცნობილი-ექიმი-covid-19-ით-გარდაიცვალა-იზოლაციის-კიდევ-ერთი-მსხვერპლი/30951119.html; ჩაკეტილი ახალგორი კორონავირუსის პირისპირ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 13 აპრილი, 2020. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/chaketili-akhalgori-koronavirusis-pirispir; არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ახალგორში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის შესახებ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 3 თებერვალი, 2020. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/arasamtavrobo-organizatsiebis-mimartva-saertashoriso-organizatsiebs-akhalgorshi-arsebuli-humanitaruli-krizisis-shesakheb

გულისთვის გვაწამებენ ესე, სანამ იმას არ აიღებენ ქართველები, ესე გამოკეტილები ვიქნებით. ხო შეიძლება მოიფიქრონ რამე. ან ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ის საგუშაგო, ის წნელისი არის ცარიელი ტყე და მთა, ჩვენი რაიონიც ეგრე ხო არ უნდა გახდეს ხალხისგან რო დაიცლება, დავიჯერო ესეთი მნიშვნელოვანია იმ საგუშაგოს იქ დადგა, რო ჩვენ ესე დავიტანჯოთ" - ამბობს სოფელ მოსაბრუნის მცხოვრები.

გარდა ამისა, ბიბილოვის ადმინისტრაციის დროს ახალგორელებზე ხორციელდებოდა „წერტილოვანი ტერორი",[166] ადამიანებს ინდივიდუალურად, სხვადასხვა მიზეზით, „უსაფრთხოების სამსახურის" მიერ ეკრძალებოდათ გადაადგილება, არა მხოლოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის ფედერაციაშიც. კულტურის და განათლების სფეროს წარმომადგენლები ბოლო პერიოდში ხშირად ხდებოდნენ ამგვარი ზეწოლის და შევიწროების მსხვერპლნი.

მას მერე, რაც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი პარტია „ნიხასის" თავმჯდომარე, ალან გაგლოევი გახდა (2022 წლის 8 მაისს),[167] ახალგორელებს იმედი გაუჩნდათ, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმოსვლის პრობლემა მოგვარდებოდა. ეს იყო ის დაპირება, რის გამოც ახალგორში გაგლოევმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა „არჩევნებში".

გაგლოევის „ხელისუფლებაში" მოსვლის შემდეგ, მოსაბრუნი/ოძისის გადასასვლელი გაიხსნა 2022 წლის 20 აგვისტოდან და ადგილობრივი დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, გამშვები პუნქტი ახალგორელებისთვის გაიხსნება ყოველ თვე 10 დღით, თვის 20-დან 30 რიცხვამდე.[168] 2022 წლის აგვისტოში გადასასვლელის გახსნისას ყველა ახალგორელმა ვერ ისარგებლა გადასვლის ნებართვით, რადგან მათ დიდ ნაწილს გადასვლისთვის საჭირო საშვები არ აქვს. დე ფაქტო სასაზღვრო უშიშროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ პერიოდში ოძისი/მოსაბრუნის გადასასვლელზე 1200-მდე გადასვლა აღინუსხა, თუმცა აქ არ იგულისხმება 1 ადამიანის 1 გადასვლა, არამედ რამდენიმე გადასვლა 10 დღის განმავლობაში. სავარაუდოდ, ამ პერიოდში დაახლოებით 200 ადამიანმა ისარგებლა გადაადგილების თავისუფლებით.[169] გაგლოევის დაპირებით, ის გეგმავს მოაგვაროს საშვების პრობლემაც.[170]

---

[166] „წერტილოვანი ტერორი" - უფლებადამცველთა ინფორმაციით, ახალგორში საგანგაშო მდგომარეობაა, რადიო თავისუფლება, 14 მაისი, 2021. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/წერტილოვანი-ტერორი---უფლებადამცველთა-ინფორმაციით-ახალგორში-საგანგაშო-მდგომარეობაა/31255591.html

[167] გაგლოევი - 53.67%, ბიბილოვი - 41.3%, რადიო თავისუფლება, 9 მაისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31840638.html; ვინ არის გაგლოევი და რა შეიცვლება მისი გამარჯვებით ოკუპირებულ რეგიონში? რადიო თავისუფლება, 9 მაისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31841412.html;

[168] ახალგორელები გზის გახსნის მოლოდინში, რადიო თავისუფლება, 19 აგვისტო, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31995909.html

[169] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

[170] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

თვეში 10 დღით გახსნილი გამშვები პუნქტი არ გულისხმობს მანქანების და მიკროავტობუსების გადაადგილების შესაძლებლობას, შესაბამისად, ახალგორელები ვერ ისარგებლებენ კომერციული საქმიანობისთვის საჭირო მიმოსვლის შესაძლებლობით. ერთ ადამიანზე ნებადართულია 50 კილოგრამამდე ხელბარგი. თუმცა გამოსავალი აქაც არსებობს, რადგან შესაძლებელია ახალგორელებმა ტვირთი 50-50 კილოგრამად გაიყონ და ისე შეიტანონ, მათ შორის, შედარებით იაფფასიანი პროდუქცია საქართველოს კონტროლირებადი ტეროტირიიდან.[171]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 4 წლის განმავლობაში (2018-2021 წლებში) რეგიონის მიმართულებით 320 მოქალაქე დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით.[172] თუმცა ეს მონაცემები ხშირად არ ემთხვევა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ მონაცემებს, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს ქართული მხარის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას. მაგალითად, უშიშროების სამსახურის მონაცემებით, 2019 წელს აღნუსხულია 86 უკანონო დაკავების ფაქტი, ხოლო სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის მონაცემებით, 2019 წლის მხოლოდ ოქტომბერი-ნოემბრის პერიოდში „საზღვრის კვეთის ბრალდებით“ 87 ადამიანი დააკავეს.[173]

ახალგორი არ ეკუთვნის ე.წ. სასაზღვრო ზონას, ის 2008 წლიდან სრულად საქართველოს ცენტალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა დარჩა და, შესაბამისად, აქაურ მოსახლეობას უკანონო ბორდერიზაციით გამოწვეული მძიმე შედეგები არ შეხებია. თუმცა, განგრძობადი იზოლაციის გამო, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის დაკავებები ამ რაიონისთვის უცხო არ არის. საქართველოს უსაფრთხოების სამსახური დაკავების შესახებ მონაცემებს ახალგორის რაიონისთვის განცალკევებულად არ აწარმოებს, თუმცა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, მოსაბრუნის გადასასვლელის დაკეტვის შემდეგ, აქედან „უკანონო კვეთის“ ფაქტებმა იმატა.

6. სერვისებზე ხელმისაწვდომობა სამხრეთ ოსეთში

ახალგორელებს, რომლებსაც აქვთ სამხრეთ ოსეთის „მოქალაქეობა“, შეუძლიათ აიღონ ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ხანდაზმულობის პენსია - 9300 რუბლი (დაახლოებით 415 ლარი). ასევე, იმავე ოდენობის პენსია შეიძლება დაენიშნოს ადამიანს, ვისაც აქვს ჯანდაცვის ან განათლების სფეროში მუშაობის უწყვეტი 25-წლიანი სტაჟი. დაუზუსტებელი მონაცემებით, ხანდაზმულობის პენსიას იღებს 765 ახალგორელი. ასევე განისაზღვრება პენსია შშმ პირებისთვის.

---

[171] ახალგორელები გზის გახსნის მოლოდინში, რადიო თავისუფლება, 19 აგვისტო, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31995909.html

[172] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018-2021 წლების წლიური ანგარიშები.

[173] თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, DRI, 2020, გვ. 40.

სოციალურ დახმარებას იღებენ მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებიც. მრავალშვილიან ოჯახებს კი, წელიწადში ერთხელ გადაეცემათ 10.000 რუბლი (450 ლარი).

გარდა ამისა, პერიოდულად (წელიწადში 2-3-ჯერ), ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაცია, ან რაიონული ადმინისტრაცია, მოსახლეობას პროდუქტების სახით ურიგებს სოციალურ დახმარებას.

სოციალური დახმარება ეკუთვნით ობოლ ბავშვებსაც, ან ვისაც მხოლოდ ერთი მშობელი ზრდის. მათ ასევე შეუძლიათ იყვნენ აღრიცხულები ბავშვთა სახლში, და ბავშვთა სახლისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებები მიიღონ.

ადგილობრივ მოსახლეობას, ეთნიკური ნიშნის განურჩევლად, ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციიდან ასევე შეუძლია მიიღოს 200.000 (დაახლოებით, 9000 ლარი) რუბლის ოდენობით დაფინანსება, თუკი ადამიანი საჭიროებს სამედიცინო დახმარებას საზღვარგარეთ, და შესაბამისი დახმარების რესურსი არ მოიპოვება ცხინვალის საავადმყოფოში.

ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას ასევე აქვს მცირე უფასო ჯანდაცვის პროგრამები, რაც ხელმისაწვდომია ახალგორელებისთვისაც. მაგალითად, დიაბეტით, პარკინსონით ან სხვა მძიმე დაავადებების მქონე ადამიანებისთვის გამოყოფილია უფასო მედიკამენტები, რომელთა სიაც წლის ბოლოს მტკიცდება და მომდევნო მთელი წლის განმავლობაში ამ ადამიანებს უფასოდ შეუძლიათ მედიკამენტების მიღება.

„არა აქვს მნიშვნელობა, თბილისიდან გაქვს ექიმის ცნობა თუ აქედან, ამ წამლებს უფასოდ მაინც გაძლევენ, მთავარია აქაური ოსური მოქალაქეობა გქონდეს“ - ამბობს რესპონდენტი სოფელ ახმაჯიდან.

გარდა ამისა, მარტოხელა მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის გამოყოფილია 20 კუბური მეტრი შეშა. მათ ასევე ეხმარებიან სახლების მცირე რემონტითაც.

7. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სერვისებსა და სახელმწიფო პროგრამებზე ხელმოსაწვდომობა და ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ახალგორის რაიონისთვის ხელმისაწვდომია ის პროგრამები რაც შეთავაზებულია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ასევე მათზე ვრცელდება რეფერალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაც, თუმცა როგორც გალთან მიმართებაში არის აღნიშნული (თავი 5) ახალგორის მოსახლეობის ცოდნა ამ პროგრამის გავრცელების შესახებ არის დაბალი, რაც კვლევისას გამოვლინდა რესპონდენტების მოსაზრებებშიც, ასევე ნათელია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკიდან. გარდა ამისა, ახალგორში დევნილის სტატუსის

მქონე ადამიანები ასევე სარგებლობენ დევნილებისთვის განკუთვნილი შეღავათებით და სახელმწიფო პროგრამებით.
ახალგორის მოსახლეობის ძირითად ნაწილს დევნილის სტატუსი აქვს, თუმცა კვლევისას რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აქ მცხოვრებ ოსებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, დევნილის სტატუსი არ მიანიჭა და არც შესაბამისი შეღავათები (საცხოვრებელი) მისცა.

„როცა ეს კოტეჯები და მოწმობები რიგდებოდა, მაშინ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ პირდაპირ ხალხში მითხრა, რა დევნილობას ითხოვ, ოსი ხარ და წადი, ოსებმა მოგხედონო. ხალხმაც მოისმინა ეს ყველაფერი, წავედი მაშინვე პროკურატურაში და ვუჩივლე, მოწმეებმაც მომიწერეს ხელი, ნამდვილად ეს სიტყვები რო მითხრა, მაგრამ რა? გულგრილად მოექცნენ მაინც ჩემ საქმეს. ყველა სამართლებრივი გზა გავიარე, მაგრამ მარტო იმას მივაღწიე, რო ქართული უშიშროების ყურადღება მივიქციე, მცხეთაშიც დამიბარეს მერე დაკითხვაზე, აქ ჩვენ საგუშაგოზეც ბევრჯერ გადმომსვეს, დამკითხეს. მე, ჩემი მხრივ, ყველა სამართლებრივი გზა გავიარე, კანონიერად მივუდექი ამ ყველაფერს, მაგრამ სამართალი მაინც ვერ ვიპოვე“, - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბრობს მეორე რესპონდენტიც: *,,ოსები ვართ და თან აქედან არ წავედით, აი ეს იყო მიზეზი. სახალხო დამცველთანაც ვიყავით, დევნილთა მინისტრთან, პროკურატურაში, ვის აღარ მივმართეთ, მე მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემი ოჯახი ყველგან დადიოდა. ჩვენ სოფელში ბევრი დაიჩაგრა. კოლექტიური წერილებიც დავწერეთ, საჩივრებიც, მაგრამ დაცინვის მეტი ვერაფერი მივიღეთ. ლამის კვირაში ერთხელ ფულს ვკრებავდით, მივდიოდით თბილისში, ხან აქცია მოვაწყეთ, მაგრამ მასხარად აგვიგდეს, დასაცინები გამოვედით. იცი რა გვითხრეს? თქვენ დევნილები არ ხართ, ისევ იქ ცხოვრობთო. რო ვფიქრდები, ისინიც მართლები არიან, ისევ აქ ვცხოვრობთ, მაგრამ თუ ჩემი მეზობელიც აქ ცხოვრობს და იმას მისცეს დევნილის მოწმობა, მე რა დავაშავე? მე რითი ვარ განსხვავებული, მაგას თუ ვეტყოდით, გვეუბნებოდნენ, თქვენ თქვენ თავზე ილაპარაკეთ, სხვა რას მიიღებს, ეგ თქვენი საქმე არ არისო“*, - ამბობს სოფელ მოსაბრუნის მცხოვრები.

მოსახლეობა მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს ინფორმაციის არქონას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გათვალისწინებულ სერვისებზე. განსაკუთრებით კი გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ, მათ არ იციან სიახლეები, თუ სად და რისი მოთხოვნა შეუძლიათ, და რა მხარდაჭერას სთავაზობს მათ სახელმწიფო.

სოფელ ახმაჯის მკვიდრის თქმით, კარგი იქნებოდა, სოფელ ოძისში, რომელიც გამშვებ პუნქტთან მდებარეობს (სოფელ მოსაბრუნის მეზობლად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე), ყოფილიყო მცირე სამედიცინო პუნქტი. აქ ახალგორის დაბის მოსახლეობას, ასევე, მიმდებარე სოფლების მოსახლეობას, ფეხითაც შეეძლებოდა მისვლა და მცირე სამედიცინო სერვისების მიღება. ახალგორის მოსახლეობას ძირითადად ხანდაზმული ადამიანები შეადგენენ, რომლებსაც უჭირთ ყველა სერვისის მისაღებად თბილისში ჩასვლა. ამიტომ ეს მათთვის დიდი შეღავათი იქნებოდა.

„ჩვენ სახელმწიფოს თვალში დევნილებად ვითვლებით, ესე იგი აქედან გამოგვყარეს და აქ არც უნდა ვიყოთ, აქ ადგილზე აბა რას მოვთხოვთ, გვეტყვიან, დევნილები ხართ და მანდ რა გინდათო, მაგრამ იცი რა იქნებოდა კარგი? აქვე ოძისში ერთი ნორმალური საავადმყოფო რომ იყოს, სხვადასხვა ექიმებით, კბილი ამოვიღოთ, ექოსკოპია გადავიღოთ, გავესინჯოთ. გზა ისედაც რა ვიცი, ათასში ერთხელ ძლივს იხსნება, ერთ „სუტკას“ მარტო რიგში ვდგევართ და ახლა კიდე იმხელა გზა უნდა გაიარო თბილისამდე, რო ელემენტარული ექიმთან მიხვიდე. იცი როგორ გაგვიმარტივებდა ყველაფერს? თან მარტო ჩვენთვის ხო არ გაკეთდება, თვითონ სოფელიც იმხელაა ოძისი, იქაურებიც ხო ისარგებლებდნენ“, - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

მეორე რესპონდენტსაც თითქმის მსგავსი სურვილი აქვს: *„რა ვიცი, ერთი დიდი მაღაზია მაინც იყოს ოძისში, ყველა წვრილმანი და პროდუქცია რო იყიდებოდეს. ყველა ელემენტარულ რამეზე ცხინვალში ხო ვერ ირბენს ადამიანი, აი, ყველაზე ელემენტარული რო გითხრა, იმ დღეს ჩრჩილი გამიჩნდა სახლში და წამალში 7 ლარამდე მივეცი, წეროვანზე კიდე ლარ-ნახევარი ღირსო, ნერვები მომეშალა. თან მე სად შემიძლია ყველაფერზე ცხინვალში ვირბინო, ხარჯიცაა, დროც. აქვე ახლოს რამე რო იყოს ოძისში, გადავიპარებოდით მაინც ქსანზე. რამე დიდი მაღაზია და ერთი აფთიაქი, ხო უყურებ წამლებსაც რა ფასი აქვს აქ. ეხლა ეს რასაც მე ვითხოვ სახელმწიფოს კი არ ეხება, მაგრამ ხალხისთვის ხო შეიძლება სთხოვონ ვინმე ბიზნესმენებს, აუხსნან ჩვენი მდგომარეობა“.*

მოსახლეობა იმასაც ამბობს, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ აქვთ და არ მიმართავენ პრობლემების მოსაგვარებლად, რადგან ამისგან რეალურ შედეგებს არ ელოდებიან. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, არც ახსოვს ბოლოს როდის მიმართა საქართველოს ხელისუფლებას პრობლემის მოსაგვარებლად: იხსენებს: *„ვის რაზე უნდა მივმართო, ადრე ჩემი სამსახურიდან გამომდინარე ხშირად მიწევდა ახალგორის საკრებულოში მისვლაც, ვიცნობდი ყველას კარგად და რახან ოსი ვარ და აქ დავრჩი, ყველამ ამითვალწუნა, ოსობა რა შუაშია, ჩემი სახლი აქ არის, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, რისთვის უნდა წავსულიყავი.... ორი კოტეჯი ხო მომცეს და 2013 წლამდე არ მიფორმებდნენ, ...მაგათ ვის რაზე მივმართავ“.*

„ჰა ჰა, ვინმე თუ მოკვდა, მაშინ გვახსენონ. აქ ხო მაგათ არაფერს ვთხოვთ, ერთი გზის გახსნა გვინდა და იცი, რო ვაკვირდები, მაგაზე ლაპარაკიც ეზარებათ მგონი. ჩვენი მეზობლის გოგო მუშაობს ტელევიზიაში ჟურნალისტად და თუ რამე ხდება, ვურეკავთ ხოლმე და რას გვეუბნება, იცი? ჩემგან გაიგო მინისტრმა ეგ ამბავი და ესე მითხრა, გავარკვევო. რაც არ აინტერესებთ, რა ეცოდინებათ და რას გაიგებენ“, - ამბობს იკოთელი რესპონდენტი.

8. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა

განგრძობადი იზოლაციის პირობებში, ახალგორის მოსახლეობას შეზღუდულად მიუწვდება ხელი ხარისხიან და დროულ ჯანდაცვის სერვისებზე, რამაც არაერთი ახალგორელის სიცოცხლე იმსხვერპლა.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, 2019 წლიდან ახალგორელებისთვის გართულდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა, თუნდაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს. თუკი გამშვები პუნქტის ჩაკეტვამდე საკმარისი იყო ახალგორის საავადმყოფოს ექიმის გადაწყვეტილება და ახალგორის გამგებლის წერილი ე.წ. მესაზღვრესთან წარსადგენად, გზის ჩაკეტვის შემდეგ ახალგორელებს გაცილებით რთული და ხანგრძლივი შიდა ბიუროკრატიული პროცესის გავლა უწევთ. უფრო ზუსტად, პაციენტს რამდენიმე ეტაპის გავლა უწევს: პირველ რიგში პაციენტის მდგომარეობაზე მსჯელობს ცხინვალის საავადმყოფოს ექიმების ჯგუფი და იძლევა თანხმობას პაციენტის ცხინვალში გადაყვანაზე. შემდეგ, ახალგორის მუნიციპალიტეტისა და ექიმების თანხმობის მიღებაა საჭირო პაციენტის ცხინვალში გადაყვანაზე; ცხინვალში გადაყვანის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობას ცხინვალის საავადმყოფოს ექიმები აფასებენ; ექიმების ნებართვის შემდეგ, ოჯახს ეძლევა უფლება, პაციენტის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსაყვანად „საშვის“ მისაღებად, მიმართოს დე ფაქტო უწყებებს; და ბოლო ეტაპზე ერთვება წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ავადმყოფი კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე საავადმყოფოში გადმოჰყავს.[174] ეს პროცესი თავისთავად გართულებული და დროში გაჭიანურებულია, მაშინ როცა პაციენტს, შესაძლოა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდეს. გარდა ამისა, პაციენტის გადაყვანის პროცესი დისკრიმინაციული და შერჩევითია, საშვიც, ხშირად, კორუფციული გარიგებებით და ნეპოტიზმით გაიცემა. აღსანიშნავია, რომ დე ფაქტო ადმინისტრაცია წითელ ჯვარს ხშირად უხსნის გზას პაციენტების გადმოსაყვანად ცხინვალიდან, თუმცა ახალგორთან მიმართებით ნებართვების გაცემა უკანონო და დისკრიმინაციული შეზღუდვების საგანი ხდება. წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია ერთადერთი საერთაშორისო აქტორია, რომლის საქმიანობაც დაშვებულია ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ.

დროული სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო არაერთი ფატალური შემთხვევა ყოფილა ახალგორის რაიონში.[175] ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით კრიტიკული გახდა პანდემიის პირობებში, თუმცა ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის კატეგორიული წინააღმდეგობების გამო, ცხინვალის მოსახლეობას, მათ შორის, ახალგორის მცხოვრებლებს, საშუალება არ ჰქონდათ მიეღოთ რესურსები, რასაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მხარდაჭერის სახით სთავაზობდათ.[176] გარდა ამისა, გადაადგილების შეზღუდვის პირობებში, ახალგორელები პრაქტიკულად

[174] სახალხო დამცველის ანგარიში, 2020. 434.
[175] https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-moutsodebs-khelisuflebas-miighos-sagangebo-da-daugovnebeli-zomebi-akhalgorshi-shekmnili-jandatsvis-krizisis-sapasukhod
[176] სახალხო დამცველის ანგარიში, 2020. 434.

ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ არც ახალგორსა და ცხინვალში შეეძლოთ ხარისხიანი სერვისის მიღება და არც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. განსაკუთრებით საგანგაშო გახდა ვითარება, როდესაც 2020 წელს კოვიდ-19 ვირუსით გარდაიცვალა ახალგორის საავადმყოფოს ქირურგი ონისე გათენაშვილი. მისი დროულად გადმოყვანა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ შეძლეს და ის გზაში გარდაიცვალა.[177]

ახალგორის საავადმყოფოში ექიმები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ. საავადმყოფოს აღარ ჰყავს თერაპევტები. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში მომუშავე ორი თერაპევტი მხოლოდ მორიგეობის პერიოდში ჩადის ახალგორში. საავადმყოფოში დარჩენილები არიან სამი სტომატოლოგი, პედიატრი, ნევროპათოლოგი და ტრავმატოლოგი.[178] 2021 წელს, ახალგორში პანდემიის მორიგი აფეთქების პერიოდში, ცნობილი გახდა, რომ ახალგორის საავადმყოფოს, პოლიკლინიკისა და სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელებმა რაიონი დატოვეს. ასევე გაუჩინარდა საავადმყოფოს მთავარი ექიმიც. მოსახლეობა, პრაქტიკულად, ექიმების და პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალის გარეშე დარჩა.[179] ახალგორელები ხშირად უთითებენ, რომ საავადმყოფოს ექიმებს არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია და დაავადების მიზეზებს ზოგჯერ ინტერნეტში პაციენტის თანდასწრებით ეძებენ.[180]

ახალგორელებისთვის ასევე პრობლემურია წვდომა მედიკამენტებზე, რომლის არჩევანიც ადგილზე ძალიან მწირია, და რაც არის, ისიც ძალიან ძვირი ღირს. ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაცია კრძალავს ნებისმიერი მედიკამენტის გაყიდვას, რომელიც საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან შეიძლება შევიდეს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის მხრივ.

ახალგორის საავადმყოფო, აქ არსებული მძიმე კორუფციული გარემოს გამო, არაერთხელ გახდა სკანდალის მიზეზი. ამის შესახებ 2021 წლის დეკემბერში გამოძიება დაიწყო ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრმა სოსლან ნანიევმა, რომელმაც გაათავისუფლა საავადმყოფოს მთავარი ექიმი და დაიწყო საავადმყოფოს დოკუმენტაციის

---

[177] EMC მოუწოდებს ხელისუფლებას მიიღოს საგანგებო და დაუყოვნებელი ზომები ახალგორში შექმნილი ჯანდაცვის კრიზისის საპასუხოდ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 17 დეკემბერი, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30980283.html

[178] წითელი ჯვარი ახალგორიდან მოქალაქეების გამოყვანას განაგრძობს, რადიო თავისუფლება, 2 დეკემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30980283.html

[179] „დაკარგული“ ექიმები და რთული ეპიდვითარება ახალგორში, რადიო თავისუფლება, 29 ოქტომბერი, 2021. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/დაკარგული-ექიმები-და-რთული-ეპიდვითარება-ახალგორში/31535915.html

[180] კორუფციული სქემა ახალგორის საავადმყოფოში | რას იკვლევენ ცხინვალში, „ნეტგაზეთი“: 16 დეკემბერი, 2021. https://netgazeti.ge/news/582381/

შესწავლა, თუმცა გამოძიების შედეგები ჯერაც უცნობიადა არც ვითარება გაუმჯობესებულა ახალგორელებისთვის.[181]

ახალგორის ქართულ სოფლებში 6 სამედიცინო პუნქტია და ორიც - ოსურ ნაწილში. არცერთს არ ჰყავს ექიმი, ყველგან მხოლოდ ექთნები მუშაობენ, რომლებსაც არ აქვთ გავლილი სამედიცინო გადამზადება, მათ შორის, არ აქვთ პირველადი დახმარებისთვის საჭირო ცოდნა.[182]

9. განათლების უფლება

<u>წინასასკოლო განათლება</u>

ახალგორში სულ ორი საბავშვო ბაღია, ერთი ახალგორის დაბაში და მეორე სოფელ წინაგარაში (ოსური ნაწილი). ომამდე საბავშვო ბაღი იყო სოფელ იკოთშიც, რომელიც, ბავშვების კონტიგენტის არარსებობის გამო, 2008 წელსვე დაიკეტა. ახალგორის დაბაში ორი საბავშვო ბაღი იყო და ბავშვების ნაკლებობის გამო 2018 წელს გაერთიანდა. საბავშვო ბაღის ახალი შენობა, 2018 წლის ივნისში, საზეიმო ვითარებაში გახსნა დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა. ბაღების გაერთიანების დროს, ყველა თანამშრომელი, რომელიც არ ფლობდა რუსულ და ოსურ ენებს, სამსახურიდან გაათავისუფლეს.[183] ამ ფაქტს ახალგორში პროტესტი მოჰყვა, რის გამოც ბაღში დააბრუნეს რამდენიმე ქართველი თანამშრომელი, ვინც რუსული და ოსური ენები არ იცოდა, თუმცა არა მასწავლებლის პოზიციაზე (ძირითადად დამლაგებლად, მზარეულად, ან ძიძად).

საბავშვო ბაღებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ოსურ ენას მხოლოდ ღონისძიებების დროს იყენებენ. ბაღში ქართულად საუბარი იკრძალება, რაც 2018 წლის სექტემბერში დაბაში არსებულ ახალ საბავშვო ბაღში სკანდალის მიზეზი გახდა. საბავშვო ბაღის ახალმა დირექტორმა ალა გუსოევამ ბაღში აღსაზრდელებს და ძიძებს ერთმანეთში ქართულად საუბარი აუკრძალა.[184] საბავშვო ბაღში, სადაც ერთად სწავლობენ ქართველი და ოსი ბავშვები და ბევრი მათგანი არ ფლობს ე.წ. სახელმწიფო ენას, თამაშის დროს ქართულად საუბრობენ, რასაც ბაღის დირექტორის კრიტიკა მოჰყვა უხეში ფორმით და ყვირილით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბავშვების მშობლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს და კრიტიკულად გახმაურდა მედიაშიც. ბაღში მასწავლებლებად ძირითადად რუსი

---

[181] ახალგორის საავადმყოფოს მთავარი ექიმი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რადიო თავისუფლება, 6 დეკემბერი, 2021. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31595856.html

[182] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

[183] ახალგორის საბავშვო ბაღებიდან თანამშრომლები ენის უცოდინრობის გამო გაათავისუფლეს, რადიო თავისუფლება, 13 ივნისი, 2018. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორის-საბავშვო-ბაღებიდან-თანამშრომლები-ენის-უცოდინრობის-გამო-გაათავისუფლეს/29288409.html

[184] აკრძალული ქართულის გაკვეთილი, რადიო თავისუფლება, 3 სექტემბერი, 2018. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/აკრძალული-ქართულის-გაკვეთილი/29468745.html

სამხედროების ცოლები მუშაობენ. ახალგორის დაბის ახალი საბავშვო ბაღი კარგად არის მოწყობილი, აღჭურვილია ახალი ინფრასტრუქტურით, არის კარგი კვება და პირობები. ყოველწლიურად ბაღი უშვებს 6-7 სასკოლო ასაკის ბავშვს, ესენი არიან ძირითადად დაბის და იკოთის სკოლის პირველკლასელები. ბაგა-ბაღში ასევე სწავლობენ რუსი სამხედროების შვილებიც, რაც ზრდის ბაღში ბავშვების რაოდენობას (დაახლოებით 20 ბავშვამდე სწავლობს დაბის ბაღში). ახალგორელი მკვლევრის თქმით, ბაღების რაოდენობა რაიონში საკმარისია და მეტის მოთხოვნილება არ არსებობს, რადგან რეალურად რაიონი იცლება და აქ ძირითადად ხანშიშესული ადამიანები რჩებიან.[185]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები

გალის მსგავსად, ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა ახალგორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანასთან დაკავშირებით 2017 წელს მიიღო.[186] რუსულ ენაზე სწავლებაზე გადასვლა ეტაპობრივად მოხდა. 2017 წელს სწავლების ენა შეიცვალა პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, და დღეს მხოლოდ დამამთავრებელი მე-11 კლასი დარჩა ქართულენოვანი, რომელიც მომავალ წელსაც რუსულენოვანი გახდება. ადგილობრივმა დე ფაქტო ადმინისტრაციამ ეს იმით ახსნა, რომ ახალგორის სკოლები საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამას მიჰყვებოდნენ, ამ პროგრამით ისწავლებოდა ასევე ისტორიის საგანიც, რაც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ახალგორელმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ ხარისხიანი განათლების მიღების და გაცემის მხრივ პრობლემები შეექმნებოდათ, რადგან რუსული ენის ცოდნის დონე რაიონში ძალიან დაბალია. ამ მიზეზით ახალგორის სკოლები წლიდან წლამდე იცლება. ამ დროისთვის ახალგორის მოქმედ ექვს სკოლაში ქართულად მხოლოდ დამამთავრებელ კლასებში (მე-10-11) ისწავლება. დანარჩენ შემთხვევებში, ქართული, როგორც უცხო ენა, კვირაში ხუთი საათით ისწავლება.[187]

საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, მოსწავლეების არარსებობის გამო, დაიხურა სოფელ ახმაჯის სკოლა. 2020 წლამდე ახალგორის რაიონში სულ 7 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა. ახმაჯის სკოლის დაკეტვის შემდეგ კი, მათი რიცხვი 6-მდე შემცირდა.[188] აქედან 1 რუსული სკოლაა, სადაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი მოსწავლე სწავლობს: 2021 წელს ახალგორის სკოლებში სულ 131 მოსწავლე ირიცხებოდა, საიდანაც 73 რუსული სკოლის მოსწავლეა. 2020-2021 სასწავლო წლისთვის მონაცემებით, ახალგორის ქართულ სკოლებში, ჯამურად 58

[185] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.
[186] ახალგორის რაიონში ქართულ ენაზე სწავლება უქმდება, რადიო თავისუფლება, 11 აგვისტო, 2017. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/kartuli-enis-sakitkhi-akhalgorshi/28671045.html
[187] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021, გვ. 334.
[188] ახალგორის ქართული სკოლა, ახალგორის რუსული სკოლა, იკოთი, კორინთა, ბალაანი, ზემო ბოლი.

მოსწავლე ირიცხებოდა და 115 პედაგოგი იყო დასაქმებული. შედარებისთვის, 2019-2020 სასწავლო წელს ამ სკოლებში 63 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, 2018-2019 წელს - 85, 2017-2018 წელს - 98, 2016-2017 წელს - 105, ხოლო 2015-2016 წლებში - 118.[189] 2021 წელს ახალგორის ორ სკოლას პირველკლასელი მოსწავლე საერთოდ არ ჰყოლია (სოფელ ბალაანსა და ზემო ბოლში). ახალგორის ქართული სკოლა იყო ყველაზე დიდი სკოლა მთელ რაიონში. ახალგორის ყოფილი გამგებლის თქმით, აქ ომამდე 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა.[190] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით კი, 2020-2021 სასწავლო წელს აქ 34 მოსწავლე ირიცხებოდა.[191]

სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე გადასვლის შემდეგ, განათლების ხარისხი ახალგორის სკოლებში რადიკალურად გაუარესდა. მასწავლებლების დიდმა ნაწილმა რუსული არ იცის და წლებია არ გაუვლია ატესტაცია.

ბოლო წლებში გამოიკვეთა ზეწოლის და შევიწროების ფაქტებიც, ახალგორის მასწავლებლების მიმართ. 2020 წლის 3 თებერვალს დაბის ქართული სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რადგან უარი თქვა განათლების განყოფილების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხუთი მოსწავლის გარიცხვასთან დაკავშირებით.[192] მოსწავლეებმა სკოლაში ჩარიცხვის დროს, გზის ჩაკეტვის გამო ვერ წარადგინეს 9 კლასის დამამთავრებელი ატესტატი, დაბის განათლების განყოფილებამ კი დირექტორს ბავშვების სკოლიდან გარიცხვა მოსთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა. ბავშვები გარიცხვის შემთხვევაში ვერც წეროვანში დაბრუნებას შეძლებდნენ და განათლების გარეშე დარჩებოდნენ. ამის გამო სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს. თანამდებობიდან ასევე გაათავისუფლეს იკოთის სკოლის დირექტორი, რაც „პედაგოგიური განათლების უქონლობას“ უკავშირდებოდა.[193]

2020 წელს ახალგორის განათლების განყოფილების ახალმა უფროსმა, ყოფილმა მილიციელმა, ჰამლეტ ელოევმა ახალგორის სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს მოსთხოვა ხელწერილები დაეწერინებინათ მშობლებისთვის, სადაც აღნიშნავდნენ, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მათი შვილები სწავლას არ გააგრძელებდნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ მიიღებდნენ ატესტატს. ახალგორის ქართული სკოლის დირექტორმა ამაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც დაიწყო მისი დევნა და საბოლოოდ სამსახურიდან გაათავისუფლეს. სკოლის დირექტორი საკუთარი უფლებების დაცვას ცხინვალის სასამართლოში ცდილობს.

---

[189] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021, გვ. 334.
[190] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.
[191] სახალხო დამცველის ანგარიში, 2021. გვ. 335.
[192] ახალგორის ქართული სკოლის ყოფილი დირექტორი საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის, რადიო თავისუფლება, 8 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორის-ქართული-სკოლის-ყოფილი-დირექტორი-საკუთარი-უფლებების-დასაცავად-იბრძვის/30714177.html
[193] მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გალსა და ახალგორის რაიონებში, DRI, 2020, გვ. 7.

ახალგორელების თქმით, საქართველოს ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რათა მათ შეძლებოდათ ქართულ ენაზე მიეღოთ განათლება: *„ვის მივმართოთ აბა? ბიბილოვმა რამდენი ხნით ადრე გამოაცხადა, ქართული სკოლები უნდა გაუქმდესო და საქართველოს ხელისუფლებიდან ვინმემ ხმა ამოიღო მაგაზე? მე ეგეთი არაფერი არ გამიგია“.*

<u>უმაღლესი განათლება</u>

ჩორჩანა-წნელისის კრიზისამდე ახალგორელი მოსწავლეები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უნივერსიტეტებში იმავე წესით ახერხებდნენ ჩაბარებას, როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლეები. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ისინი მოსაბრუნის გამშვები პუნქტის გავლით გადმოდიოდნენ და გამოცდების ჩაბარების შემდეგ საქართველოს უნივერსიტეტებში ირიცხებოდნენ. 2020 წელს საქართველოს განათლების სამინისტრომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის გამონაკლისი დაუშვა და მათ საშუალება მიეცათ უგამოცდოდ ჩარიცხულიყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში, რადგან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო, ვერ ახერხებდნენ გამოცდებზე დასწრებას. ასევე გადაწყდა, რომ სახელმწიფო მათი სწავლის საფასურს სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობით (2250 ლარი) სრულად დააფინანსებდა.[194]

ამ გადაწყვეტილებას ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის მხრიდან ახალგორელების მიმართ ზეწოლა და მუქარა მოჰყვა. დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ახალგორის სკოლის კურსდამთავრებულებს შეხვდნენ და გააფრთხილეს, თბილისში არ გაეგრძელებინათ სწავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენ.[195] უსაფრთხოების ოფიცრები ახალგაზრდებს სწავლის ცხინვალში გაგრძელებისკენ მოუწოდებდნენ. ზოგადად, ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაცია ახალგორელების ცხინვალის თიბილოვის სახელობის უნივერსიტეტში სწავლის წახალისებას ცდილობს. ახალგორელებს შეუძლიათ უგამოცდოდ ჩააბარონ ცხინვალის უნივერსიტეტში.

ბოლო 6 წლის განმავლობაში (2016-2021) სამხრეთ ოსეთიდან ჯამურად - 1018 ადამიანი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, საიდანაც 312 იყო ახალგორიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ახალგორელი კურსდამთავრებულებიდან სტუდენტი გახდა 69. საინტერესოა, რომ 2015-2019 წლებში 23 ახალგაზრდა ჩაირიცხა ახალგორიდან

[194] უგამოცდოდ ჩარიცხული სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რადიო თავისუფლება, 6 ივლისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30710162.html
[195] კაგებეს ზეწოლა ახალგორელ აბიტურიენტებზე, რეგიონის დეპოპულაციის მცდელობა, რადიო თავისუფლება, 18 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30678195.html

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში,[196] თუმცა მათი რიცხვი მომდევნო 2 წელიწადში პრაქტიკულად გაორმაგდა, რაც უგამოცდოდ ჩარიცხვის შესაძლებლობას უნდა უკავშირდებოდეს. სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2016-2021 წლებში, სამხრეთ ოსეთიდან ჩარიცხული 793 სტუდენტი დაფინანსდა.[197] ეს დაფინანსებები სტუდენტებმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან სტუდენტების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში მიიღეს, რაც მოიცავს იმ სტუდენტებსაც, რომლებმაც ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიიღეს.[198]

10. პოლიტიკური მონაწილეობა, წარმომადგენლობა და დასაქმება საჯარო სექტორში

ახალგორის დაბაში არის რაიონული ადმინისტრაციის შენობა, სადაც ასევე განთავსებულია ყველა დე ფაქტო სამინისტროს წარმომადგენლობა (განყოფილებები), აქვეა პროკურატურის წარმომადგენლობა; გარდა ამისა, დაბაში არის საბჭოს შენობა (საკრებულო), ორი სკოლა, დაბის ერთ-ერთ სკოლას ექვემდებარება სოფელ ბოლის საშუალო სკოლა - 9-წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ამ ორ სკოლას საერთო დირექტორი ჰყავს.

ახალგორელები დასაქმებულები არიან საჯარო სექტორში, ძირითადად ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, არიან ხელმძღვანელ პოზიციებზეც. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ადამიანები დამატებით ხელფასს იღებენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიდანაც. ადგილობრივი „კანონმდებლობით“ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება, ან ოჯახის წევრების ყოლა ეკრძალებათ იმ ადამიანებს, ვისაც შეხება აქვს რაიონის ბიუჯეტურ დოკუმენტებთან ან პოლიციაში (მილიციაში) მუშაობენ.

რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციაში ხელმძღვანელ პოზიციებს ქართველებიც იკავებენ, სოფლის საბჭოების გამგებლები ასევე ადგილობრივი ქართველები არიან. მათაც ასევე ეკრძალებათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა.

ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებშიც ქართველები არიან პოლიტიკურ თანამდებობებზე.

დე ფაქტო პოლიციასა და სასამართლოში ეთნიკურად ქართველი არავინ მუშაობს, თუმცა არიან საქართველოს მოქალაქეები, ანუ ის ადამიანები, ვისაც ომამდე ჰქონდა მიღებული საქართველოს მოქალაქეობა და ეს სტატუსი დღემდე შენარჩუნებული აქვთ.

---

[196] მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გალსა და ახალგორის რაიონებში, DRI, 2020, გვ. 8.

[197] საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 8 სექტემბერი, 2022.

[198] https://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo

სასამართლოს შენობა უშუალოდ ახალგორში არ არის, თუმცა ცხინვალიდან მოსამართლე აქ ყოველ ორშაბათს ჩადის უკვე ბოლო ერთი წელია და რაიონული ადმინისტრაციის შენობაში ატარებს „სასამართლო პროცესებს“, ასევე აქვს მიღების დღეები მოსახლეობისთვის კვირაში ერთხელ, სადაც მოსახლეობას შეუძლია მასთან კონსულტაციის გავლა იურიდიულ საკითხებზე.

რადგან ადგილობრივ დონეზე ახალგორში საჯარო სექტორში ქართველებიც არიან დასაქმებულები, ახალგორელებს თავისუფლად შეუძლიათ კომუნიკაცია ქართულ ენაზე თვითმმართველობის ორგანოებთან. კომუნიკაციის ენა ასევე არის ოსური და რუსული. თუ ვინმეს სჭირდება თარჯიმანი, ადგილობრივი თანამშრომლები ეხმარებიან თარგმნაში. თუმცა ახალგორის სოფლებში აღნიშნავენ, რომ კომუნიკაცია უჭირთ ექიმებთან/ექთნებთან, რომლებიც უფრო რუსულენოვანი ან ოსურენოვანი ხალხია, ამიტომ ვერ ახერხებენ სამედიცინო ტერმინოლოგიის გაგებას და სათანადო კომუნიკაციას.

ახალგორელები ყოველთვის მონაწილეობენ პოლიტიკურ შეხვედრებში, თუ რომელიმე პოლიტიკოსი ჩადის ცხინვალიდან მათთან შესახვედრად. თუმცა თავს იკავებენ პროაქტიული მონაწილეობისგან და კონკრეტული პრობლემის მოგვარების მოთხოვნისგან, რადგან არ უნდათ, რომ დე ფაქტო ხელისუფლების თვალში უკმაყოფილო „მოქალაქეებად“ გამოჩნდნენ. თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ აქ, ყველა დონეზე, კორუფციული გზებით ისედაც შესაძლებელია ყველაფრის მოგვარება, მიაჩნიათ, რომ საჭირო არ არის პროტესტის გამოხატვა. მათივე თქმით, დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და პოლიტიკურ ფიგურებს მარტო მაშინ ახსენდებათ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, როცა არჩევნები ახლოვდება და რაიონში ჩასვლას გადაწყვეტენ. *„უაზრობაა რამეზე მიმართო მაგათ, რაში უნდა გამოგვადგნენ და ხელი გაგვიმართონ, მარტო საარჩევნოდ მოდიან და მერე ყველა გვივიწყებს“*, - ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი.

ასევე დაბალია მიმართვიანობა თვითმმართველობის დონეზეც. ახალგორელების მთავარი მოთხოვნა პოლიტიკურ დონეზე, 2019 წლის შემდეგ, გამშვები პუნქტის გახსნაა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკოსებისთვისაც მისაღები მოცემულობაა, რადგან ამით სხვა ყოფითი და სოციალური პრობლემები იფარება.

11. გამოხატვის თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება

ზოგადად, ცხინვალის რეგიონში გამოხატვის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა უმძიმესია. Freedom House-ის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, სამხრეთ ოსეთში გამოხატვის თავისუფლება მთლიანად შეზღუდულია. ადგილობრივი მედია, მათ შორის, სატელევიზიო არხი IR, ასევე გამომცემლობა Yuzhnaya Osetiya და Respublika და ონლაინ პლატფორმა RES, სრულად კონტროლდება ადგილობრივი დე ფაქტო ადმინისტრაციის

მიერ. Freedom house-ის ანგარიშის მიხედვით, თვითცენზურა საკმაოდ მძლავრია და ცილისწამების მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეები ხშირია.[199]

ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტის და ბლოგერის, თამარ მეარაყიშვილის ხუთწლიანი დევნის და შევიწროების საქმე სწორედ ამ პრაქტიკის მაგალითია. თამარ მეარაყიშვილი წლებია კრიტიკულად აფასებს ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას და იქ არსებულ კორუფციულ სქემებს ამხელს. ის ასევე კრიტიკულია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის მიმართაც. მისი სისხლისსამართლებრივი დევნის საქმე ცხინვალის დე ფაქტო პროკურატურამ ჯერ კიდევ 2017 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. დევნის საფუძველი თამარის კრიტიკული სტატია გახდა იმ კორუფციული ინტერესების შესახებ, რაც ადგილობრივ „საპრეზიდენტო არჩევნებში“ გამარჯვებულ პარტიას შეიძლებოდა ჰქონოდა.[200] 2017 წლის 8 ივნისს, დე ფაქტო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა მეარაყიშვილი გაიტაცეს და 15 საათის განმავლობაში ცდილობდნენ მისგან აღიარებითი ჩვენების მიღებას, რომ ის საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებთან თანამშრომლობდა.

2017 წლის აგვისტოში კი თამარის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. დე ფაქტო პროკურატურა მას ცილისწამებას, ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებას და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის უკანონოდ მიღებას ედავება. თამარი ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ ორჯერ გაამართლა, გამამართლებელი განაჩენის შემდეგ საქმეები პროკურატურას უბრუნდება და სასამართლო მას უთითებს ბრალის დაუსაბუთებლობაზე, რის შემდეგაც პროკურატურა განაგრძობს სისხლის სამართლის დევნას. სასამართლოდან საქმეების დაბრუნების შემდეგ, 2022 წლის მაისში, დე ფაქტო პროკურატურამ გადაწყვიტა, სისხლის სამართლის საქმეები სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით დაეხურა, თუმცა ვინაიდან ამ საფუძვლით საქმის დახურვის შემთხვევაში თამარ მეარაყიშვილს ნასამართლევის სტატუსი უნარჩუნდებოდა, მან პროკურატურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა და ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ პროკურატურას არ მისცა უფლება საქმეები ამ მოტივით დაეხურა.[201] მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საჭიროებაზე მიუთითა, ცხინვალის დე ფაქტო პროკურატურამ მიმდინარე წლის ოქტომბერში მეარაყიშვილს აცნობა, რომ კვლავ გეგმავს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლებას, თუმცა ამჯერად გამოძიება მხოლოდ ერთ - „პასპორტის“ უკანონოდ მიღების სისხლის სამართლის საქმეზე განახლდება. მიუხედავად ამისა, მიღებული გადაწყვეტილება არსებითად უკანონო და დაუსაბუთებელია, რაც არაერთხელ დადასტურდა დე ფაქტო სასამართლოში, თუმცა საქმის სამართლებრივი სისუსტის

[199] South Ossetia, 2022, Freedom House Report: https://freedomhouse.org/country/south-ossetia/freedom-world/2022

[200] Сторонники победителя примеряются к хлебным местам, „ეხო კავკაზა“, 27 აპრილი, 2017. ხელმისაწვდომია: https://www.ekhokavkaza.com/a/28455829.html

[201] ცხინვალის სასამართლოში აქტივისტმა თამარ მეარაყიშვილმა პროცესი მოიგო, „ნეტგაზეთი“: 16 მაისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/610792/

მიუხედავად, მასზე წარმოების გაგრძელებით დე ფაქტო პროკურატურა მიზნად ისახავს სამოქალაქო აქტივისტის შევიწროვებას და დაშინებას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თამარს დღემდე ჩამორთმეული აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, და ხუთი წელია შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება. მას უშუალოდ ცხინვალის რეგიონშიც კი არ შეუძლია გადაადგილება კონკრეტულ სოფლებში, სადაც განთავსებულია ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტები. ახალგორელი აქტივისტის იზოლაციას და შინაპატიმრობას თან სდევს მისი ეკონომიკური იზოლაცია, რადგან თამარს არ შეუძლია იმუშაოს, ან შემოსავალი მიიღოს სხვა ეკონომიკური საქმიანობებით. ამგვარი მოპყრობა კი ცხადია, მიზნად ისახავს მის დაშინებას, და იძულებას, დატოვოს ახალგორის რაიონი, ანდა შეწყვიტოს კრიტიკული პოზიციების საჯაროდ გამოხატვა.

ახალგორში არ არსებობს დემოკრატიული თვითორგანიზების და სამოქალაქო აქტივიზმის პრაქტიკა. აქ არ ფუნქციონირებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე არ არიან წარმოდგენილები საერთაშორისო ორგანიზაციები. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს წვდომა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, თუმცა ლიმიტირებულად და კონკრეტული შეზღუდული ჰუმანიტარული მისიით (პაციენტების გადაყვანა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე).

2014 წელს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ მიიღო კანონი „უცხო ქვეყნის აგენტის შესახებ“. კანონი მკაცრ კონტროლს აწესებს იმ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც დასავლურ ფონდებთან თანამშრომლობენ. ამით, კანონმა პრაქტიკულად შეზღუდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა.[202]

12. ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება

ახალგორელების შემოსავლის ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა, ასევე მცირე მეწარმეობა. გზის ჩაკეტვამდე ისინი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეც ვაჭრობდნენ, თუმცა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ თავიანთ პროდუქციას ძირითადად ცხინვალის ბაზარზე ყიდიან. თბილისში გასაყიდად უმთავრესად გადმოჰქონდათ კაკალი, ნიგოზი, თაფლი და ყველი. აქ ასევე არის ერთი აუზი, სადაც კალმახს ამრავლებენ და ცხინვალის ბაზარზე ყიდიან. ახალგორში ასევე არის მეფუტკრეობის მცირე ბიზნესებიც და თაფლს ვლადიკავკაზშიც ყიდიან.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ცალკეული საგრანტო პროგრამების ფარგლებში უწევს მხარდაჭერას ახალგორში მცირე მეწარმეებს და ბიზნესს, თუმცა ამის შესახებ ახალგორელები ნაკლებად საუბრობენ. ახალგორელი მკვლევრის თქმით, ეს

[202] აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევების მიმოხილვა, 2019-2020, DRI, 8-9.

საქმიანობები ცხინვალის უსაფრთხოების სამსახურის მიერ კონტროლდება და მათი მფარველობის ქვეშ მიმდინარეობს, რის სანაცვლოდაც ისინი მეწარმეებისგან შესაბამის სარგებელს იღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაუჭირდებოდათ თავისუფლად საქმიანობა. უსაფრთხოების სამსახურები და მილიციის მაღალჩინოსნები ასევე მფარველობენ კონტრაბანდული საქონლის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადატანასაც, მათ შორის არის სიგარეტი და კონიაკი და ფინანსური სარგებლის ინტერესით თვალს ხუჭავენ ამგვარ კონტრაბანდაზე.

ახალგორელები თავისუფლად საქმდებიან საჯარო სამსახურში ადგილობრივ დონეზე, თუმცა არის შემთხვევები, როცა ეთნიკურად ქართველებს ცალკეული საჯარო დაწესებულებებიდან ათავისუფლებენ. მაგალითად, ქართველები გაათავისუფლეს ახალგორის დაბის ახალი საბავშვო ბაღიდან, ასევე ახალგორის მუზეუმიდან. 2020 წელს, ახალგორის განათლების განყოფილების მითითებების შეუსრულებლობის გამო, ასევე გაათავისუფლეს ორი ქართული სკოლის დირექტორი.

13. საკუთრების უფლება

ახალგორსა და ზოგადად ცხინვალის რეგიონში არ არსებობს მოწესრიგებული საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუცია, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ მცხოვრებლებს შეეძლებოდათ საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ამის საფუძველზე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ახალგორელები ქონებას მეტწილად თბილისში ირეგისტრირებენ და მათი საკუთრების უფლება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ არის აღიარებული და გაფორმებული. თუმცა მოსახლეობის დიდ ნაწილს სოფლის მეურნეობის მიწის ნაკვეთები არ აქვს გაფორმებული და საჭიროების შემთხვევაში არ შეუძლია მისი ყიდვა-გაყიდვა. ადგილობრივ დონეზე, ნოტარიულადაც კი არ ფორმდება ყიდვა-გაყიდვის ფაქტი, რადგან არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო.

14. კულტურა და რელიგია

ქართულად წირვა-ლოცვა ახალგორში არ არის შეზღუდული. ახალგორის რაიონში სამი ეკლესიაა - ახალგორის დაბაში, ასევე სოფელ ლარგვისში და სოფელ იკოთში. 2016 წელს ალანიის ეპარქიამ, ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერით, ახალგორში ოსური ეკლესია ააშენა, სადაც, მხოლოდ წელიწადში ერთხელ, წირვა-ლოცვა ოსურად აღევლინება. სხვა შემთხვევებში აქაც ქართულად მიმდინარეობს ღვთისმსახურება.

ახალგორში არის ერისთავების სასახლე, რომელსაც რეაბილიტაცია- გადახურვა და შიდა კომუნიკაციების მოწესრიგება სჭირდება და ამისთვის ცხინვალიდან რესურსები არ არის გამოყოფილი. ერისთავების სასახლის რეაბილიტაციაზე არც ქართული მხარე ზრუნავს და რამდენიმე წელიწადში შეიძლება მისი ჩამონგრევის საფრთხეც დადგეს. ხუთი წლის წინ ამ

სასახლის ქართველი დირექტორი იმ მიზეზით გაათავისუფლეს, რომ ის არ თანამშრომლობდა ცხინვალთან და სასახლის რეაბილიტაციისთვის რესურსები ვერ მოიპოვა. თუმცა გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი მისი ქართული ეროვნება და სანაკოევის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კავშირები იყო.[203]

ერთი წლის წინ ახალგორის მუზეუმს, რეაბილიტაციის საჭიროების მიზეზით, სტატუსი შეუცვალეს, ის გავიდა რაიონის გამგეობის დაქვემდებარებიდან და სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიენიჭა. თუმცა რეაბილიტაციის პროცესი დღემდე არ დაწყებულა. მუზეუმიდან ასევე გაათავისუფლეს ქართველი თანამშრომლები - რესტავრატორი, ფონდების მცველი და ერთი ექსკურსიამძღოლი, და ახლა მხოლოდ ორი ადამიანი მუშაობს მუზეუმში - დირექტორი და ექსკურსიამძღოლი.

ქართული კულტურის დასაცავად, ახალგორში, ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფლების მიერ არაფერი კეთდება.

15. უსაფრთხოება და ურთიერთობა სამართალდამცავებთან

კვლევისას ახალგორელები აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცავებთან ურთიერთობაში, დისკრიმინაციული მიდგომები ეთნიკური ნიშნით ქართველების მიმართ, არაა ხშირი პრაქტიკა, თუმცა პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე ყოფილა მძიმე დისკრიმინაციული ფაქტებიც (მაგალითად, თამარ მეარაყიშვილის საქმე). ზოგადად მთლიანი სისტემაა კორუფციული და ნეპოტიზმზე აგებული, და შესაბამისად, პოლიციაში, პროკურატურაში, სასჯელაღსრულების სისტემაში შესაძლებელია ყველაფრის ფულით მოგვარება.

ახალგორელები სასამართლოს ძირითადად სატრანსპორტო საშუალებების მართვისას მიღებულ ჯარიმებთან დაკავშირებით, გასაჩივრების მიზნით და შრომითი დავების დროს მიმართავენ.

ახალგორში პროკურატურა არ მიაჩნიათ სერიოზულ უწყებად, რადგან ფიქრობენ, რომ აქ კორუფციული გზებით ყველა საქმის მოგვარება შეიძლება. იგივე მიდგომაა ახალგორის მილიციის მიმართაც. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ მილიციაში დაკავებულს სამ დღეზე მეტხანს ვერ აჩერებენ, რადგან არ აქვთ დაკავებისთვის განკუთვნილი იზოლატორი.

ახალგორში არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულება, არის მხოლოდ მილიციის შენობა, თუმცა მას დროებითი დაკავებებისთვისაც ვერ იყენებენ, რადგან შესაბამისად არ არის მოწყობილი. მილიციის მხრიდან ძალადობის ან ძალის გადამეტების ფაქტები ახალგორში არ ხდება, თუმცა ადგილობრივ მილიციას არც იმის რესურსი აქვს, რომ დანაშაულის ფაქტები წარმატებით გამოიძიოს.

[203] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

ახალგორში ხშირია დაკეტილ სახლებში მოროდიორობის ფაქტები. 2015-2016 წლებში ასევე ძლიერი იყო ბიზნესის რეკეტის პრაქტიკები მაღალჩინოსანი სამართალდამცავების, ასევე სხვა სახელმწიფო „მოხელეების“ მიერ. ეს პრაქტიკა მოგვიანებით შემცირდა, თუმცა არის იმის ნიშნები, რომ კიდევ დაბრუნდეს სამხრეთ ოსეთის ახალი დე ფაქტო მმართველობის პირობებში.[204]

უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან მაღალია კონტროლის და თვალთვალის პრაქტიკები, ისინი მუდმივ რეჟიმში ამოწმებენ ყველა დასაქმების ადგილს, როგორც კერძო, ისე საჯარო უწყებებში და მათ რაიონის ყველა მცხოვრებზე აქვთ ინფორმაცია. ასევე მიღებულია ფარული მიყურადების და მოსმენების პრაქტიკაც.

ე.წ. საზღვრის კვეთის დროს, რუსული სამსახურები აქტიურად იყენებენ კონტროლის და ჩხრეკის პრაქტიკას, ისინი ხანდაზმულ ადამიანებსაც ამოწმებენ იმის გასაგებად, თუ რა გადააქვს, ან გადმოაქვს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან.

„....ისე, ვისაც დაიჭერენ, ჯარიმით უშვებენ ყველას, არსად აღარ მიჰყავთ, მაგრამ ძალიან ჩხრიკავენ, ტელეფონი თუ გაქვს, მესიჯებს, ზარებს, ვისი ნომრები გიწერია, ყველაფერს ამოწმებენ და სურათებს უღებენ“, - ამბობს რესპონდენტი სოფელ მოსაბრუნიდან. მისი თქმით, შემოწმებისას ეკითხებიან, რა ინფორმაცია აქვთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიმე ქართული პოლიტიკური პარტიის წევრები ხომ არ არიან, მათი ნათესავები ან ოჯახის წევრები ხომ არ მუშაობენ უშიშროების სამსახურში ან სამართალდამცავ ორგანოებში, თუმცა რესპონდენტის შეფასებით, ამ ყველაფერს ფორმალურად აკეთებენ, რადგან მათი საუბრიდან ირკვევა, რომ დაკავებულის შესახებ ისედაც ფლობენ ყველა სახის ინფორმაციას.

„ეხლა, ბოლოს, ცოტა ხნით როცა გახსნეს გზა და მივდიოდი თბილისში, აქვე სოფლიდან გასასვლელი პოსტი როა, შეგვიყვანეს იქ რუსებმა, შეგვიმოწმეს ტელეფონები, ვის ვურეკავდით, ვის რასა ვწერდით, რაღაცეებს გვეუბნებოდნენ, ვითომ ჩვენზე რაღაცა ინფორმაციები აქვთ. თუ ვინმე ჩუმად გადმოიპარება და გააჩერებ ჩვენთან მოჰყავთ ახმაჯში, რუსულ ბაზაზე და ეგენი აინტერესებდათ, აბა თუ ვიცოდით რამე, თუ ვხედავთ ხოლმე ვინ შეყავთ და ვინ გამოყავთ, მერე ახლა ქართველებმა შეგვიყვანეს, ვინმე ხო არ გაწუხებთო, რამე ხო არ გინდათო. იმათაც თავისი ინტერესი აქვთ და ამ ამბავში დაგვეკარგა მთელი დღე“, - მიზიარებს საკუთარ გამოცდილებას ერთ-ერთი რესპონდენტი სოფელ ახმაჯიდან.

16. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ახალგორელები ინფორმაციას ძირითადად ქართული ტელეარხებიდან იგებენ, ინფორმაციის კიდევ ერთი წყაროა სოციალური ქსელები. ცხინვალის რეგიონში

[204] ინტერვიუ ახალგორელ მკვლევართან, 20-23 სექტემბერი, 2022.

ერთადერთი დამოუკიდებელი მედიასაშუალება, რომელიც ახალგორის და ზოგადად ცხინვალის რეგიონის მოვლენებს აშუქებს, არის „ეხო კავკაზა“, სხვა მხრივ, ყველა ტელეარხს და გამომცემლობას ხელისუფლება აკონტროლებს.

17. თემთაშორისი კომუნიკაცია და ურთიერთობა

ახალგორში თემთაშორისი ნდობა და ურთიერთობა შესუსტებულია, თუმცა ურთიერთობები შენარჩუნებულია მინიმალურ საყოფაცხოვრებო დონეზე. იზოლაციის პირობებში ხალხი ჩაკეტილ ცხოვრებას დაეჩვია და ოსურ მოსახლეობასთან, ნდობის უქონლობის გამო, ნაკლებად ურთიერთობს. უსაფრთხოების სამსახურებს იმდენად ახლო კავშირი აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომ ეს აჩენს ნდობის კრიზისს და, შედეგად, ურთიერთობებიც, ბოლო წლებში, შესუსტებულია. ახალგორელი მკვლევრის თქმით, ეს შეინიშნება არა მხოლოდ ქართველების და ოსების ურთიერთობაში, არამედ ქართველებს შორისაც. თუმცა ასევე აღნიშნავენ, რომ სავაჭრო ურთიერთობები საკმაოდ ძლიერია ცხინვალთან, ცხინვალიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესაძენად ახალგორის ბაზარზე და ზოგჯერ ახალგორის სოფლებშიც კი ჩადიან, ამიტომ, ამ მხრივ, ურთიერთობა ოსებთან საკმაოდ ძლიერია. გარდა ამისა, ის შერეული ოჯახები, რომლებიც ომამდეც იყო ახალგორში, და ნათესაური კავშირები ოსებთან, კვლავ არსებობს და ომის შემდეგ არ შეცვლილა.

შეჯამება და რეკომენდაციები

კვლევამ გამოავლინა, რომ გალის და ახალგორის მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა, დე ფაქტო ადმინისტრაციებიდან მომდინარე სისტემური დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრებისა და ასევემ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უგულებელყოფის გამო, ორმაგად მძიმეა. მოუგვარებელი კონფლიქტის სირთულეები გალის და ახალგორის მოსახლეობას ყოველდღიურ ყოფას ართულებს და არაუსაფრთხოსა და მოწყვლადს ხდის. გარდა ამისა, შიდა პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობა და კონფლიქტების მიღმა მომხდარი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური მოვლენები ხშირად აისახება ამ რაიონების მოსახლეობის უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე. პოლიტიკური დაძაბულობები და რყევები გალის და ახალგორის მოსახლეობას იზოლაციის ან მეტი კონტროლის ობიექტად აქცევს.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ჯანდაცვის, სოციალურ და სხვა მხარდამჭერ სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვა, მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი, კორუფციული და რთული ბიუროკრატიული გარემო დე ფაქტო პოლიტიკურ სისტემებში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები - ეს ის მთავარი პრობლემებია, რაც გალის და ახალგორის მოსახლეობას ყოველდღიურ ცხოვრებას ურთულებს და ზოგჯერ აიძულებს საკუთარი საცხოვრებელი ადგილები დატოვონ.

ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ გალის და ახალგორის მოსახლეობის სტატუსი ადგილობრივ სისტემაში მყიფე და არასტაბილურია, რის გამოც უწევთ დე ფაქტო ადმინისტრაციასთან და მათ მიერ დაწესებულ „სამართლებრივ რეჟიმებთან“ ადაპტაცია. ამ მხრივ გამორჩეულად მძიმეა ვითარება გალში, რადგან ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსი წლების განმავლობაში ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება. აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია მათ არ აძლევთ საშუალებას მიიღონ აფხაზეთის ე.წ მოქალაქის სტატუსი, რაც არაერთი სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლების შეზღუდვის საფუძველი ხდება. გალის მოსახლეობა საკუთარ სახლებში ცხოვრების უფლებას ბინადრობის მოწმობის სტატუსით ინარჩუნებს და, ამგვარად, ადგილობრივ სისტემაში სტუმრებად, უცხოებად აღიქმებიან.

ახალგორის მოსახლეობას სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა არ აქვთ, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ ახალგორელების უმრავლესობას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი“ მისცა, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ადგილზე არსებული სოციალური სერვისები და მხარდაჭერა, თუმცა დოკუმენტაციის პრობლემა ახალგორისთვის მაინც კრიტიკული რჩება. მათ მაინც სჭირდებათ ე.წ. საშვები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად, რასაც დე ფაქტო ადმინისტრაცია და უშიშროების სამსახურები არ გასცემენ, ან შეფერხებით გასცემენ და ადგილობრივ მოსახლეობას განგრძობად იზოლაციაში ამყოფებენ.

გადაადგილების თავისუფლება ორივე რაიონის მოსახლეობისთვის კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება მათთვის უკავშირდება ხელმისაწვდომობას საბაზისო სოციალურ, საყოფაცხოვრებო და ჯანდაცვის სერვისებზე, რისი შესაძლებლობაც ადგილზე პრაქტიკულად არ არსებობს. იზოლაციური პოლიტიკა მათ უზღუდავს ნათესაური და საოჯახო კონტაქტების შენარჩუნების შესაძლებლობას, რაც პირადი და ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ასპექტებს მოიცავს.

ამგვარ მყიფე და მოწყვლად სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობაში, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საკუთარი რაიონები და საცხოვრებლად ან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდეს, ან საერთოდ დატოვოს ქვეყანა. კვლევისას გამოვლინდა, რომ წლიდან წლამდე მცირდება ახალგორის და გალის სკოლებსა და ბაღებში მოსწავლეების რაოდენობა, რადგან ამ რეგიონებში ახალგაზრდობა ვერ ხედავს განვითარების პერსპექტივას. ახალგორი განსაკუთრებულად დგას დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე, რადგან 2019 წლიდან დაწყებულმა იზოლაციურმა პოლიტიკამ ადგილობრივ მოსახლეობას საბაზისო რესურსებზე ხელმისაწვდომობაც წაართვა. კორუფციული, დისკრიმინაციული და უსამართლო ბიუროკრატიული პროცესი მოსახლეობის სტატუსს დე ფაქტო სახელმწიფოების პირობებში მყიფეს და გაურკვეველს ტოვებს, რაც გულისხმობს ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევას, და შეზღუდულ წვდომას სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზე.

ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ საქართველოს ხელისუფლება გალის და ახალგორის მოსახლეობას მხოლოდ საქართველოს მოქალაქის სტატუსის ლინზიდან უყურებს, რაც გამორიცხავს დამატებით მხარდამჭერი მექანიზმების შექმნას მათთვის, როგორც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფისთვის. შედეგად, ამ ორი რაიონის მოსახლეობა ორმაგად გარიყულად გრძნობს თავს.

მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ გაიაზროს და აღიაროს გალის და ახალგორის მოსახლეობის პოტენციალი მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში და ეს პოტენციალი პოლიტიკურ მექანიზმებში ასახოს. სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ზოგადად ხელისუფლების რეტორიკაში საერთაშორისო თუ შიდა დონეზე, აღიარებულია, რომ ამ რაიონების მოსახლეობა სისტემური დისკრიმინაციის და უფლებრივი დარღვევების ობიექტია. ხელისუფლება ცდილობს პასუხისმგებლობა მთლიანად აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ადმინისტრაციებს და რუსეთის ფედერაციას დააკისროს, როგორც ამ რეგიონებზე ეფექტიანი კონტროლის მქონე სახელმწიფოს. თუმცა, ის სათანადოდ არ აღიარებს საკუთარ პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც მას კონფლიქტის რეგიონებში, მათ შორის, გალსა და ახალგორში, ადამიანის უფლებების დასაცავად ყველა გონივრული პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა გონივრული პოლიტიკების გატარებას ავალდებულებებს.

ადამიანის უფლებათა სამართალში კონკრეტულ ტერიტორიებზე კონტროლის არარსებობა არ გამორიცხავს დე იურე სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს უფლებების დაცვის მიმართულებით და ეს არაერთხელ აქვს აღიარებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მსგავს კონტექსტებზე მსჯელობისას.[205] ტერიტორიული კონტროლის დაკარგვის პირობებში დე იურე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესახებ საგანგებოდ მიუთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც.[206] ევროპული სასამართლო ადგენს, რომ პოზიტიური ვალდებულებების მთავარი მახასიათებელი არის ის რომ სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ მიიღონ საჭირო ზომები კონკრეტული უფლების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ვალდებულებების ჩარჩო სასამართლო პრაქტიკაში სტაბილურია. სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს რომ პოზიტიური ვალდებულებებით სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელშესახები მატერიალური და სასამართლო პირობები უფლებების რეალური განხორციელებისთვის.[207]

კონფლიქტის რეგიონებთან მიმართებით, სასამართლო სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ ყველა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და დიპლომატიური ზომა იმისათვის, რათა უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების დაცვა მთელ ტერიტორიაზე მყოფ პირებთან მიმართებით. უფრო ზუსტად კი, საქმეზე ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რომ პოზოტიური ვალდებულებები გულისხმობს ერთის მხრივ კონტროლის აღდგენას ტერიტორიაზე, და მეორეს მხრივ იქ მცხოვრები ადამიანების დაცვას. ეს ზოგადი ვალდებულებები უფრო კვაზი-ავტონომიურია, რაც გულისხმობს იმას რომ ისინი ამოიზრდება კონვენციის პირველი მუხლიდან, მაგრამ ამ ვალდებულებების შეფასება მაინც კონკრეტულ სიტუაციაზე და კონტექსტზეა დამოკიდებული[208]

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის არ ქონის პირობებში დე იურე სახელმწიფოების გავლენები მკვეთრად შეზღუდულია და ჩვენ კარგად გვესმის საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი გადაულახავი გამოწვევების, მნიშვნელოვანია ამ მოცემულობაშიც სახელმწიფოებმა აჩვენონ სათანადო გულისხმიერების პირობებში გაწეული ძალისხმევა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების უფლებების დასაცავად. ამგვარი ვალდებულებების შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განგრძობადი კონფლიქტის პირობებში, როცა უფლებების დარღვევებს სისტემური სახე შეიძლება ჰქონდეს და მოუგვარებელმა კონფლიქტმა მძიმე გავლენა იქონიოს ამ პირობებში მცხოვრები ადამიანების ყოფაზე.

---

[205] *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*, App no 48787/99 (ECHR, 8 July 2004), paras 336-345; *Catan and Others v Moldova and Russia,* para 110; *Güzelyurtlu v. Cyprus and Turkey*, para 200.

[206] UN Human Rights Committee (HRC), CCPR 'General Comment No. 26: Continuity of Obligations' CCPR/C/21/Rev.1/Add.8/Rev.1 (8 December 1997) para 4;

[207] Jean-François Akandji-Kombe, Positive obligations under the European Convention on Human Rights, Human rights handbooks, No. 7, 7.

[208] Jean-François Akandji-Kombe, Positive obligations under the European Convention on Human Rights, Human rights handbooks, No. 7, 9.

ვითარების გამოსასწორებლად, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ შეცვალოს მიდგომები და პოზიტიური ნაბიჯები გადადგას გალის და ახალგორის რაიონის მოსახლეობის მხარდასაჭერად, გააქტიუროს პირდაპირი დიალოგის და თანამშრომლობის ფორმატები ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციებთან აქ არსებული უფლებრივი და სოციალური კრიზისების გადასაჭრელად. დღეს სახელმწიფოს არ გააჩნია პოლიტიკური მექანიზმი და ფორმატი (სპეციალუარი საჭიროებებზე ორიენტირებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, კომუნიკაციის/ დიალოგის ფორმატები), სადაც განგრძობადი კონფლიქტის პირობებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სახელმწიფო ორგანოები კოორდინირებულად იმუშავებდნენ. მეტიც, სახელმწიფო ვერ ხედავს გალის და ახალგორის მოსახლეობის სპეციალურ საჭირობებს, რაც ასახული იქნებოდა შესაბამის პოლიტიკაში და ამ მოსახლეობას დამატებითი მხარდაჭერის რესურსებს შესთავაზებდა. ეს მიდგომა კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს უკიდურესად მოწყვლად ჯგუფად აქცევს, სადაც მათი უფლებები ორმხრივად გამოტოვებული და დარღვეული გამოდის.

რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას:

კონფლიქტის რეგიონებში ფაქტობრივი კონტროლის არ არსებობის პირობებში სახელმწიფოს წინაშე მდგარი სისტემური გამოწვევების მიუხედავად, მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფომ:

1. გააძლიეროს მაღალი დონის პოლიტიკურ და სამართლებრივ პლატფორმებზე კონფლიქტის რეგიონებში, მათ შორის, გალსა და ახალგორში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებული გამოწვევები;
2. იმსჯელოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებთან სტატუს ნეიტრალური დიალოგის ფორმატების შექმნაზე, რომელიც ადამიანის უფლებებისა და სოციალური დაცვის საკითხების პრაქტიკული და ეფექტიანი გადაწყვეტის მექანიზმი გახდებოდა;
3. მხარი დაუჭიროს და გადადგას ამისთვის საჭირო რესურსები, რათა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში და მასთან კავშირში გაძლიერდეს კონფლიქტის ორივე მხარეს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების მონაწილეობა და მათ შორის დიალოგი;
4. მიიღოს კონფლიქტის რეგიონებში, inter alia, გალსა და ახალგორში ადამიანის უფლებებსა და სოციალურ დაცვაზე მიმართული სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ადგილობრივ თემებთან მჭიდრო კონსულტაციებსა და ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის დემოკრატიულ მექანიზმებს დანერგავს;
5. გალსა და ახალგორში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე ჯანდაცვის (მათ შორის, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა) ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, გავრცელდეს იგივე პროგრამები, რაც კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ სხვა მოსახლეობაზე ვრცელდება და ამ პროგრამების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდოს პროაქტიულად. მათ შორის, ჯანდაცვის

სამინისტროში პროგრამით დაინტერესებული ადამიანებისთვის ინფორმაციის და სერვისების მიწოდების პროცედურები მარტივი და გამჭირვალე გახდეს.

6. გალის და ახალგორის მოსახლეობას პროაქტიულად და რეგულარულ რეჟიმში (მაგალითად, სამ თვეში ერთხელ) მიეწოდოთ ინფორმაცია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი რესურსების, პროგრამების და სერვისების შესახებ. ამისათვის შესაძლებელია დაინიშნოს რეგულარული შეხვედრები (პირდაპირი შეხვედრის შეუძლებლობის შემთხვევაში, online ფორმატში) შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ჯანდაცვის და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან, ან ამ უწყებებიდან გამოიყოს საკონტაქტო პირები ამ რაიონების მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის.
7. გალის და ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციებთან შეიქმნას თანამშრომლობის რეგულარული ფორმატები (საკომუნიკაციო ტექნიკური კომიტეტები), საერთაშორისო აქტორების მონაწილეობით (EUMM), სადაც რეგულარულად გაიცვლება ინფორმაცია და შედგება თანამშრომლობა ადამიანის უფლებებისა და სოციალური დაცვისთვის კრიტიკული მნიშვნელობის საბაზისო საკითხებზე, მათ შორის განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ სერვისებიზე, გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.
8. ქართული ენის შენარჩუნების მიზნით, გალელი და ახალგორელი ახალგაზრდებისთვის შემუშავდეს ენის სწავლების სპეციალური ონლაინ პროგრამები, რაც მათ საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ ქართული ენა, ჩააბარონ და ხარისხიანი განათლება მიიღონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.
9. გალელი და ახალგორელი მასწავლებლებისთვის გაძლიერდეს მხარდაჭერა (როგორც ფინანსური, ისე პროფესიული), რათა შეძლონ ადგილობრივი ახალგაზრდების ხარისხიანად მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.
10. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული გალელი და ახალგორელი სტუდენტებისთვის შემუშავდეს სოციალური მხარდაჭერის პროგრამა, რომლის საშუალებითაც ყველა მათგანს დაუფინანსდება საცხოვრებელთან დაკავშირებული ხარჯები.
11. საქართველოს ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს კომერციული და სამედიცინო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შექმნას ცხინვალის რეგიონთან არსებულ ადმინისტრაციულ საზღვართან (აფთიაქი, საავადმყოფო, მაღაზია), რაც ხელმისაწვდომს გახდის პირველადი დანიშნულების სერვისებსა და პროდუქტებს როგორც ახალგორის რაიონის მოსახლეობისთვის, ისე გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს.
12. კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს კონფლიქტის რეგიონებში, განსაკუთრებით გალსა და ახალგორში ქალთა უფლებების დაცვაზე მიმართული პროგრამები და სერვისები.

რეკომენდაციები საერთაშორისო აქტორებს (EU, EUMM, UN, OSCE):

ხაზს ვუსვამთ რა, საერთაშორისო აქტორების მნიშვნელოვან როლსა და მრავალწლიან ძალისხმევას საქართველოში კონფლიქტების მოგვარების, მშვიდობის მშენებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, მნიშვნელოვანია, გამოვყოთ რამდენიმე პოზიტიურ რეკომენდაცია, რომელიც საერთაშორისო აქტორებს მიემართება; მათ შორის, აუცილებელია მათ

1. ხელი შეუწყონ საქართველოში გაჭიანურებული კონფლიქტების საკითხებზე საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესის კიდევ უფრო გაძლიერებას და სხვადასხვა მაღალი დონის პლატფორმაზე საქართველოში კონფლიქტების ტრანფორმაციასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების აქტიურ დაყენებას.
2. მნიშვნელოვანია გადახედოს ჩართულობის პოლიტიკის ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას და თბილისსა და სოხუმს, ასევე თბილისსა და ცხინვალს შორის სტატუს ნეიტრალურ სოციალურ, უფლებრივ საკითხებზე პირდაპირი დიალოგის პლატფორმების შექმნას უფრო აქტიურად დაუჭიროს მხარი;
3. საქართველოს ხელისუფლებასთან, ასევე ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციებთან მოლაპარაკებით შეიქმნას რეგულარული დიალოგის ფორმატი, სადაც საერთაშორისო აქტორები შეასრულებენ ფასილიტატორის ფუნქციას და მხარეები იმსჯელებენ სტატუს ნეიტრალურ უფლებრივ და სოციალურ საკითხებზე, inter alia, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, ვაჭრობა, გარემოს დაცვა, განათლების უფლება, და ჯანდაცვის/სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
4. ევროკავშირმა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ შექმნან მოლაპარაკების ფორმატი საქართველოს ხელისუფლებასთან და ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციებთან, სადაც მხარეები იმსჯელებენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლის და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის მონიტორინგისთვის და გასაუმჯობესებლად.
5. ევროკავშირმა, ასევე ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ დააფუძნოს დემოკრატიული საკონსულტაციო პლატფორმები, რომელიც კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას საკუთარი საჭიროებების, წუხილებისა და ხედვების რეგულარული წარმოდგენისა და გაზიარების შესაძლებლობას მისცემს. განსაკუთრებით მნიშვენელოვანია ამ პროცესში ყურადღება მიექცეს მშვიდობის მშენებლობაში ჩართული ადგილობრივი აქტორებისა და ქალთა ორგანიზაციების როლს.